ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№030 (12 100)

7 თებერვალი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


13:00, მიხეილ მესხი, ახალგაზრდული. საქართველო-თურქეთი. 21:00, ბორის პაიჭაძე, ეროვნული ნაკრებები

# ვცადოთ ნახევარი გუნდით და ვილოცოთ შოტლანდიისთვის

## დაგვრჩა 16 კაცი, მათ შორის 3 მეკარე

**საქართველო**

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** (რუბინი, რუსეთი), **გიორგი ლომაია** (კარლ ცაისი, გერმანია), **გრიგოლ ჭანტურია** (ზესტაფონი)

მცველები: **გიორგი შაშიაშვილი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **დავით კვირკველია** (მეტალურგი ზაპ. უკრაინა), **ლაშა სალუქვაძე** (რუბინი, რუსეთი), **ზაალ ელიავა** (სკონტო, ლატვია)

ნახევარმცველები: **ლადო ბურდული** (კრივბასი, უკრაინა), **ზურაბ მენთეშაშვილი** (შინიკი, რუსეთი), **ლევან ცქიტიშვილი** (პანიონიოსი, საბერძნეთი), **გოგიტა გოგუა** (უკლუბო), **დავით მუჯირი** (კრილია, რუსეთი)

თავდამსხმელები: **გიორგი დემეტრაძე** (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), **დავით სირაძე** ("აუე", გერმანია), **მიხეილ აშვეთია** ("კარლ ცაისი", გერმანია)

**ახალგაზრდული**

მეკარეები: **რევაზ თევდორაძე** (დილა), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი მაკარიძე** (დინამო)

მცველები: **დავით მჭედლიშვილი** (ამერი), **გიორგი ნავალოვსკი** (დინამო), **მათე ღვინიანიძე** (მიუნხენ-1860, გერმანია), **ზურაბ გვაძაბია** (ამერი), **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი, დანია), **აკაკი ხუბუტია** (კაუნასი, ლიტვა), **გულვერდ თომაშვილი** (დინამო), **ვალტერ ხორგუაშვილი** (შერიფი, მოლდოვა)

ნახევარმცველები: **ალექსი ბენაშვილი** (ზესტაფონი), **შოთა გრიგალაშვილი** (დინამო), **ბექა ჟღენტი** (ტორპედო, რუსეთი), **გიორგი კახელიშვილი** (ოლიმპი), **გიორგი მერებაშვილი** (დინამო), **მირზა ბუალავა** (ზესტაფონი), **სანდრო კობახიძე** (დინამო)

თავდამსხმელები: **ბექა გოცირიძე** (ზესტაფონი), **რატი წინამძღვრიშვილი** (ამერი), **ვლადიმერ დვალიშვილი** (ოლიმპი), **გიორგი ჭელიძე** (ლოკომოტივი, რუსეთი)



გუშინ ეროვნულ სტადიონზე. საქართველოს ნაკრების ვარჯიში. ბურთით გოგიტა გოგუა

ნუგზარ სუარიძის ფოტო



კლაუს ტოპმიოლერი

დავით ცაბაძე

**ბოლო ვარჯიშამდე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ჟურნალისტების წინაშე წარდგა.**

- დიდი იმედი გვქონდა, რომ ნაკრებს მზადების დაწყების შემდეგ ალარავინ დააკლდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი იმედი არ გამართლდა, ზუსტად ის ფეხბურთელები გამოგვაკლდნენ, რომლებიც ძირითადი შემადგენლობის წევრები არიან. იმედი მაქვს, ვლოცულობ კიდეც, რომ მარტში გასამართ ოფიციალური მატჩებს, შოტლანდიასთან და ფარერებთან, სრული შემადგენლობით შევხვდეთ.

წუწუნისთვის არც დრო გვაქვს და არც სურვილი. ნაკრებმა გუშინ დაიწყო მზადება და ვარჯიშებზე ფეხბურთელების მონდომებითა და ბრძოლისუნარიანობით კმაყოფილი დავრჩი. იმედი გვაქვს, დანაკლისის მიუხედავად, როგორც შარშან ნოემბერში, ურუგვაისთან, ამჯერადაც კარგად ვითამაშებთ.

თურქეთთან ამხანაგური მატჩი გვაქვს, ასეთი თამაშები კი საიმისოდაა, რომ ცალკეული ფეხბურთელები საქმეში ვნახოთ და მათზე მეტი წარმოდგენა შევიქმნათ. ურუგვაისთან ამხანაგური შეხვედრაც ამავე მიზანს ისახავდა. იმ მატჩში რამდენიმე ფეხბურთელმა კარგად წარმოაჩინა თავი და კუთვნილი შანსი გამოიყენა. მჯერა, ამჯერადაც იგივე განმეორდება და ფეხბურთელები რომლებიც სასტარტო შემადგენლობაში ანაც მატჩის განაცხადში მოხვდებიან, მაქსიმალურად შეეცდებიან საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას.

ურუგვაისთან მატჩში კუთვნილი შანსი ბურდულმა და სირაძემ ჩინებულად გამოიყენეს. მჯერა, მათი და სხვა ფეხბურთელების მხრიდან ეს ერთჯერადი არ იქნება და ყველა, ყოველ თამაშში ბოლომდე დაიხარჯება.



ფატიჰ თერიმი

მინდა გაცნობოთ, რომ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ხვალ პირველად მიეცემა შანსი ზაალ ელიავას. ის კარგად ართმევს თავს ფლანგურ გარღვევებს და სახიფათოდ აწვდის საჯარიმოში. იმედი მაქვს, ელიავა ამ შანსს სათანადოდ გამოიყენებს.

**- კახა კალაძე რატომ დააკლდა ნაკრებს?**

- ჯერ კიდევ წინა კვირაში იყო მინიშნებები, რომლის თანახმადაც კალაძის თამაში მთლად გადაწყვეტილი არ იყო. ათიოდე დღეა, რაც კახამ ტრავმის შემდეგ ვარჯიში დაიწყო. თუმცა, გასულ უქმეებზე ის ისევ კუნთების პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

3

## ბრაზილია არ გამოდის

გუშინწინ, ლონდონში, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის ხელმძღვანელობას მომავალი ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე ესაუბრა. ქართულ მხარეს ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** და ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** წარმოადგენდნენ.

როგორც შევიტყვეთ, მხარეებს შორის შეთანხმება არ შედგა და საქართველო-ბრაზილიის 22 აგვისტოს მატჩის ჩატარებას დიდი კითხვის ნიშანი დაესვა.

- *სამწუხაროდ, ბრაზილიელებმა, თბილისში ამხანაგური მატჩის ფასი თითქმის ორჯერ გაზარდეს, ამდენის გაღება კი ჩვენთვის პრობლემურია. ვერ ვიტყვი, რომ ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა, მაგრამ, იმის თქმა კი შემიძლია, რომ ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, ეს ვარიანტი უკვე ძალზე საეჭვოა. თურქეთთან თამაში რომ ჩაივლის, ბრაზილიელებთან მოლაპარაკებებს განვაგრძობთ. ვნახოთ, თუ რამე გადაწყდება.* - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა





ალექსი ბენაშვილი და გიორგი მერებაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# აბა ტაში, ჩქარი ტაში!

## მხიარული მწვრთნელის მხიარული ვარჯიში

ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ წინასამატჩო ვარჯიში ჩაატარა. სუსხიანი ამინდის მიუხედავად, "მიხეილ მესხზე" გამართული ვარჯიში მეტად სახალისო გამოდგა. მოედანზე იყვნენ: **კვასხვაძე, თევდორაძე, მაკარიძე, მჭედლიშვილი, ღვინიანიძე, ხუბუტია, ფოფხაძე, გრიგალაშვილი, დვალიშვილი, მერებაშვილი, ბჟალავა, ჭელიძე, ჟღენტი, კაშია, გვაძაბია, თომაშვილი, ელბაქიძე, ბენაშვილი, ნავალოვსკი, ხორგუაშვილი, კახელიშვილი.**

ნაკრებში ახლადანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა, ხორვატმა **პეტარ სეგრტმა** ბიჭები სავარჯიშოდ დღის პირველ საათზე გაიყვანა. ტრადიციული გახურებით დაწყებულ ვარჯიშში გუნდთან ერთად არ უვარჯიშია **რატი წინამძღვრიშვილს**, რომელიც გუშინწინდელის მსგავსად, ცალკე ძუნძულებდა მოედნის ირგვლივ. მიზეზი ანთალიაში მიღებული კოჭის ტრავმაა.

გახურების შემდეგ სეგრტმა გუნდი ოთხად გაყო, ორივე კარის, თითოეულ ძელთან ხუთ-ხუთი ფეხბურთელი დააყენა. კარის ძელიდან ორი ფეხბურთელი უნდა დაძრულიყო, მოწინააღმდეგე მხრიდან წამოსული ორი უნდა მოეტყუებინა და გოლი ისე გაეტანა. ბიჭები გოლს დიდი ჟივილ-ხივილით აღნიშნავდნენ. სეგრტი ყველაზე მეტად კაპიტან მათე ღვინიანიძეს უფასებდა გარჯას და "სუპერ მათეთი" მოიხსენიებდა. მოგვიანებით მწვრთნელმა ვარჯიში გაამკაცრა - გაშვებულ გოლზე ათი აზიდვით სჯიდა ფეხბურთელებს.

სახალისო ვარჯიშის შემდგომ, ხორვატმა მცველები თავდამსხმელების წინააღმდეგ ათამაშა. ამ ვარჯიშის დროსაც, პეტარი გუნდის კაპიტანს აქებდა. ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც თავდამსხმელებმა გოლი გაიტანეს, ბიჭები კუთხურის ალამთან გაიქცნენ გოლის აღსანიშნად, მაგრამ იქიდან მობრუნებულებს კობახიძე აკლდათ - "დინამოს" ნახევარმცველი კუთხურის ალამთან იწვა და მხარს იტკიებდა. მიღებულმა ტრავმამ დღევანდელ მატჩში კობახიძის თამაში სათუო გახადა. სეგრტს დახმარებას **ჰაინც ტოპმიოლერი** და **ჰერბერტ ცანკერი** უწევდნენ - თამაშგარეების დაფიქსირებაში ეხმარებოდნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ნაკრებს წამყვანი ფეხბურთელები გამოაკლდნენ, არაა გამორიცხული, რამდენიმე მოთამაშე ეროვნულს დაემატოს. **მათე ღვინიანიძემ** კი, შესაძლოა, სულაც ორივე ნაკრებში ითამაშოს. *"ზუსტად ვერ გეტყვით, შესაძლოა, პირველ ნაკრებშიც ვითამაშო, მაგრამ ჯერ ახალგაზრდულის შემადგენლობაში უნდა გავიდე მოედანზე. ერთ ტაიმს ნებისმიერ შემთხვევაში ჩავამთავრებ, მერე კი გააჩნია თამაში როგორ წავა. თუ ჩემი მოედანზე ყოფნა საჭირო იქნება, რა თქმა უნდა, ვითამაშებ, თუ არადა..."* - გვითხრა ღვინიანიძემ.

სულ ბოლოს მთავარმა მწვრთნელმა გუნდი ორად გაყო და ნახევარ მოედანზე ფეხბურთი ათამაშა. ვარჯიში ისევე მხიარულად დასრულდა, როგორც დაიწყო. მწვრთნელთან ერთად ბიჭებმა მოედანს რიტმული ტაშით ორი წრე ძუნძულით დაარტყეს, სიმღერის მცდელობაც იყო, მაგრამ ხორვატმა მოთამაშეები ვერა და ვერ აამღერა.

**ავთო ცეცხლაძე**



# კაპიტანი ღვინიანიძეა

**ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშის შემდეგ, პეტარ სეგრტისთვის რამდენიმე შეკითხვის დასმა მოვასწარით. ხორვატი ამჯერადაც თავაზიანად მოიქცა და დღევანდელი მატჩის შესახებ მოკლედ ისაუბრა. მცირე ინტერვიუს დასრულების შემდეგ, იგი გულთბილად დაგვემშვიდობა.**

**- უკვე შეგვიძლია ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელობა მოგილოცოთ?**

- (იცინის) მოდით, ნოდარ ახალკაცის ოფიციალურ განცხადებას დაველოდოთ.

**- წინასამატჩო განწყობა, როგორც ვხედავთ, იდეალურია.**

- დიახ, ბიჭები თურქებთან დაპირისპირებისთვის უდიდესი შემართებით ემზადებიან. დარწმუნებული ვარ, რთული შეხვედრა იქნება, მაგრამ ყველანი ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და გამარჯვებისთვის არაფერს დავიშურებთ.

**- წინამძღვრიშვილისა და კობახიძის თამაში გამორიცხულია?**

- იმედი ჯერ არ დამიკარგავს, ყველაფერი თამაშის დღეს გადაწყდება. თუ რატისა და სანდროს დატვირთვა თუნდაც მინიმალურ რისკთან იქნება დაკავშირებული, მათ მოედანზე არ გავიყვანთ.

**- როგორი ტაქტიკით ითამაშებთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგურია, ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. თავის გამოჩენის საშუალება ფეხბურთელებს მაქსიმალურად მიეცემათ. განაცხადში 18 კაცს შევიყვან და ალბათ, შვიდივე ცვლილებას გამოვიყენებ. შევეცდებით, გულშემატკივარი შედეგითაც გავახაროთ და ლამაზი თამაშითაც.

**- ორმხრივი თამაშისას ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ძირითადი შემადგენლობა უკვე არჩეული გყავთ.**

- რამდენიმე პოზიციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. დაზუსტებით მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ძირითადში გუნდის კაპიტანი მათე ღვინიანიძე იქნება.

**- თურქეთთან შეხვედრის შემდეგ თბილისს დატოვებთ?**

- არა, საქართველოში კიდევ კარგა ხანს დავრჩები და ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე ვივლი. წინ ფართო მოცულობის სამუშაო მელის.

**ლევან ჯანეზაშვილი**



### პეტარ სეგრტი

*დაიბადა 1966 წლის 8 მაისს ხორვატიის ქალაქ დურდევაცში.*

**მოთამაშის კარიერა:**
1977-78 წლ. - "პირსაუ"
1978-82 წლ. - "ქალვი"
1989-90 წლ. - "პლოხინგენი"
1990-91 წლ. - "შვაინკაიმი"
1991-92 წლ. - "ალზერსმახი"

**სამწვრთნელო განათლება:**
1993 წელი B ლიცენზია (რუიტი, გერმანია)
1995 წელი A ლიცენზია (ჰენეფი, გერმანია)
2001 უეფას ლიცენზირებული მწვრთნელი (კიოლნი, გერმანია)

**სამწვრთნელო კარიერა:**
1992-93 წლ. - "ვალდჰოფი" (ახალგაზრდული გუნდი)
1996-97 წლ. - "ბოხუმი" (ახალგაზრდული გუნდი)
1997-2000 წლ. - "დუისბურგი" (ახალგაზრდული გუნდი, მთავარი გუნდის სამწვრთნელო შტაბი)
2000-01 წლ. - "ვალდჰოფი" (ახალგაზრდული გუნდი, გუნდის თავკაცის თანაშემწე)
2001-03 წლ. - "ლეობენი" (მთავარი მწვრთნელი)
2003 წ. - "იოსკო რიდი" (მთავარი მწვრთნელი)
2003-04 წლ. - "ვინერ შპორტკლუბი" (მთავარი მწვრთნელი, სპორტული დირექტორი)
2006 წ. - საქართველოს ეროვნული ნაკრები (ობზერვერი, სამწვრთნელო შტაბი)
2007 წ. - საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი)

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge





# ვილოცოთ შოტლანდიისთვის

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, ტრავმის გართულებას მოვერიდეთ და ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე გადავწვიტეთ, რომ კალაძე თურქეთთან არ ითამაშებს.

რუსეთსა და უკრაინაში მოასპარეზე ჩვენმა ლეგიონერებმა კარგა ხანია, რაც მოსამზადებელი შეკრება დაიწყეს. შესაბამისად, ჩვეულ ფორმაში არ არიან. თუმცა ჩემი ეს ნათქვამი მხოლოდ ფაქტია და არა თავის გასამართლებელი საბუთი.

**- ბუნებრივია, ამ დანაკლისის გამო თურქების შანსები იზრდება. შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- რეიტინგში თურქეთს ჩვენზე გაცილებით უკეთესი ადგილი უჭირავს. ეს პრობლემა არაა. ჩვენ ფავორიტებს არ ვუფრთხით და ეს შარშან ნოემბერში, ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩშიც დამტკიცდა. მოხარული ვიქნები, თუკი ეს შეხვედრაც იმავე შედეგით დასრულდება.

**- ტრადიციასავით დამკვიდრდა, ამხანაგური მატჩების წინ ჩვენი გუნდის ტაქტიკურ მონახაზს გვიმხელთ ხოლმე. ასე იყო ურუგვაისთან თამაშის წინ და დღესაც ხომ არ გაგვიმხელდით სქემას?**

- ნოემბრის მატჩის წინ საკმაოდ კარგად ვიყავით ინფორმირებული ურუგვაელთა ნაკრებზე. საერთოდ მეტოქეზე სრული ინფორმაციის მოპოვება ძალზე დიდი პლუსია, რომლის გამოყენება ყოველთვის შეგიძლია. ახლაც ჩემი მობილური ტელეფონი ჩართულია და ყოველ წუთს ველი ზარს ჩვენი ინფორმატორებისგან. ცალკე ხალხი მუშაობს თურქულენოვან პრესაზე მეტოქეზე მეტი ინფორმაცია რომ გვქონდეს. ამას გარდა, თურქების ვარჯიშზეც მივავლენთ მზვერავებს და შევეცდებით, მათი სასტარტო შემადგენლობა და მონახაზი გამოვიცნოთ.

**- ნაკრებს სხვა ფეხბურთელები ხომ არ დაემატებიან?**

- მინდა, იმ ფეხბურთელებს მივცე შანსი, რომლებიც დღეს ჩემს განკარგულებაში არიან. დღევანდელ ვარჯიშზე 21-წლამდელთა ნაკრებიდან 7 ფეხბურთელს დავიმატებთ, მაგრამ ეს მხოლოდ ტაქტიკურ მონახაზზე სრულყოფილად სამუშაოდ გვესაჭიროება.

**- დღეს ფედერაციის ალმასკომმა 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცად ხორვატი პეტარ სეგრტი დაამტკიცა. ეროვნული შეცვლას ახალგაზრდულიდან ილებს, ამ ორი გუნდის თავკაცმა კი, ვფიქრობთ, სინქრონულად უნდა იმუშაოს...**

- ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ. ჯერ კიდევ "ბოხუმში" მუშაობისას, პეტარ სეგრტი "ბოხუმის" ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებდა. ამასთან, მასვე ევალებოდა ტალანტების მოძიება მთელი რეგიონის მასშტაბით და ამ მხრივაც წარმატებით მუშაობდა. თავის დროზე სწორედ მან აღმოაჩინა ილდირაი ბაშთურქი და პაულ ფრაიერი. პეტარზე შემთხვევით არ შევჩერებულვართ. ის დეკემბრიდან საქართველოში მუშაობს და ცხოვრობს. მას ახალ გუნდთან მოუწევს მუშაობა და წარმატებებს ვუსურვებ. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების თამაში ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა... რალფ მინგე ახლა უკვე სრულად ეროვნულ ნაკრებზე იქნება კონცენტრირებული. პეტარ სეგრტს კი, ახალგაზრდული ნაკრების მომზადების გარდა, ეროვნულ ჩემპიონატზე, ჭაბუკთა ლიგაზე დაკვირვება და ნიჭიერი მოთამაშეების მოძიებაზე მოუწევს მუშაობა.



ახალგაზრდული შვიდეული ეროვნული ნაკრების ვარჯიშზე

# დაგვრჩა 16 კაცი, მათ შორის 3 მეკარე

გუშინ დილით კლაუს ტოპმიოლერის განკარგულებაში მხოლოდ თექვსმეტი ფეხბურთელი იყო. მეკარეები: **ლომაია, რევიშვილი, ჭანტურია**; მცველები: **ელიავა, სალუქვაძე, შაშიაშვილი, ხიზანიშვილი**; ნახევარმცველები: **გოგუა, მენთეშაშვილი, ბურდული, მუჯირი, ცქიტიშვილი, კვირკველია**; თავდამსხმელები: **აშვეთია, დემეტრაძე, სირაძე.**

მწვრთნელი იძულებული გახდა, ახალგაზრდული გუნდიდან ერთბაშად შვიდი მოთამაშე დაემატებინა. გუშინ ეროვნულ ნაკრებთან ივარჯიშეს **გურამ კაშიამ, ელბაქიძემ, გვაძაბიამ, თომაშვილმა, ბენაშვილმა, კახელიშვილმა** და **დვალიშვილმა**. ძნელი სათქმელია, მათგან ვინმეს თამაში თუ მოუწევს. ჰო, დაგვრჩა კიდევ **მათე ღვინიანიძე**. როგორც ჩანს, "მიუნხენის" მცველი ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშებს და შესაძლოა, სალამოს ეროვნულსაც დაეხმაროს.

გუშინდელი ვარჯიშიდან დეტალების მოყოლას აზრიც არ აქვს და არც დაგაინტერესებთ. მთავარი აშკარად გამოიკვეთა და ეს დიდი ხანია ჩანს - გერმანელი სპეციალისტი დიდ ყურადღებას უთმობს შეტევით და დაცვით ფაზაში სტანდარტული მდგომარეობის დამუშავება-დახვეწას.

მატჩისთვის მობილიზებულია თბილისის პოლიციის შემადგენლობა. სტადიონის უსაფრთხოებას გია ისიანი მიხედავს, რომელმაც საყურადღებო ამბები გვითხრა:

*"უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია მიღებული. თითოეული მაყურებელი სტადიონზე შესვლისას შემონმდება. თბილისის მერიასა და კანცელარიაში საგანგებო შეხვედრა მოეწყო, სადაც მატჩის ორგანიზაციულ და უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრეს. სულ მატჩის უსაფრთხოებაზე 1350 პოლიციელი და 520 დაცვის სამსახურის თანამშრომელი იზრუნებს. წინასწარ ვაფრთხილებთ გულშემატკივრებს, ბოთლებით შემოსვლის შემთხვევაში, სტადიონის დატოვება მოუწევთ"*.

გუშინდელი ვარჯიშის დროს გუნდები ასე განაწილდნენ:

ა: რევიშვილი - შაშიაშვილი, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, ელიავა - ბურდული, მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, კვირკველია - სირაძე, დემეტრაძე.

ბ: ლომაია - ბენაშვილი, გვაძაბია, თომაშვილი, ელბაქიძე - კახელიშვილი, კაშია, მუჯირი, დვალიშვილი, გოგუა - აშვეთია.

ქართველების ვარჯიშს თურქი ჟურნალისტები ესწრებოდნენ და გული დასწყდათ, **შოთა არველაძის** ჩამოუსვლელობა რომ შეიტყვეს. თურმე, მასთან გასაუბრებას გეგმავდნენ. ეროვნული სტადიონი კი მოეწონათ და ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, ასეთი სტადიონი თურქეთში მხოლოდ ერთიაო.

ვარჯიშის შემდეგ **ზურაბ ხიზანიშვილს** გავესაუბრეთ: *"თურქეთს ძლიერი ნაკრები ჰყავს და ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრა გველის. შოტლანდიასთან მატჩამდე შეთამაშება და კომბინაციების დამუშავება გვჭირდება. ამას გარდა, როგორც ვხვდები, ტოპმიოლერს ახალი მოთამაშეების გამოცდაც სურს. ეს იქნება შოტლანდიისთვის გენერალური მზადება და შესაბამის ტაქტიკასაც გამოვიყენებთ"*.

ჩვენი საუბრის დროს სტადიონზე თურქეთის ნაკრების ფეხბურთელები შემოვიდნენ. თანაკლუბელები, **თუგაი** და ხიზანიშვილი დიდი ხნის უნახავებივით ჩაეხუტნენ ერთმანეთს. *"აი, ამის გამოძახება ნაღდად არ მაწყობდა. ძალიან ძლიერი, ტექნიკური ფეხბურთელია. მგონი, მოედანზე გუნდს თუგაი გაუძღვება. ოთხი წლის წინათ წავიდა ნაკრებიდან და ახლა თერიმმა ისევ მიინვია. ცოტა უცნაურია, მაგრამ გუნდს დასჭირდა"*. - აღნიშნა ხიზანიშვილმა.

როგორც შევიტყვეთ, თუგაი ქერიმოღლუ სანაკრებო კარიერას სწორედ საქართველოსთან მატჩით დაამთავრებს. თურქები ორი წამყვანი მოთამაშე ჰყავთ ტრავმირებული - **ემრე ბელოზოღლუ** ("ნიუკასლი") და **ილდირაი ბაშთურქი** ("ჰერტა"). ნიუკასლელ ნახევარმცველს კუნთი აქვს დაზიანებული, "ჰერტას" ლიდერს კი მუხლი აწუხებს.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge


ალმასკომმა ახალგაზრდულს მწვრთნელი შეუცვალა

ალმასკომი

# სეგრტი გუშინ გაფორმდა

"ლელოს" ვარაუდი გამართლდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა გუშინ ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრნელად ხორვატი **პეტარ სეგრტი** დანიშნა, რომელიც ქართული ფეხბურთის სამსახურში აქამდეც იდგა და ძირითადად, მეტოქეებზე ინფორმაციის შეგროვებით იყო დაკავებული. ამ გადაწყვეტილების მთავარ მოტივად ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა საქმეების ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა დასახელდა.

სეგრტის შესახებ უფრო ვრცლად **კლაუს ტოპმიოლერმა** ისაუბრა, ალმასკომის სხდომაზე განხილულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს რაც შეეხება, იგი ბოლნისის "სიონის" დამრიგებელ **კახა ცხადაძეს** მიეძღვნა. როგორც გახსოვთ, "ოლიმპთან" მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტის გამო, სადისციპლინო კომიტეტმა ცხადაძეს სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. "სიონმა" და თავად დასჯილმა მწვრთნელმა სასჯელის შემსუბუქება ითხოვეს. მოსალოდნელი იყო, რომ ალმასკომი ცხადაძეს დისკვალიფიკაციის ვადას გუშინვე შეუმცირებდა, მაგრამ გარკვეული ფორმალობების გამო, ეს ვერ მოესწრო. თუმცა, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 18 თებერვლამდე, ანუ სეზონის განახლებამდე, ცხადაძის ამნისტიის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ და "სიონის" დამრიგებელი სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდება.

ეროვნულ სტადიონზე გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე **ნოდარ ახალკაცს** გვერდს "ჯეოსელისა" და "ტიბაანის" წარმომადგენლები უმშვენებდნენ. საქმე ისაა, რომ ამ ორმა კომპანიამ დღევანდელი მატჩის სპონსორობა ითავა. ფედერაციის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მათთან თანამშრომლობა სამომავლოდაც გაგრძელდება და ქართული ფეხბურთის სამსახურში სხვა კომპანიებიც ჩადგებიან. თავის მხრივ, "ჯეოსელისა" და "ტიბაანის" წარმომადგენლებმა ქართველ ფეხბურთელებს წარმატება უსურვეს.

ახალკაცს იმის იმედიც აქვს, რომ 2005 წელს გამართული საქართველო-თურქეთის შეხვედრისას და მის შემდეგ მომხდარი სამარცხვინო ფაქტები არ განმეორდება და გულშემატკივრებს წესრიგისა და სტუმართმოყვარეობისკენ მოუწოდა. ოღონდ, ფედერაციის პრეზიდენტს ისიც სჯერა, რომ ქართველთა სტუმართმოყვარეობა მოედანზე არ გავრცელდება.

გუშინ ალმასკომს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული სოხუმის მერის, **გურამ გაბისკირიას** ხსოვნისადმი მიძღვილი დაგეგმილი ღონისძიებებიც განუხილავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბუალავა ავსტრიაში 6 თვითაა

"ზესტაფონი" ზამთრის შესვენებაზე 18 წლის ნახევარმცველს, **მირზა ბუალავას** შეელია. როგორც შემდგომ გაირკვა, მირზა ავსტრიის მეორე ბუნდესლიგის ლუშტენაუს "აუსტრიაში" გასინჯვაზე მიიწვიეს და საბოლოოდ მისი დატოვებაც გადაწყვიტეს. თუმცა ბუალავა თბილისში დაბრუნდა და როგორც გვითხრა, კონტრაქტი დროებითია.

*"ავსტრიაში მხოლოდ იჯარით ვითამაშებ. "ზესტაფონი" სეზონის ბოლომდე განათხოვრებას დათანხმდა, შემდეგ კი, თუ თავი გამოვიჩინე და ავსტრიაში ფეხი მოვიკიდე, არაა გამორიცხული, უკეთეს კლუბში გადავიდე. ჩემს კონტრაქტს დაინტერესებული გუნდი გამოისყიდის. თუმცა ჯერ ნაადრევია ამ კლუბზე და საერთოდ ამ თემაზე საუბარი"*, - აღნიშნა ბუალავამ ჩვენთან საუბარში.

ფეხბურთელი ძალიან კმაყოფილია, რომ ავსტრიაში გადავიდა: *"ყველაფრით კმაყოფილი ვარ, სავარჯიშო პირობებით, გუნდის დონით, ავსტრიელთა პროფესიონალიზმით. ყველანაირად გაუმჯობესებული პირობები შემიქმნეს"*.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველო-თურქეთი

# შედეგი თურქთათვისაც პრიორიტეტია

თურქული დელეგაცია საქართველოს გუშინ საღამოს ესტუმრა. მათმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მაშინვე ვაკეს მიაშურა და "მიხეილ მესხზე" ივარჯიშა, ეროვნულმა კი ცოტა შეისვენა და ეროვნულ სტადიონს მოგვიანებით მიაშურა. თურქეთის მთავარი გუნდი "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდა, ახალგაზრდული კი - "შერატონში".

თურქეთის ეროვნული ნაკრების ვარჯიშის უდიდესი ნაწილი დახურულ კარს მიღმა წარიმართა. **ფათიჰ თერიმის** გუნდი ეროვნული სტადიონის მოედანზე ქართველთა წვრთნის დასრულებისთანავე გავიდა. გულშემატკივრებს ტრიბუნები მყისვე დაატოვებინეს, ჟურნალისტები კი სტადიონიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ დაგვითხოვეს.

თურქ ფეხბურთელებთან გასაუბრება ვერაფრით მოვახერხეთ, მათი ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი მცირე კომენტარით შემოიფარგლა. *"თბილისში პირველად ვარ, სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავი ქალაქის დათვალიერებას ვერ ვასწრებ. ძალიან მომეწონა თქვენი სტადიონი, როგორც შევიტყვე, მისი რეკონსტრუქცია ახლახან ჩაუტარებიათ. თამაშს რაც შეეხება, საქმის დაჭერა საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან მოგვიწევს, მაგრამ, ვიმედოვნებ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. მატჩის ამხანაგური სტატუსის მიუხედავად, მისი შედეგი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია"*, - განაცხადა თერიმმა.

სტუმრებმა ვარჯიში წრეზე სირბილით დაიწყეს, რის შემდეგაც ფეხბურთელები დაწყვილდნენ და სწრაფი პასების დამუშავებას მიჰყვეს ხელი. ამის შემდეგ კი ყველაფერი უკვე უცხო თვალის გარეშე გაგრძელდა. თურქები სასტუმროში დაახლოებით საათნახევრის შემდეგ დაბრუნდნენ.

**თურქეთი**

**ვოლქან დემირელი** (ფენერბაჰჩე), **ფაბიო აურელიო** (ფენერბაჰჩე), **თუნჯაი სანლი** (ფენერბაჰჩე), **ოიუმერ მეთინი** (ფენერბაჰჩე), **საბრი სარიოღლუ** (გალათასარაი), **არდა თურანი** (გალათასარაი), **გიოქან ზანი** (ბეშიქთაში), **იბრაჰიმ თორამანი** (ბეშიქთაში), **იბრაჰიმ უზულმაზი** (ბეშიქთაში), **ჰუსეინ ჩიმირი** (ტრაბზონსფორი), **გიოქდენიზ კარადენიზი** (ტრაბზონსფორი), **მეჰმეთ თოფუზი** (ქაისერისფორი), **აიდინ თოსქალი** (ქაისერისფორი), **გიოქან უნალი** (ქაისერისფორი), **სერვეთ ჩეთინი** (სივასფორი), **ჰაქან არიქანი** (ანქარასფორი), **სერქან ქირინთილი** (ანკარაგიუჯუ), **სელჩუკ ინანი** (მანისასფორი), **ჰამით ალთინთოპი** (შალკე), **ჰალილ ალთინთოპი** (შალკე), **სერჰათ აქინი** (კიოლნი), **თუგაი ქერიმოღლუ** (ბლექბერნი), **ფათიჰ თექე** (ზენიტი"),.

**ახალგაზრდული:**

**ფერჰათ ოზთორუნი** ("გალათასარაი"), **სერდარ ქურთულუსი** (ბეშიქთაში), **იბრაჰიმ ქაში** (ბეშიქთაში), **უფუკ ჩეილანი** (მანისასფორი), **ოგუზ საბანქაი** (მანისასფორი), **უგურ უჩარი** (ქაისერისფორი), **ილჰან პარლაკი** (ქაისერისფორი), **ედიზ ბაჰტიაროღლუ** (ანქარასფორი), **ოზერ ჰურმაჩი** (ანქარასფორი), **უგურ იანიქდემირი** (ქონიასფორი), **ალი გიუზელდალი** (ბელედიესფორი), **ორჰან სამი** (გენჩლერბირლიგი), **ვოლქან ბაბაქანი** (ისთანბულსფორი), **ბარის ათასი** (დიარბაქირსფორი), **ალფ ერგინი** (ალთაისფორი), **მეჰმეთ ბათდალი** (ბუქასფორი), **ეიფ ქადრი ათაოღლუ** (სარიერი), **ჩეიჰუნ გულსელამი** (უნტერჰახინგი, გერმანია), **მევლუთ ერდინჩი** (სოშო, საფრანგეთი), **ზაფერ იელენი** (ჰანზა, გერმანია).

**ლევან ჯანეზაშვილი**


თურქები ეროვნულ სტადიონზე



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

მეორე წრის წინ. დინამო

# ზელიჩის პირველი გოლი დინამოში

## უგრინს სამი ლეგიონერი ეყოლება?

**დინამო 2:1 ქეთისუ**

1:0 აკობია (9), 2:0 ზელიჩი (42. დილმელაშვილის პასით), 2:1 (76).

დინამო: ლორია, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, აკობია, ოდიკაძე (18. ჯანაშია), ხმალაძე, დილმელაშვილი, ხუციშვილი, ფეიქრიშვილი, სპასოევიჩი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ლ. ნოზაძე, ჩირიკაშვილი, იაშვილი.

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **დუშან უგრინის** გუნდმა ბოლო უცხოური სპარინგი მოიგო და თურქეთში სამზადისი კარგი განწყობით დაასრულა.

თამაშის შესახებ კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** მოგვითხრო.

დინამოელებმა მეტოქე დაჯაბნეს და სხვაობა ანგარიშში მეტიც უნდა ყოფილიყო, რადგან უგრინის ბიჭებს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ.

დინამოელები მალევე დაწინაურდნენ. მე-9 წუთზე ყაზახთა საჯარიმოსთან **ილია სპასოევიჩის** ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა **ლევან აკობიამ** ეფექტურ გოლად აქცია. მიღებულმა გოლმა "ქეთისუ" გააცხარა და უხეშობას უმატა. სამწუხაროდ, ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მე-18 წუთზე შუაზიელებმა **დავით ოდიკაძე** წააქციეს, რომელმაც თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და მის ნაცვლად მოედანზე **ზამირ ჯანაშია** გამოჩნდა. თუმცა, გიგა გვენცაძის თქმით, ოდიკაძის ტრავმა სერიოზული არაა და ის, წესით, გუნდს მალე უნდა დაუბრუნდეს.

თბილისელებმა ანგარიში ტაიმის მინურულს გაზარდეს. 42-ე წუთზე, **დავით დილმელაშვილის** მიერ მოწოდებული კუთხურისას **ნედ ზელიჩმა** თავურით თავისი პირველი გოლი გაიტანა "დინამოს" რიგებში. 2:0.

სცენარი მეორე ტაიმშიც არ შეცვლილა – ჯერ **ხმალაძეს** მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა. მერე კი გოლის გატანა შეეძლოთ, **იაშვილს**, ჯანაშიას, სპასოევიჩს... მაგრამ დინამოელთა ამ მცდელობებმა უშედეგოდ ჩაიარა. 76-ე წუთზე ყაზახებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს.

ამით "დინამომ" მეორე ანთალიური შეკრებაც დაამთავრა. დუშან უგრინის გუნდს დღეს დილით უნდა ნამოსულიყო საქართველოში. ნედ ზელიჩის გარდა, გუნდს თბილისში სლოვაკი მცველი **მიროსლავ კრშკო** და ჩერნოგორიელი ფორვარდი ილია სპასოევიჩიც მოჰყვებიან. თბილისური კლუბის ხელმძღვანელობა ამ ორ უცხოელზე გადაჭრით ჯერ არაფერს ამბობს, მაგრამ მათი თბილისში ჩამოსვლიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ "დინამოსთან" ურთიერთობას მალე ოფიციალურად გააფორმებენ.

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# იმერელთა მარცხი

**ზესტაფონი 0:2 ლოკომოტივი**

ანთალია. 6 თებერვალი.

0:1 მამინოვი (55); 0:2 მამინოვი (90)

**ზესტაფონი: ჯალალონია, სანტოსი, ონიანი, ჩხეტიანი, ლეანდრო (46. ნოზაძე), თოდუა, საჯაია, ნ. კვასხვაძე (46. ფიფია), იონანიძე (82. ხიდეშელი), ჭელიძე (67. ჯანელიძე), ვიეირა .**

**ლოკომოტივი: იაკუპოვიჩი (რიჟიკოვი,46), სპახიჩი, ეფიმოვი, გოგოლი, სენიკოვი, გურენკო, სამედოვი (მამინოვი,48), ლოსკოვი, ფინინიო (გაბულოვი, 46), იზმაილოვი (სამედოვი, 64), კორჩაგინი (ჩიჩიკოვი, 74).**

მატჩში "ზესტაფონს" ორი მეკარე აკლდა - საქართველოს ნაკრებებში გამოძახებული **გრიგოლ ჭანტურია** და **როინ კვასხვაძე**, აგრეთვე, **ალექსი ბენაშვილი**.

რუსული მხარის ინიციატივით, კლუბებმა წინასწარ დათქმულ დროზე ადრე ითამაშეს.

"ზესტაფონის" ვებგვერდის ინფორმაციით, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ანგარიშის გახსნა ორივე გუნდს შეეძლო. ზესტაფონელთაგან მომენტი **ზურაბ იონანიძემ** ვერ გამოიყენა.

სურათი შესვენების შემდეგაც არ შეცვლილა, თუმცა მოსკოველებმა კლასში უპირატესობა გამოიყენეს. თავისი გუნდი **ვლადიმირ მამინოვმა** დააწინაურა. ამის მერე იმერლებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ **ედიკ საჯაიამ და გიორგი ჭელიძემ** ვერ იხეირეს. მატჩის მიწურულს კი რკინიგზელებმა ქართველები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და მამინოვმა დუბლი გაიფორმა. მატჩს რუს მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა.

"ზესტაფონი" უახლოეს შეხვედრას 9 თებერვალს კორეულ გუნდთან ჩაატარებს.

მატჩის შემდეგ "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** შეგირდთა თამაშით უკმაყოფილო არ იყო: *"თამაში კი წავაგეთ, მაგრამ არ შეიძლება ბიჭებს თავდადება და მონდომება არ დავუფასოთ. ასეთ სახელოვან გუნდთან ნამდვილად არ შერცხვნენ".* მწვრთნელი ასევე კმაყოფილიო დარჩენილა ბრაზილიელთა თამაშით.

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა

# გაგრა საქართველოა!

გუშინ ანთალიაში მყოფმა „გაგრამ" საკონტროლო მატჩი ჩაატარა. **გია გეგუჩაძის** გაწვრთნილებს უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდი "ხარკოვი" დაუპირისპირდა.

სანამ უშუალოდ მატჩის შესახებ ორიოდე სიტყვით მოგითხრობდეთ, "ხარკოვის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ტყუილზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას.

"ამჯერად ჩვენი გუნდის მეტოქეა "გაგრა", რომელიც შარშან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძოდა, მაგრამ შემდეგ აფხაზეთის პირველობაზე გამოსვლა ამჯობინა, რომელსაც უეფა არ ცნობს. რაც შეეხება აფხაზურ ტურნირს, ამ დონეზე "გაგრა" ერთ-ერთი ლიდერია".

მოკლედ **ბესო ჩიხრაძეს** ჩანაფიქრი კინალამ წყალში არ ჩაუყარეს? კაცმა თბილისში აფხაზეთის სახელის მატარებელი გუნდი ფამაგუსტას "ანორთოსისის" ანალოგიით ჩამოაყალიბა, რომ შესაძლო წინსვლის შემთხვევაში ეთქვათ - "გაგრა" ქართული გუნდიაო!

"გაგრის" წარმომადგენლები ვებ-გვერდს ადმინისტრატორს დაუკავშირდნენ და შეცდომა გამოსწორდა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, იგი უკრაინელთა გამარჯვებით 3:0 დასრულდა. გოლები გაიტანეს **სმალკომ, ცელიხმა** და **რიბეირომ.**



კახა ალადაშვილი

ლეგიონერი

# კიევის დინამომ ალადაშვილი დაიბრუნა?

საქართველოს ნაკრების მცველი **კახა ალადაშვილი** ლამის სამი თვე უგუნდოდ იყო და ამ ხნის განმავლობაში, ახალი გუნდის მოძებნას ცდილობდა.

რამდენიმე დღის წინ კახამ გვითხრა, რომ კიევის "არსენალში" გადასვლას სთავაზობენ. მართალია, "დინამომ" შეკრებაზე წაყვანა შესთავაზა და არც ეს დაუმალავს, მაგრამ "არსენალში" მეტი სათამაშო პრაქტიკა მისთვის უფრო მიმზიდველი იყო.

რა შეიცვალა კახას მდგომარეობაში ბოლოს, ჩვენთვის უცნობია. მოხდა კი დაუჯერებელი რამ: კახა ალადაშვილი კიევის "დინამოში" დააბრუნეს, რაც ფეხბურთელს დიდად არ სურდა. გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ის შეკრებაზე მეორე ქართველის, **დათო იმედაშვილის** ნაცვლად წაიყვანეს.

კიევის "დინამო" მესამე მოსამზადებელი ეტაპის გასავლელად ისრაელში, კერძოდ კი კეისარიაში გაემგზავრა. იქ გუნდი 18 თებერვლამდე გაჩერდება და ამის შემდეგ გაირკვევა ქართველი მცველის ბედიც.

კიეველებმა შეკრებაზე წაიყვანეს ალადაშვილის კონკურენტი **ეშჩენკო**. როგორც ჩანს, **ანატოლი დემიანენკო** მათ შორის საუკეთესოს გამოარჩევს და გუნდში დატოვებს.

რაც შეეხება იმედაშვილს, იგი კიევშია და როგორც გვითხრა, სხვა გუნდში განათხოვრებას არ სთავაზობენ და "დინამოში" დარჩენა მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის ასეთი ვითარებაა.

კიეველთა ოფიციალურ ვებგვერდზე კი გარკვევითაა მითითებული, რომ კიევში ტრანსფერზე დაყენებული მოთამაშეები დატოვეს. თუმცა ამ გუნდში რა ხდება, ვინ უწყის.

**მერაბ მამულაშვილი**

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | **კიკნაძე, ზამთარაძე** (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?)** | **რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), **ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი),** გიგაური (დინამო), **ბერუაშვილი (ტორპედო)** | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | **დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო),** | კიკნაძე (ბორჯომი), **იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი)** | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | **ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი,** სილაგავა, სევასტოპულო | **მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი),** კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.), გრბოვიჩი | ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | **იმედაძე (შახტიორი, ყარალანდა), თურმანიძე** | **რ. ონიანი (ოლიმპი),** ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | **ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?) ნავალოვსკი (ოლიმპი),** ნერგაძე, გიგაური (ოლიმპი) | **დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), **ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია),** სირბილაძე | ბაკურიანი, ანთალია |
| ტორპედო | **ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)** | **კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა,** | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | **სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭველიშვილი** | **მამალაძე (ჩიხურა) სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია** | დსთ-ის თასი, თბილისი |
| ლოკომოტივი | **ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი** | **სოსელია, წუნწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო)** | ურეკი |
| ბორჯომი | **ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე** | **კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა)** | ბორჯომი |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | **ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე** (მწვრთნელი), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი (დინამო), თედორაძე (ჩიხურა) | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | **ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა** | — | — |
| ბათუმი | **ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი, ლობჟანიძე, ნაჭყებია** | **ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კეველიშვილი, სოსელია, წუნწუნავა (ლოკომოტივი), კეველიშვილი (მერანი), | **კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი,** | თელავი |




ლივერპულის ახალი ბოსები, ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი

გარიგება

# ლივერპული: არის შეთანხმება!

## მესამე ამერიკული ინვესტიცია პრემიერლიგაში

"ლივერპული" პრემიერლიგის მესამე კლუბი გახდა, რომელიც ამერიკელმა ინვესტორებმა შეიძინეს. ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი **ჯორჯ ჯილეტ-უმცროსისა** და **ტომ ჰიკსის** საკუთრება გახდა. ფინანსური დეტალები მაშინვე არ გაუხმაურებიათ. ოფიციალური განცხადება გვიან ღამით უნდა გაკეთებულიყო.

ბრიტანული მედიის ცნობით, ჯილეტმა, რომელიც "მონრეალ კანადიენსის" მფლობელია და ჰიკსმა, რომელიც "დალას სტარსსა" და "ტექსას რეინჯერსს" ფლობს, 344 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. "ლივერპულის" წარმომადგენლებმა ამერიკელებთან შეთანხმებას დიდი პროგრესული ნაბიჯი უწოდეს. შეგახსენებთ, მერსისაიდელები ინგლისის 18-გზის ჩემპიონები არიან და ჩემპიონთა თასი 5-ჯერ აქვთ მოგებული. ამ ორ კომპონენტში მათ ვერც ერთი ინგლისური კლუბი ვერ შეედრება.

"*მივიღეთ გარანტია, რომ უმოკლეს დროში გამოიყოფა ფინანსები სტენლი პარკზე ახალი სტადიონის ასაშენებლად. გარანტირებულია ფინანსური მხარდაჭერა სასურველი ტრანსფერების გასახორციელებლადაც,*" - თქვა "ლივერპულის" აღმასრულებელმა დირექტორმა **რიკ პერიმ**. კლუბმა ჯერ კიდევ სექტემბერში მიიღო თანხმობა ქალაქის ხელმძღვანელობისაგან, რათა ააშენოს ახალი 60-ათასიანი არენა და 114-წლიანი ისტორიის შემდეგ ლეგენდარულ "ენფილდ როუდს" გამოეთხოვოს. ლივერპულელთა დღევანდელი სტადიონი 45 ათას მაყურებელს ითხოვს. "თაიმსის" ცნობით, ჯილეტი და ჰიკსი "სტენლი პარკის" პროექტზე 423 მილიონ დოლარს დახარჯავენ. კლუბის 157-მილიონიანი დავალიანებიდან კი დაახლოებით 98-100 მილიონს გადაიხდიან. პერის განმარტებით, ამერიკელთა წინადადება ზუსტად ისეთია, როგორიც ინგლისურ მხარეს აწყობდა. ამიტომ სრულფასოვან პარტნიორობას ხელი ვერაფერმა უნდა შეუშალოს.

ამგვარად, მანჩესტერელი **მალკოლმ გლეიზერისა** და ასტონვილელი **რენდი ლერნერის** შემდეგ ინგლისურ ფეხბურთში მესამე ამერიკული ინვესტიცია ჩაიდო. ამ სამეულის გარდა, პრემიერლიგის კიდევ ოთხ კლუბს - "ჩელსის", "ვესტ ჰემს", "პორტსმუთსა" და "ფულჰემს" ჰყავს უცხოელი მეპატრონე.

# არაბებმა თვალი არსენალს დაადგეს

## დუბაის შეიხი ინგლისურ ფეხბურთში ფულის დაბანდებას მაინც აპირებს...

"დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" "ნიუკასლს" არ იყიდის. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" ავრცელებს. პოპულარული ტაბლოიდის მტკიცებით, არაბები "არსენალთან" გამართავენ მოლაპარაკებებს და "ლივერპულისთვის" გამზადებულ თანხას ლონდონელებს გადაუხდიან. DIC დუბაის შეიხ **მოჰამედის** (ის მსოფლიოს მეხუთე უმდიდრესი ადამიანია) საინვესტიციო კომპანია გახლავთ. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ინგლისურ ფეხბურთში ფულის დაბანდება. ამიტომ ადვოკატებს შესაფერისი კლუბის მოძებნა დაავალა.

"არსენალი" ყოველმხრივ მიმზიდველი ვარიანტია. მარტო ის რად ღირს, რომ ახალი სტადიონი ყოველ მატჩზე პირთამდე ივსება. 60 ათასი ბილეთის რეალიზაციით კი უზარმაზარი თანხა შემოდის. აი, რას ამბობს "მეთოფვეებთან" დაახლოებული წყარო: "*კლუბის მომავლის დაგეგმვისას ინვესტიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სტადიონიც გვაქვს და მაღალი დონის კლუბიც, მაგრამ გვჭირდება ფინანსური გარანტიები, რომ მუდმივად მოვახერხოთ "ჩელსისთან", "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ლივერპულთან" მეტოქეობა.*"

### ტოტენჰემს სასჯელი ემუქრება

"ტოტენჰემს" სასჯელი ემუქრება. "მანჩესტერ იუნაიტედთან" ბოლო ტურის მატჩში (0:4) "მამლებმა" უხეში შეცდომა დაუშვეს. მათ არად ჩააგდეს საფეხბურთო ასოციაციის კანონმდებლობა და შესვენებისას, სხვადასხვა რაკურსით, არაერთხელ გაიმეორეს **კრისტიანო რონალდოს** დაცემის ეპიზოდი, რომელსაც პენალტი და ანგარიშის გახსნა მოჰყვა. ყველა დარწმუნდა, რომ 11-მეტრიანი არ ყოფილა. თამაშის განახლებისთანავე რონალდოს მაყურებლის გაათმაგებული რისხვა დაატყდა თავს. მას გამაყრუებლად უსტვენდნენ და აგინებდნენ. სტადიონებზე საკამათო ეპიზოდების გამეორება მთელ მსოფლიოში სწორედ იმიტომ იკრძალება, რომ მან არეულობა არ გამოიწვიოს, ამას გარდა, არბიტრის გადაწყვეტილებას (თუნდაც მცდარს) ყველა დაემორჩილოს და თამაში ჩვეულ კალაპოტში გაგრძელდეს. მოკლედ, "ტოტენჰემმა" წესს გადაუხვია და ახლა საფეხბურთო ასოციაციასთან ექნება საქმე. მისი ხელმძღვანელობისაგან ახსნა-განმარტებებს მოითხოვენ. მამლებს შეიძლება სოლიდური ფინანსური სანქცია გამოუწერონ.

ბაიერნი

# ჰიონესი: მოურინიო? ტყუილია!

## ბეკენბაუერი ჰიტცფელდს ეხვეწება, მინიმუმ ერთი წელი დარჩიო...

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ "ჩელსის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო**, "ბაიერნში" **ოტმარ ჰიტცფელდის** სავარაუდო შემცვლელად მოიაზრება. ამის შესახებ სერიოზული ინგლისური გამოცემა "თაიმსი" იტყობინებოდა. ხსენებულ გაზეთში ეწერა, რომ ბავარიული გიგანტის მენეჯერმა **ული ჰიონესმა** უკვე დაამყარა კონტაქტი პორტუგალიელი მწვრთნელის მრჩეველ **ჟორჟეს მენდესთან** და მოურინიოს "ბაიერნის" გაწვრთნა შესთავაზა. როგორც იცით, გარკვეულია, რომ ჰიტცფელდი რეკორდმაისტერს მხოლოდ ამ სეზონის ბოლომდე გაწვრთნის, ზაფხულიდან კი ჰიონესს, **რუმენიგეს** და **ბეკენბაუერს** გერმანიის რეკორდსმენისთვის ახალი დამრიგებლის ძებნა მოუხდებათ.

ჰიონესი მოურინიოსთან კონტაქტს უარყოფს: "*არც ჟოზესთვის დამირეკავს და არც მის მრჩეველს შევხმიანებივარ. გავიგე, რომ მოურინიოს მრჩეველმა ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა, ჰიონესი შემეხმიანაო. თუ მენდესმა მართლაც თქვა ასეთი რამ, რაშიც ეჭვი მეპარება, მაშინ ის ცრუობს და არ ვიცი, რაში სჭირდება ეს ტყუილი.*" თუმცა ენაჭარტალა ულის ეს სიტყვები ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ სიმართლეს ამბობს, რადგან მასაც არაერთხელ მოუტყუებია ჟურნალისტები. მოურინიოსთან ერთად, "ბილდმა" "ბაიერნთან" მიმართებაში კიდევ რამდენიმე სპეციალისტის გვარი ახსენა. ესენი არიან: ესპანური "ხეტაფეს" თავკაცი **ბერნდ შუსტერი**, "ლიონის" მწვრთნელი **ჟერარ ულიე** (გუშინაც ვწერდით) და ასევე, მსოფლიოს ჩემპიონი, დღესდღეობით უმუშევარი **მარჩელო ლიპი**.

ამასობაში ბეკენბაუერმა ასეთი განცხადება გააკეთა: "*მნიშვნელობა არა აქვს, რას მიაღწევს ჰიტცფელდი ამ სეზონში. ვისურვებდი, რომ მან კონტრაქტი გააგრძელოს და "ბაიერნში" კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი გაატაროს.*" შეგახსენებთ, რომ კაიზერი აქამდე ჰიტცფელდის დარჩენას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვარაუდობდა, თუკი ეს უკანასკნელი მიმდინარე სეზონში "ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოაპოვებინებდა. რას ფიქრობს ბეკენბაუერი იმ შემთხვევაში, თუ ჰიტცფელდი მაინც უარს იტყვის, რაც თითქმის 90 პროცენტით გადაწყვეტილია? კაიზერი: "*ამ შემთხვევაში, ჩვენ მზად ვიქნებით, "ბაიერნი" უმაღლესი დონის სხვა მწვრთნელს ჩავაბაროთ!*"



ბაიერნის კრიზისული შტაბი

შალკე

# ლარსენი ისევ დაშავდა, კობი ბრუნდება

## ექიმები გვარწმუნებენ, რომ ლევანი ჰერტასთან ითამაშებს...



სიორენ ლარსენი და ლევან კობიაშვილი

"შალკეს" დანიელმა თავდამსხმელმა **სიორენ ლარსენმა** წინა სეზონში ბუნდესლიგის 34 შეხვედრიდან 30-ში მიიღო მონაწილეობა და 10 გოლის გატანა შეძლო. ამას გარდა, შარშან მან ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასისა და გერმანიის თასის შეხვედრებშიც (სულ 14) იასპარეზა და ამ ტურნირებზე 4 გოლს მოუყარა თავი. თანაც, ეს იმ დროს, როცა ლარსენი გელზენკირხენული კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრად არ ითვლებოდა და თამაში უმეტესად შეცვლებზე უწევდა. მიმდინარე სეზონში კი აყლაყუდა დანიელს უიღბლობა დასჩემდა.

ლარსენმა ჯერ კიდევ ბუნდესლიგის პირველი ტურის წინ მიიღო სერიოზული ტრავმა და გუნდს ერთი თვე ვერ დაეხმარა. მე-4 ტურში, "ჰერტასთან" მატჩში (2:0 ბერლინელთა სასარგებლოდ) კი დაბრუნდა, მაგრამ ისევ დაშავდა და ექვსკვირიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა. მერე გაირკვა, რომ ლარსენი საოპერაციო იყო და საბოლოო ჯამში მან ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მხოლოდ 4 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, უეფას თასზე და გერმანიის თასზე კი ოდენ თითო-თითო მატჩს მოუყარა თავი. თავდამსხმელი, რომელიც "შალკეში" 2005 წლის ზაფხულში "დიურგარდენიდან" გადავიდა, მოედანზე წესით მომდევნო ტურში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ვარჯიშზე ისევ დაშავდა და გარკვეულია, რომ მინიმუმ ერთ თამაშს (ჰერტასთან) გამოტოვებს, მაქსიმუმ კი ისევ ოპერაცია დასჭირდება.

სამაგიეროდ, ძალიან დიდი შანსია, რომ ბერლინურ კლუბთან შეხვედრაში **მირკო სლომკას** გუნდს, რომელიც გასული უქმეების (ბრემენში 2:0) შემდეგ გერმანიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს, **ლევან კობიაშვილი** დაუბრუნდეს. "შალკეს" სამედიცინო შტაბის ცნობით, კობის თამაში 90 პროცენტით გადაწყვეტილია. შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო კობიმ ვერც "ვერდერთან" ითამაშა და დღეს, საქართველოს ნაკრებსაც ვერ ეხმარება...

მანჩესტერ იუნაიტედი

# საიდუმლო შეხვედრა რეალთან?

## კრისტიანო რონალდოს ბოლო შვებულების ისტორია

**კრისტიანო რონალდოს** ერთ-ერთი აგენტი ამბობს, რომ ესპანურ კლუბებს მისი კლიენტის "მანჩესტერიდან" წაყვანა ძალიან გაუჭირდებათ. "*ყველამ იცის, რომ "რეალს" კრისტიანოს შეძენა სურს, მაგრამ საკითხავია, როგორ აპირებს სამეფო კლუბი ამის გაკეთებას. არ ვარ დარწმუნებული, რომ გაისად რონალდო მადრიდში ითამაშებს. თანაც ფეხბურთელი მარტო "რეალს" არ სურს. "ბარსელონის" სახით, მადრიდელებს სერიოზული კონკურენტი ჰყავთ,*" - აღნიშნავს **მარიამ მონტანო**. ქალბატონი მონტანო იმ სააგენტოს წარმოადგენს, რომელიც სხვა არა ერთი ცნობილი ფეხბურთელის საქმეებსაც აგვარებს, მათ შორის - **ლუიშ ფიგუს** საქმეს.

"სანდი მირორი" იუწყება, რომ დუბაიში გატარებული შვებულებისას კრისტიანო რონალდო "რეალის" წარმომადგენლებს შეხვდა. ამ ინფორმაციამ "წითელი ეშმაკების" ყურამდეც მიაღწია. "იუნაიტედმა" ფეხბურთელს ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. კრისტიანომ დირექტორები დაარწმუნა, რომ შეხვედრა დაგეგმილი არ იყო. ფეხბურთელი და "რეალის" ემისრები უბრალოდ ერთ სასტუმროში აღმოჩნდნენ და მხოლოდ მაშინ გადაეყარნენ ერთმანეთს, როცა კრისტიანო ინგლისში გასაფრენად აეროპორტში მიემგზავრებოდა. მიმომხილველებს ფეხბურთელის გულწრფელობაში ეჭვი ეპარებათ. მათი აზრით, მადრიდელები რონალდოსთან საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავდნენ. თუ ასეა, "რეალს" სასჯელი არ ასცდება, მაგრამ "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა ვითარების გამწვავებას ჯერ არ აპირებს.

"მენიუ" დაილალა გაუთავებელი სპეკულაციებით. ამიტომ კრისტიანოს ახალი კონტრაქტი გაუმზადა. მართალია, მოქმედი ხელშეკრულება 2010 წელს იწურება, მაგრამ კლუბი ფეხბურთელს პირობების გადახედვას სთავაზობს. "მენიუს" პოზიცია ასეთია: კონტრაქტი 2012 წლამდე და საგრძნობლად მომატებული ხელფასი. "მირორს" თუ დავუჯერებთ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში რონალდოს 26 მილიონი გირვანქას გადაუხდიან. **სერ ალექს ფერგიუსონს** ფეხბურთელის გაყიდვაზე ფიქრიც კი არ სურს. მერე რა, რომ კომპენსაციის სახით, 45 მილიონ გირვანქას სთავაზობენ და ფეხბურთის ისტორიაში კი ამხელა თანხა ჯერ არავის გადაუხდია. აი, რას ამბობს "იუნაიტედის" მეორე მწვრთნელი **კარლუშ კეიროში**: "*კლუბს პოლიტიკა ზუსტად აქვს განსაზღვრული. აუცილებელი არ არის, კონტრაქტი ამოიწუროს, რომ ფეხბურთელს მისი გაგრძელება შევთავაზოთ. რაიან გიგზი იუნაიტედში 14 წელია, თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ გააგრძელა ხელშეკრულება. მწვრთნელებმა შესანიშნავად იციან თითოეული მოთამაშის ფასი და მნიშვნელობა კლუბისათვის.*"

რეალი. ახალი ამბები

# რატომ არ გაუშვეს კაპელო?

## იტალიელი ნიჩაბზე იჯდა, მაგრამ ერთ-ერთ დირექტორს გაახსენდა, რომ სამეფო კლუბს კონტრაქტის გაწყვეტა 12 მილიონი ევრო დაუჯდებოდა...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბიო კაპელო დათხოვნას გადაურჩა და გუშინ ვარჯიში ჩაატარა



დევიდ ბექჰემი მადრიდელთა ვარჯიშებზე თავს სტუმრად გრძნობს

როგორც გაუწყეთ, "რეალის" დირექტორთა საბჭომ **ფაბიო კაპელოს** გადაყენების იდეას მხარი არ დაუჭირა. **პრედრაგ მიატოვიჩმა** ეს გადაწყვეტილება მარტივად ახსნა: "არაერთი წარუმატებელი მატჩისა და დიდი იმედგაცრუების მიუხედავად, დარწმუნებულები ვართ, რომ კაპელო ის ერთადერთი ადამიანია, რომელიც სამეფო კლუბის კრიზისიდან გამოყვანას შეძლებს. ჩვენ მას ვენდობით და თანადგომას ვუცხადებთ. გულშემატკივრებს ვთხოვ, შექმნილ სიტუაციას გაგებით მოეკიდონ და გუნდი ფსიქოლოგიურ წნეხს აარიდონ. გვერწმუნეთ, მალე სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება."

ეს ოფიციალური ვერსიაა. არაოფიციალურად კი ითქვა, რომ დირექტორთა სხდომაზე დელეგატების უმრავლესობა იტალიელი სპეციალისტის სასწრაფოდ გადაყენებას უჭერდა მხარს, თუმცა ერთ-ერთმა დირექტორმა კოლეგებს კონტრაქტის მნიშვნელოვანი პუნქტი შეახსენა. საქმე ის არის, რომ თუ მადრიდელები კაპელოს ვადამდე დაემშვიდობებიან, ხელშეკრულების გაწყვეტის გამო, 12 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. ამას ახალი მწვრთნელისთვის გადასახდელი თანხაც უნდა დავუმატოთ და მივხვდებით, რომ დედაქალაქურ გრანდს მართლაც სოლიდური ზარალი ელოდა. ესპანელ მიმომხილველებს თუ დავუჯერებთ, დირექტორატმა ბატონ ფაბიოს თანამდებობა სწორედ მერკანტილური მოსაზრებების გამო შეუნარჩუნა.

თუ ასეა საქმე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი შემწყნარებლობა უსასრულო არ იქნება. ერთია, როცა მრავალი წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც გენდობიან და შენს კვალიფიკაციას ეჭვქვეშ არ აყენებენ, და მეორე, როცა მხოლოდ 12 მილიონის არდაკარგვის გამო გაჩერებენ. ყველაფერს დრო გამოააშკარავებს.

ამასობაში, შექმნილ სიტუაციას **ვისენტე დელ ბოსკე** გამოეხმაურა. სამეფო კლუბის ყოფილმა დამრიგებელმა ამჟამინდელი ხელმძღვანელობის კურსი გააკრიტიკა: "პირველ ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელ ხელმძღვანელობასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. მათგან დაფასებასა და ყურადღებას ვგრძნობ. ფაბიო კაპელოს კვალიფიკაციაშიც არ ვარ დაეჭვებული. ის უდიდესი სპეციალისტია, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება გამოვთქვა. "რეალი" კრიზისშია და ეს კრიზისი გუნდის შიდა სამზარეულოში არსებულმა სიტუაციამ გამოიწვია. გარეშე ფაქტორები უბრალოდ, არ არსებობს. რონალდოს გაყიდვა და ბექჰემის ათვალწუნება დიდ შეცდომად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ფეხბურთელებისადმი ამგვარი დამოკიდებულება მოთამაშეებისა და ხელმძღვანელობის გაუცხოების გარდაუვალი წინაპირობაა. მათ კლუბის წარსულში უნდა ჩაიხედონ, ელემენტარულად ტრადიციებსა და ისტორიას პატივი სცენ. "რეალი" საკუთარ ვარსკვლავებს სულ სხვაგვარად ემშვიდობებოდა ხოლმე. როცა რონალდოს ისე ეპყრობიან, როგორც ვილაც ნაბიჭვარს, შეუძლებელია, ამან სხვებზე გავლენა არ იქონიოს. ჩემი შეფასებით, ეს არის გუნდის მთავარი პრობლემა. ბევრს ჰგონია, რომ შემადგენლობა არ ვარგა. მე შორს ვარ ამ აზრისგან. სწორი მიდგომისა და მუშაობის პირობებში ეს ბიჭები გაცილებით მეტს მიაღწევენ. ასე რომ, უნდა დაფიქრდნენ. ფეხბურთელებს დელიკატურად მოეპყრონ და ისტორიული რეალობები გაითვალისწინონ. კი ბატონო, შედეგი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ოდითგანვე საფეხბურთო ესთეტები იკრიბებოდნენ. გამორიცხულია, "რეალმა" თუნდაც "იუვენტუსისთვის" მოსარგები ტაქტიკით წარმატებებს მიაღწიოს. სამეფო კლუბს სულ სხვა ფეხბურთი სჭირდება."

"რეალზე" საუბარს გუშინ გვიან საღამოს გავრცელებული ინფორმაციით დავასრულებთ. "დიარიო ასის" ცნობით, პირენეული გრანდი **ფილიპ მექსეს** გადასაბირებლად სერიოზულ მუშაობას შეუდგა. ფრანგი ვარსკვლავი "რომასთან" კონტრაქტით 2008 წლის 30 ივნისამდეა დაკავშირებული. იტალიელები მას 7.5 მილიონ ევროდ აფასებენ. "დიარიო ასი" ფეხბურთელს შეეხმიანა. მექსემ ესპანელ ჟურნალისტს დელიკატურად უპასუხა: "ვიცი, რომ რამდენიმე გრანდი მიწვევს, თუმცა მათთან პირდაპირ დიალოგს ვერ დავიწყებ. თუ ვინმეს ჩემთან თანამშრომლობა სურს, პირველ რიგში, "რომას" უნდა დაელაპარაკოს. არანაირი უფლება არ მაქვს, ჩემს გუნდს აგდებულად და უპატივცემულოდ მოვეპყრო."

**რამონ კალდერონმა** რომაელებთან მოლაპარაკება **ფრანკო ბალდინის** დაავალა. სამეფო კლუბის სპორტულმა დირექტორმა არ დაახანა და გუშინ იტალიის დედაქალაქს გაემგზავრა. ვნახოთ, როგორ შედეგს გამოიღებს მისი ვიზიტი.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბარსელონა

# მესის პოლიციაში უჩივლეს

## კატალონიელთა ვარსკვლავმა დედის გინება ვერ მოითმინა, დაუნდობელ ჩხუბს როსარიო სენტრალის უზრდელი ფანების ძვლები, ბარის მაგიდები, სკამები და ჭურჭელი შეეწირა...

ᲒᲣᲨᲘᲜ არგენტინულმა "ლა კაპიტალმა" სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. როსარიოს ერთ-ერთი ბარის მეპატრონემ ქალაქის პოლიციის ცენტრალურ განყოფილებაში საჩივარი შეიტანა. მისი თქმით, ორი კვირის წინათ ახალგაზრდების ჯგუფმა ბარში ივახშმეს და საკმაოდ დიდი რაოდენობის ალკოჰოლი მიირთვეს. შემდეგ ამ ახალგაზრდებმა ჩხუბი წამოიწყეს და ბარი, ფაქტობრივად, დაანგრიეს. აყალ-მაყალს რამდენიმე მაგიდა, ათობით სკამი, ჭურჭელი და ძვირადღირებული სასმელებით სავსე ბოთლები შეეწირა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ხსენებულ ახალგაზრდებში **ლიონელ მესიც** იყო.

პოლიცია საჩივარს გულისყურით მოეკიდა და წინასწარი მოკვლევაც ჩაატარა. საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა. დავამ სასამართლომდე მიაღწია. განაჩენი **დონ ადოლფო კლავერიემ** უნდა გამოიტანოს. მოგეხსენებათ, მესი ტრავმის მოსაშუშებლად სამშობლოში იმყოფებოდა. გასაგები მიზეზების გამო, ლეოს თავისუფალი დრო თავზე საყრელად ჰქონდა. ამიტომ ის მეგობრებთან ერთად აქეთ-იქეთ დაეხეტებოდა. ერთ მშვენიერ დღეს "ბარსელონის" კაშკაშა ვარსკვლავი ძმაკაცებთან ერთად სან მარტინის პროსპექტზე მდებარე ბარში გასართობად შევიდა. გვერდით მაგიდაზე მსხდომი ახალგაზრდები მათ არცთუ კარგად შეხვდნენ. ერთ-ერთმა შეზარხოშებულმა ყმაწვილმა გაიხსენა, რომ მესი ბავშვობაში "ნიუელს ოლდ ბოისის" სკოლაში თამაშობდა. თავად კი "როსარიო სენტრალის" თავგადაკლული ფანი ყოფილა. ეს განსხვავება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ლეოსა და მისი მეგობრებისთვის ღორები ეწოდებინათ. შეურაცხყოფილმა სამეგობრომ მყისვე საკუთარი ღირსების დაცვა გადაწყვიტა, ისინი საჩხუბრად გაიქაჩნენ, მაგრამ დაპირისპირებულთა შორის მესი ჩადგა და კონფლიქტი დროებით განმუხტა.

დიახ, დროებით, რადგან "როსარიოს" ფანებმა რამდენიმე ჭიქა ვისკის დალევის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყეს. ზორბა ჭაბუკმა მთელი ბარის გასაგონად დაიძახა: "შეხედეთ ამ ბოზიშვილებს, ამათ ჰგონიათ, მაგარი ბიჭები არიან. თქვენი "ოლდ ბოისის" დედა ვატირე, თუ მაგრები ხართ, გარეთ გამოდით და იქ გავარკვიოთ ყველაფერი. გამოდით და "ბარსელონაში" ვაკანსია გაჩნდება."

ეს გამოხდომა უკვე თავად ლეომ ვერ მოითმინა და საჩხუბრად პირველმა გაიწია. ის მეგობრებმა არ მიატოვეს. ბარში დაუნდობელი მუშტი-კრივი გაიმართა. მესი და მისი ძმაკაცები "როსარიოს" ქომაგებს შეუბრალებლად ურტყამდნენ. როგორც გითხარით, ყოველივე ამის გამო ბარი სერიოზულად დაზარალდა. მოჩხუბრები აფექტში იყვნენ და ვერც კი მიხვდნენ, რომ მეპატრონისთვის ზარალი უნდა აენაზღაურებინათ. ბარის მმართველი კი ფიქრობდა, ბიჭები დამშვიდდებიან, ყველაფერს გააანალიზებენ, მოვლენ და ზარალს ამინაზღაურებენო. ამასობაში, ორი კვირა გაილია. საბრალო მიხვდა, რომ ტყუილად იცდიდა და საქმეში პოლიცია ჩართო. მოწმეების დაკითხვის შემდეგ გამოძიებას ეჭვი აღარ ეპარება, რომ მხარეებმა მართლაც იჩხუბეს. იურისტების ვარაუდით, ლეო მესისა და მის ძმაკაცებს ბარის გარემონტება, განადგურებული ინვენტარისა და ძვირადღირებული სასმელების ყიდვა დაევალებათ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო, ბიჭებს სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული თანხის შეტანაც მოუწევთ. რაც შეეხება როსარიოელ ფანებს, სასჯელი მათაც არ ასცდებათ. თანამოქალაქეთა სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ჩხუბის პროვოცირებისთვის, მათ სავარაუდოდ ორკვირიან იძულებით მუშაობას გამოუწერენ. შესაძლოა, ისინი მუნიციპალური საავადმყოფოს მშენებლობაზე უბრალო მუშების სტატუსით მიავლინონ. თუ ამ საქმის შესრულებას ითაკილებენ, მაშინ მოსამართლე განაჩენს შეცვლის და უკლებლივ ყველა როსარიოელს ერთწლიან პატიმრობას მიუსჯის. ბუნებრივია, ციხეში ჯდომას საავადმყოფოსთვის თუნდაც ერთი აგურის შემატება სჯობს.

უსიამოვნო ისტორიამ, რა თქმა უნდა, კატალონიაშიც ჩააღწია. მომხდარს პირველად **ჩიკი ბეგირისტაინი** გამოეხმაურა და განაცხადა: "ამ საკითხთან დაკავშირებით ლეოსთან არ მისაუბრია. მე იქ არ ვიყავი და ბუნებრივია, სრულ ინფორმაციას არ ვფლობ... თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მესის შესანიშნავად ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, ის დამნაშავე არ არის. ძალიან უნდა მოინდომო, რომ ამ ბიჭს წონასწორობა დააკარგვინო. ამდენად ზრდილი და თავმდაბალი ადამიანი არსად შემხვედრია. ის აცნობიერებს, რომ მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელია და საკუთარ თავს ზედმეტის უფლებას არასოდეს აძლევს. უბრალოდ, ზოგჯერ ცხოვრება ისეთ სიურპრიზებს გთავაზობს, რომ საკუთარ სახეს მთლიანად კარგავ. თითქმის შეუძლებელია, გულზეხელდაკრეფილი იჯდე მაშინ, როცა ვილაც გარეწარი შენს გამზრდელ დედას ბოზს უწოდებს, შენ კი ღორად მოგიხსენიებს. არ მიკვირს, რომ ლეომ მოთმინება დაკარგა და ვაჟკაცურად იჩხუბა. ნუ იფიქრებთ, ძალადობისა და მუშტი-კრივის მომხრე ვიყო. არავითარ შემთხვევაში, თუმცა დაწერილი ფორმულებით ვერავინ იცხოვრებს. საშინელებაა დედის გინების მოსმენა. ამ დროს თავმოყვარე მამაკაცი სიმშვიდეს ვერაფრით შეინარჩუნებს."

მცირე კომენტარი **ფრანკ რიიკაარდმაც** გააკეთა. ჰოლანდიელი სპეციალისტი ბედნიერია, რომ მისი შეგირდი ჩხუბში არ დაშავებულა: "მესისთან ამ თემაზე არ მილაპარაკია, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მან მართლაც იჩხუბა. არ მგონია, ეს საგაზეთო მონაჩმახი იყოს. მზარავს იმის წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა, ლეოს სერიოზული ტრავმა მიეღო. მისთვის ვინმეს ბოთლი რომ ჩაერტყა?! მართლაც არ მინდა, ეს წარმოვიდგინო. კარგი იქნებოდა, უსიამოვნო ფაქტი არ მომხდარიყო, მაგრამ რადგან მაინც მოხდა, თავს მოვალედ ვთვლი, ჩემი შეგირდი გავამხნეო. ცხოვრებაში ბევრი რამ შეგემთხვევა. მთავარია, კაცმა ღირსება და სიფრთხილე არ დაკარგოს. დედის გინების უფლება არავის აქვს."

**ილია ნიკოლაიშვილი**



ლეო მესიმ ბარსელონაში დაბრუნებამდე სკანდალში გახვევა მოასწრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# ჰანკე, გომესი თუ კურანი?

## სამივე თავდამსხმელი ჩინებულ ფორმაშია...



იოგი ლიოვი გერმანელთა გუშინდელ ვარჯიშზე

დღეს გერმანიის ნაკრები 2007 წლის პირველ შეხვედრას გამართავს. ბუნდესგუნდი დიუსელდორფში შვეიცარიის პირველ გუნდს ამხანაგურად უმასპინძლებს. ბოლო 50-წლეულის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, გერმანიას შვეიცარიასთან 14 თამაში აქვს ჩატარებული და აქედან 12 მოიგო, 2 ფრედ დაამთავრა და არცერთხელ არ დამარცხებულა. გერმანია და შვეიცარია ბოლოს ერთმანეთს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ, ბაზელში გაეჯიბრნენ და ის თამაშიც ბუნდესგუნდმა მოიგო - 2:0. 2006 წელი ალემანებმა კარგად დაასრულეს - ბუნდესნაკრებმა **იოახიმ ლიოვის** ხელში 6-იდან 5 თამაში მოიგო და მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ. შესაბამისად, ჩვენს გერმანელ კოლეგებს ჯერ არ მისცემიათ იმის საფუძველი, რომ **იურგენ კლინსმანის** შემცვლელი ლიოვი გაეკრიტიკებინათ. მოდით, გადავხედოთ ბუნდესგუნდის დღევანდელ შემადგენლობას და გავაანალიზოთ, რომელი ფეხბურთელი როგორ ფორმაშია.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ შეხვედრაში **მიროსლავ კლოზესა** და **ლუკას პოდოლსკის** ვერ დაიხმარს, ლიოვი, წესით, არ უნდა ნერვიულობდეს, რადგან წინა ხაზში მაინც დიდი არჩევანი აქვს. თავდამსხმელებიდან სამი ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაშია და სამივეს თანაბრად შეუძლია ბუნდესგუნდის ღირსების დაცვა. ესენი არიან **კევინ კურანი** (შალკე), **მარიო გომესი** (შტუტგარტი) და **მაიკ ჰანკე** (ვოლფსბურგი). ამათგან ბოლო დროს საუკეთესო აშკარად კურანია. შალკელმა მეორე წრეში იმდენად მოუმატა, რომ მთელი საფეხბურთო გერმანია გააოცა. და შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია ის, რომ ლიოვმა 24 წლის კევინი ნაკრებში დააბრუნა. ის, რომ "შალკე" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს და უახლოეს მდევარ "ვერდერს" 3 ქულით უსწრებს, პირველ რიგში, სწორედ კურანის დამსახურებაა. თანაც, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, კურანიმ არა მხოლოდ გოლების გატანას, არამედ საგოლე გადაცემების კეთებასაც მოუხშირა და პოზიციით ცენტრფორვარდი, ფლეიმეიქერის როლშიც მოგვევლინა, რასაც მისგან არავინ ელოდა. თუკი 2005/2006 წლების სეზონში კურანიმ მხოლოდ 10 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა, მიმდინარე სეზონში (არ დაგავიწყდეთ, რომ გერმანიაში ჯერ მხოლოდ 20 ტურია გასული), უკვე 8 გოლი და ამდენივე პასი აქვს. კურანისთან მიმართებაში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან გერმანიის პირველობაზე თავით ყველაზე მეტი, 5 გოლი შეაგდო.



მაიკ ჰანკე ძირითადში სათამაშოდ მზადაა

სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, სასტარტო შემადგენლობაში თამაშის ღირსია მარიო გომესიც. მეორე წრის სტარტზე 21 წლის შტუტგარტელ ფორვარდს მცირე ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ ხუთმატჩიანი უგოლო სერია მე-19 ტურში შეწყვიტა, როცა "არმინიას" დუბლი შეუსრულა. ეს გომესის პირველი დუბლი გახლდათ მიმდინარე სეზონში. ტანმაღალმა მარიომ გასულ უქმეებზეც გაიტანა. მართალია, მხოლოდ ერთი, სამაგიეროდ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი - გომესმა "შტუტგარტს" დორტმუნდიდან წამოაღებინა სამი ქულა (1:0). ამრიგად, მას უკვე 11 გოლი აქვს გატანილი, რითაც გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორია (კლოზესთან და **პანტელიჩთან** ერთად).

მესამე კი ჰანკეა. ერთი შეხედვით, ეს ფორვარდი კურანისა და გომესს ჩამორჩება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰანკე "ვოლფსბურგში" თამაშობს, გუნდში, რომელიც გაცილებით წარუმატებელია, ვიდრე "შალკე" ან "შტუტგარტი", მისი შედეგიანობა (8 გოლი კურანის დარად) გაცილებით დასაფასებელია, ვიდრე ზემოთ ხსენებული ორი ფორვარდისა. თავად განსაჯეთ: "შალკეს" 36 გოლი აქვს გატანილი, აქედან 8 კურანის; "შტუტგარტს" 33, აქედან 11 გომესს; "ვოლფსბურგს" კი მხოლოდ 18 და აქედან 8 გოლი ჰანკეს ანგარიშზეა. თანაც, თუ დააკვირდებით, "ვოლფსბურგი" არ თამაშობს შემტევ ფეხბურთს და ამ მხრივ ჰანკეს უფრო უნდა უჭირდეს გოლების გატანა, ვიდრე კურანის ან გომესს. მაიკი გერმანიის ნაკრების ძირითადი ფორვარდი არასდროს ყოფილა. ის კლინსმანის წასვლის შემდეგაც სათადარიგო ვარიანტად დარჩა. დღეისთვის ჰანკეს პლუსი ის გახლავთ, რომ შესანიშნავ ფორმაშია: ბოლო ორ თამაშში სამი გოლის გატანა შეძლო.

საინტერესოა, როგორ ითამაშებენ გერმანიის ნაკრებში "ბაიერნის" ფეხბურთელები **ბასტიან შვაინშტაიგერი** და **ფილიპ ლამი**. პოდოლსკი დღევანდელი მატჩისთვის დისკვალიფიცირებულია და როგორც გითხარით, ბუნდესგუნდს ვერ დაეხმარება. თუმცა პოლდი მაინც ნაკრებთან ერთადაა, რადგან **ჰიტცფელდმა** გადაწყვიტა ასე - იქნებ გერმანიის ნაკრებში პოზიტიური მუხტი მიიღოსო. თუ არ ვცდებით, პირველად ხდება ისე, რომ "ბაიერნის" ბოსები გერმანიის ნაკრების ამხანაგურ თამაშს დიდი სიხარულითა და იმ იმედით ხვდებიან, რომ რეკორდმაისტერის ფეხბურთელები დადებით მუხტს მიიღებენ, რადგან "ბაიერნში" კრიზისული მდგომარეობაა.

შვაინშტაიგერმა პირველი წრე სტაბილურად ჩაატარა. მართალია, გერმანიის ნაკრებში გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე "ბაიერნში", მაგრამ მაინც - ზამთრის არდადეგებამდე შვაინის არავინ აკრიტიკებდა. მეორე წრე კი მისთვის კატასტროფულად დაიწყო - სამ შეხვედრაში შვაინიმ ვერცერთი გოლი ვერ გაიტანა და ვერცერთი საგოლე პასი ვერ გააკეთა. ამაზრზენად ითამაშა დორტმუნდსა (2:3) და ნიურნბერგში (0:3), რისთვისაც მიმომხილველებისგან კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაიმსახურა. საშინელ ფორმაშია ლამიც და ის, რომ "ბაიერნმა" ბოლო 3 თამაშში 6 გოლი გაუშვა, სხვა მცველებთან ერთად მისი ბრალიცაა. ეს ნამდვილად არ არის ის ლამი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა ალაფრთოვანა.

დღევანდელ შეხვედრაში ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშებს **კრისტოფ მეტცელდერი**. დორტმუნდელმა ბუნდესგუნდში უკანასკნელად მუნდიალზე, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში იასპარეზა. ვერ ვიტყვით, რომ მეტცე საუკეთესო ფორმაშია, მაგრამ ფაქტია, რომ არც არაფერს აშავებს. უბრალოდ, "ბაიერნის" დამარცხების შემდეგ, მისმა "ბორუსიამ" ზედიზედ ორი თამაში წააგო. აქვე შეგახსენებთ, რომ სეზონის ბოლოს მეტცელდერს BVB-სთან კონტრაქტი უმთავრდება. მისი გადაბირება "იუვენტუსს" სურს.

ექსპერტების ყურადღებას იპყრობს მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ფეხბურთელი **მარსელ იანსენიც**, რომელიც მე-20 ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. მაგრამ არა მარცხენა მცველის პოზიციაზე (სადაც ის უმეტესად თამაშობს ხოლმე), არამედ მარცხენა შემტევი ნახევარმცველისა. **ჰაინკესის** შემცვლელმა **იოს ლუჰუკეიმ** იანსენი, ფაქტობრივად, მარცხენა ფორვარდად ათამაშა და ამ პოზიციაზე მარსელმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ უფრო შემქმნელი ფეხბურთელია, ვიდრე ჩამშლელი. სხვა, ასეთი სწრაფი და შედეგიანი მარცხენა ნახევარმცველი გერმანიის ნაკრებს არც ჰყავს და დიდი შანსია, რომ იანსენი ლიოვმაც ამ პოზიციაზე ათამაშოს.

სხვა ფეხბურთელების ფორმის შესახებ ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკიდანაც შეიტყობთ. და აუცილებლად დაასკვნით, რომ ლუკას პოდოლსკის (ამ ეტაპზე) გერმანიის ნაკრებში არაფერი ესაქმება...

გოტფრიდ ლენცი

| ფეხბურთელი | თ | შ | გ | ა | ყ | წ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლემანი | 24 | 3.21 | 0 | 0 | 4 | 0 |
| ენკე | 20 | 3.13 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ჰილდებრანდი | 20 | 3.03 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მ. ფრიდრიხი | 18 | 3.86 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ა. ფრიდრიხი | 18 | 3.33 | 2 | 0 | 4 | 0 |
| მეტცელდერი | 6 | 3.90 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფრიტცი | 19 | 3.24 | 1 | 2 | 6 | 0 |
| ლამი | 20 | 3.50 | 1 | 3 | 2 | 0 |
| მერტეზაკერი | 15 | 2.93 | 2 | 0 | 1 | 0 |
| იანსენი | 9 | 3.17 | 1 | 1 | 2 | 0 |
| ფრინგსი | 19 | 2.66 | 1 | 4 | 5 | 0 |
| შნაიდერი | 18 | 3.00 | 2 | 4 | 2 | 0 |
| ბალაკი | 19 | 3.42 | 4 | 0 | 5 | 1 |
| ბოროვსკი | 14 | 4.00 | 2 | 1 | 3 | 0 |
| შვაინშტაიგერი | 20 | 3.85 | 3 | 5 | 5 | 0 |
| ჰიტცლშპერგერი | 20 | 3.73 | 4 | 0 | 3 | 0 |
| კლოზე | 18 | 3.06 | 11 | 10 | 0 | 0 |
| კურანი | 20 | 3.35 | 8 | 8 | 2 | 0 |
| ჰანკე | 17 | 3.73 | 8 | 1 | 1 | 0 |
| შლაუდრაფი | 17 | 3.26 | 6 | 4 | 4 | 0 |
| გომესი | 19 | 3.03 | 11 | 6 | 2 | 0 |
| პოდოლსკი | 12 | 4.42 | 1 | 1 | 0 | 0 |

*შენიშვნა: საუკეთესო შეფასება 1, ყველაზე ცუდი - 6.*

ნიურნბერგი

# რკინის ჰანსი 2009 წლამდე

## ფრანკებმა ბაიერნის განადგურების შემდეგ მწვრთნელს კონტრაქტი გაუგრძელეს



ჰანს მაიერი

არაერთხელ დაგვიწერია, რომ **ჰანს მაიერმა** "ნიურნბერგი" ქვესკნელიდან ამოიყვანა და გუნდისგან, რომელიც ქულებს გულუხვად ანიავებდა და გოლს გოლზე უშვებდა, ბრძოლისუნარიანი, ხისტი და რაც მთავარია, წარმატებული კოლექტივი ჩამოაყალიბა. გუშინდელ დღემდე "რკინის ჰანსს" ფრანკებთან უვადო კონტრაქტი ჰქონდა. და იმ დროს, როცა ბუნდესლიგაში მწვრთნელები ერთმანეთის მიყოლებით დაიფრინეს, "ნიურნბერგმა" გამოცდილ და მრავლისმნახველ მაიერს ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომელსაც ვადა 2009 წლის ზაფხულამდე აქვს. მაიერთან ერთად ახალი ხელშეკრულება გააფორმა სპორტულმა დირექტორმა **მარტინ ბადერმაც** - 2010 წლამდე.

*"ალბათ არავინ შემეწინააღმდეგება, თუ ვიტყვი, რომ ჰანს მაიერის ხელში ჩვენმა გუნდმა არნახული პროგრესი განიცადა. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ პროგრესი გაგრძელდეს. ამრიგად, არავის უნდა გაუკვირდეს ის ფაქტი, რომ მაიერს ახალი ხელშეკრულება გავუფორმეთ. მიხარია, რომ მწვრთნელმა უარი არ გვითხრა,"* - აცხადებს "ნიურნბერგის" პრეზიდენტი **მიხაელ ა. როთი**.

შეგახსენებთ, რომ ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობმა მწვრთნელმა (მაიერი იენის "კარლ ცაისს" იმ დროს წვრთნიდა, როცა ამ გუნდს თბილისის "დინამომ" თასების თასის ფინალში მოუგო), "ნიურნბერგი" 2005 წლის 9 ნოემბერს ჩაიბარა და მაშინ **ვოლფგანგ ვოლფი** შეცვალა, რომლის ხელშიც ფრანკები ბოლო ადგილზე იყვნენ. მაშინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდებოდა, მაგრამ მაიერის ხელში "ნიურნბერგმა" არა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ელიტაში დარჩა, არამედ საბოლოოდ, ყველასთვის მოულოდნელად, მე-8 ადგილიც კი დაიკავა.

*"აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რაც მთავარია, ხელმძღვანელები მხარში მიდგანან და ფეხბურთელებიც 100 პროცენტით მომყვებიან. ამ გუნდში მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს,"* - ეს კი თვითონ 64 წლის სპეციალისტის სიტყვებია. აქვე შეგახსენებთ, რომ "ნიურნბერგი" 20 ტურის შემდეგ მე-6 ადგილზეა. ფრანკებს მხოლოდ 17 გოლი აქვთ გაშვებული და ამ შედეგით "ნიურნბერგს" ბუნდესლიგაში საუკეთესო დაცვა ჰყავს. მაიერის შეგირდებმა 20 თამაშიდან მხოლოდ 2 წააგეს, რაც საუკეთესო შედეგია (შედარებისთვის, "ბაიერნს" უკვე 6 წაგება აქვს). პარასკევს "ნიურნბერგმა" სწორედ რეკორდმაისტერს მოუგო 3:0...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ზომები იტალიურ ფეხბურთში

# ნახევარი სერია A ცარიელი ტრიბუნების წინაშე

## ჩემპიონატები შეიძლება, ამ უქმეებზე განახლდეს, მთავრობა საბოლოო გადაწყვეტილებას ხუთშაბათს მიიღებს



იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე ჟურნალისტების გარემოცვაში

იტალიურ ფეხბურთში შექმნილ ფორს-მაჟორულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ორშაბათს მთავრობის წევრები ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარესა და ფედერკალჩოს კომისარს შეხვდნენ. მედია ამ შეხვედრისგან ელოდა საბოლოო პასუხს იმაზე, თუ როდის განახლდებოდა ჩემპიონატები და რა ზომები იქნებოდა მიღებული სტადიონებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საბოლოო გადაწყვეტილება შეხვედრაზე არ მიუღიათ, თუმცა პრინციპული საკითხები უკვე შეთანხმებულია და დიდია ალბათობა, რომ ფეხბურთი იტალიაში ამ უქმეებზე განახლდეს. სპორტის მინისტრმა **ჯოვანა მელანდრიმ** შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად მომზადებული ახალი ნორმების პაკეტი წარმოადგინა. ამ პაკეტით გათვალისწინებულ ზომებს მინისტრთა საბჭო ოთხშაბათს (ან ხუთშაბათს) განიხილავს და დეკრეტის სახით დაამტკიცებს. სწორედ აქ გაეცემა საბოლოო პასუხი კითხვას, რომელსაც იტალიური საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელის - როდის ვითამაშებთ? სხდომის დასრულების შემდეგ პირველი კომენტარი ფედერკალჩოს კომისარმა **ლუკა პანკალიმ** გააკეთა: *„დრო და საშუალება საკმარისად რჩება იმისთვის, რომ ფეხბურთი ამ უქმეებზევე განვაახლოთ. ხუთშაბათს გადავწყვეტთ, დავრთოთ თუ არა კლუბებს ჩემპიონატების განახლების ნება. ყველა მხრიდან არის დიდი ერთსულოვნება და მყარი გადაწყვეტილება, რომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს და ეს დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ის თუ რომელ ტურს ჩავატარებთ განახლების შემდეგ და რომელ საათებში, ამას ფედერაციაში მას შემდეგ გადავწყვეტთ, რაც მთავრობა დეკრეტს მიიღებს. საუბარია არსებული ზომების გამკაცრებაზე და სხვა ახალი ნორმების შემოღებაზე“.* აი, ის ახალი ნორმები, რომელთა დაცვაც იტალიის სტადიონებზე ამიერიდან სავალდებულო გახდება: აიკრძალება ბილეთების კოლექტიურად მიყიდვა სტუმარი გუნდის გულშემატკივრებისთვის. ბილეთები სახელობითი იქნება და გაიცემა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემთხვევაში. ძალადობის ფაქტებზე დაკავებულ პირებს, მათ შორის არასრულწლოვანებს, კანონდარღვევის გამეორების შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება დაეკისრებათ (სტადიონებზე წარწერების წაშლა, ტრიბუნების დასუფთავება). აიკრძალება ყოველგვარი ეკონომიკური ტიპის თანამშრომლობა კლუბებსა და ტიფოზებს შორის. სტადიონების შიდა პერიმეტრზე პოლიციას უსაფრთხოების ოფიცრების სპეციალურად მომზადებული რაზმები ჩაენაცვლებიან. გარდა ამისა, დაუყოვნებლივ ამოქმედდება ე.წ. პიზანუს კანონით გათვალისწინებული სტანდარტები (დანომრილი სკამები, პოსტები უსაფრთხოების ოფიცრებისთვის, ვიდეოთვალი, წინასწარი გაფილტვრის ზონები), რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სტადიონზე მაყურებლები არ დაიშვებიან. ეს კანონი მთავრობამ ორი წლის წინათ მიიღო, მაგრამ იმის გამო, რომ მისი მოთხოვნების შესრულება საკმაო ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ადგილობრივმა პრეფექტურებმა კლუბებს ვადები გადაუწიეს: სადღეისოდ აღნიშნულ ნორმებს სრულად სერია A-ს ოთხი სტადიონი აკმაყოფილებს, თუმცა არის ისეთები, რომლებიც სტანდარტებს თითქმის პასუხობენ და მაყურებლების დაშვებაზე ნებართვას მიიღებენ. „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, ასეთია იმ კლუბების სია, რომლებიც საშინაო შეხვედრებს სტადიონის სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებენ: „ასკოლი“, „ატალანტა“, „კატანია“, „კიევო“ და „უდინეზე“. მილანური „სან სირო“, ფლორენციული „არტემიო ფრანკისა“ და ლივორნოს „არმანდო პიკის“ მსგავსად, იმ სტადიონების კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს და მაყურებლები იქ შეზღუდული რაოდენობით დაიშვებიან.

რაც შეეხება სერია A-ს განახლებას, „გაძეტა დელო სპორტის“ თანახმად, არსებობს ორი ვარიანტი - ამ უქმეებზე კალენდრით გათვალისწინებული 23-ე ტური ჩატარდეს, გამოტოვებული 22-ე ტური კი მომავალ ოთხშაბათს ან პირიქით. თუ პირველად გამოტოვებული ტური ჩატარდა, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ:

**გოგა ახალაძე**

**შაბათს**

**რეჯინა-მესინა**
**ლივორნო-კალიარი**
(მაყურებლების შეზღუდული რაოდენობა)

**კვირას**

**ასკოლი-მილანი**
(ცარიელი ტრიბუნები)
**ემპოლი-ატალანტა**
(ცარიელი ტრიბუნები)
**ლაციო-კიევო**
**პარმა-ფიორენტინა**
**სიენა-ტორინო**
**უდინეზე-სამპდორია**
(ცარიელი ტრიბუნები)
**ინტერი-რომა**
(მაყურებლების შეზღუდული რაოდენობა)

პარასკევს გამართული კატანია-პალერმოს შეხვედრა (1:2) არ გადათამაშდება.

ექსპერტის მოსაზრება

# როგორ მოვუგოთ ბარსელონას

## ლუის ვან გაალი ტოტალური ფეხბურთისა და ტაქტიკური სქემების შესახებ...

წარსულში „აიაქსისა“ და „ბარსელონას“ თავკაცი, დღეს კი „ალკმაარის“ მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** ტოტალური ფეხბურთის მიმდევარია. ეს ტერმინი, რომელიც თავის დროზე **რინუს მიხელსმა** დაამკვიდრა, ჰოლანდიელ სპეციალისტს ასე ესმის: *„ტოტალური ფეხბურთის თამაშით შენი გუნდი განსაზღვრავს თამაშის მიმართულებას, დომინირებს მოედანზე, ქმნის მეტოქეზე უფრო მეტ სახიფათო მომენტს და ერთმნიშვნელოვნად ამჯობინებს შეტევას, ვიდრე თავდაცვას. დაცვიდან თამაშის დროს გუნდს შეუძლია, მეტოქის შემტევი პოტენციალი შეაჩეროს და სივრცე შეუზღუდოს, მაგრამ თამაშის მსვლელობის გაკონტროლებას ვერ შეძლებს. ტოტალური ფეხბურთის არსი ისაა, რომ შეუტიო და ამგვარად თამაში შენი სცენარით წაიყვანო.“*

ჰოლანდიის ჩემპიონატში მონაწილე გუნდები, როგორც წესი, 4-3-3 განლაგებას ამჯობინებენ. მაგრამ კარზე დაგეშილი სამი თავდამსხმელი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გუნდი ტოტალურ ფეხბურთს თამაშობს. *„მაგალითისთვის, პსვ ავიღოთ - ამბობს ვან გაალი – ეინდჰოვენელები ძალიან ფრთხილ ფეხბურთს თამაშობენ. ისინი, როგორც წესი, დიდხანს აკონტროლებენ ბურთს, მაგრამ არა თამაშს, რადგან მეტოქის ნახევარზე პრესინგი არ უყვართ და ბურთის დაკარგვისთანავე საკუთარ ნახევარზე მორბიან. მე კი ტოტალური ფეხბურთი სხვაგვარად მესმის. ჩემი აზრით, ეს არის გამუდმებული, უწყვეტი ზეწოლა მოწინააღმდეგის ფეხბურთელებზე, რაც მათ შეხვედრის გაკოტროლების ყველანაირ შესაძლებლობას ართმევს. ჩვენ გამუდმებით უნდა ვუტევდეთ! ტყუილად არ არის, რომ გულშემატკივრებს ღია, შემტევი ფეხბურთი უყვართ - ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მათი გუნდი წარმატებას აღწევს.“*

როცა **მარკო ვან ბასტენი** ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი გახდა, განაცხადა, რომ კონკრეტული მატჩისთვის ტაქტიკის არჩევაში გადამწყვეტი ფაქტორი იქნებოდა არა მოწინააღმდეგის სიძლიერე, არამედ მისი გუნდის მდგომარეობა. მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ფორმაშია, მაგალითისთვის, მეტოქის ცენტრფორვარდი, მთავარია, არის თუ არა შეხვედრისთვის მზად, სიტყვაზე, **ბულარუზი** ან შენი გუნდის სხვა მოთამაშე. ასეთ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანი ხდება ნდობის ფაქტორი მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის. თუკი ვან ბასტენი რომელიმე მოთამაშეს ძირითად შემადგენლობაში აყენებს, მას ბოლომდე უნდა ენდობოდეს და დარწმუნებული იყოს, რომ დაკისრებულ ამოცანას თავს გაართმევს. და მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მაღალი კლასის ფეხბურთელი იქნება მისი უშუალო მეტოქე. *„სანაკრებო დონეზე ტოტალური ფეხბურთის თამაში არც ისე ადვილია – მიიჩნევს ვან გაალი – ვან ბასტენს მომზადებისთვის სწორი სტრატეგია აქვს არჩეული, მაგრამ სამწუხაროდ, უკვე მიიღო რამდენიმე მცდარი გადაწყვეტილება. მაგალითისთვის, რუუდ ვან ნისტელროოი ნაკრებს დიდ დახმარებას გაუწევდა. მაგრამ თუ ვან ბასტენი ამ ფეხბურთელს არ ენდობა, მაშინ შემადგენლობაში არ უნდა დააყენოს.“*

ჰოლანდიელი სპეციალისტებისთვის ესოდენ საყვარელი 4-3-3 სქემა, ვან გაალის აზრით, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს. *„ეს ყველაზე მოქნილი და ეფექტური განლაგებაა - ამბობს მწვრთნელი - თავად ამ სქემის შიგნით უამრავი ვარიანტის მონახვა შეიძლება, რაც სასურველი შედეგის მიღწევაში გეხმარება. მთავარით დავიწყოთ – ცენტრალური ნახევარმცველის ადგილი მოედანზე. გუნდების უმრავლესობა ამჯობინებს, რომ ის სიღრმეში, საკუთარ კართან უფრო ახლოს დააყენოს (იხ. სურათი 1), მე კი პირიქით, მირჩევნია, რომ შეძლებისდაგვარად ზემოთ ავწიო (იხ. სურათი 2). თუ გინდათ, რომ რომელიმე მცველი შეტევაში ჩართოთ, წინ წაწეული ცენტრალური ნახევარმცველი მას ხელს არ შეუშლის. მაგრამ, როცა ცენტრალური ნახევარმცველი უკან თამაშობს, მაშინ იძულებული გახდება, რომ მცველს გზა დაუთმოს. ამასთან, უკანდახეული ნახევარმცველი თავდამსხმელებს ძალიან დიდი დისტანციით შორდება. ასეთი განლაგების დროს ფორვარდები დანარჩენი გუნდისგან იზოლირებულები რჩებიან. მხოლოდ მოქნილ და მოაზროვნე ნახევარმცველს შეუძლია, დაცვა და თავდასხმა შეაკავშიროს და ესოდენ ფართო ზონა აკონტროლოს. ამიტომ მე ვამჯობინებ, რომ ის მაღლა ავწიო.“*

გაცილებით უფრო პოპულარულ 4-4-2 განლაგებას ვან გაალი არსებობის უფლებას არ ართმევს, მაგრამ არც მის კრიტიკას ერიდება: *„ასეთი სქემით თამაშის დროს ფეხბურთელები სამ, მაქსიმუმ ოთხ მწკრივს ქმნიან (სურათი 3), ჩემი ტაქტიკა კი ერთბაშად ექვს მწკრივს გულისხმობს (სურათი 4). მათემატიკური თვალსაზრისით, 4-3-3 ტიპის ფორმაციაში გაცილებით მეტი შესაძლებლობაა ჩადებული პასებისთვის – როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში. გარდა ამისა, ფეხბურთელები ერთმანეთთან უფრო ახლო-ახლოს დგანან, ამ შემთხვევაში კი პასის ზუსტად მიცემა ბევრად უფრო იოლი ხდება. ბევრი მწკრივი საშუალებას გაძლევს, რომ მეტოქე უკეთ შეაჩერო.“*

ვან გაალის აზრით, ჰოლანდიური სამწვრთნელო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. **გუუს ჰიდინკს** აუტსაიდერი გუნდები მსოფლიო ჩემპიონატების დასკვნით ეტაპებზე გაჰყავს, **ფრანკ რიიკაარდი** გასული სეზონის საუკეთესო ევროპულ გუნდს წვრთნის. *„რიიკაარდმა საუცხოოდ მიუსადაგა ჰოლანდიური სქემა ესპანურ რეალობას. „ბარსა“ ფაქტობრივად, 4-3-3 სქემით თამაშობს და რაც მთავარია, ტოტალური ფეხბურთის ფუნდამენტურ კანონს მისდევს - თუ გამარჯვება გინდა, აიღე ხელში თამაშის სადავეები. მაგრამ იცით, როგორ უნდა დაამარცხოთ „ბარსელონა“? მის წინააღმდეგ ანალოგიური განლაგება უნდა გამოიყენო, თუმცა ერთი ნიუანსიც უნდა გაითვალისწინოთ. კატალონიელები უკანდახეული საყრდენი ნახევარმცველით თამაშობენ, რითაც ცენტრში დიდ თავისუფალ სივრცეს ტოვებენ. გარდა ამისა, გამუდმებული პრესინგის ქვეშ ჰყავთ ის ფეხბურთელი, რომელიც ბურთს ფლობს და ამით მეტოქეს კიდევ უფრო მეტ სივრცეს უთმობენ (სურათი 5). თუ „ბარსას“ პრესინგისგან თავს დაიძვრენ და თავისუფალ ზონაში კარგ პასს გააკეთებ, ნახევარ გუნდს „მოჭრი“. ასეთი ტაქტიკით კატალონიელების დამარცხება „ალკმაარსაც“ კი შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელების კლასში განსხვავება უზომოდ დიდია. ასე რომ, მთავარი ტაქტიკაა.“*

**გოგა ახალაძე**















ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია

# ვისენტე ლაზარეთში დაბრუნდა

## კარბონიმ ალბელდასაც მოაბეზრა თავი, დავიდმა, შეიძლება, კამპ ნოუს მიაშუროს...

იოლი შესაძლებელია, **ვისენტემ** "ბარსელონასა" და "ინტერთან" მატჩები გამოტოვოს. გასულ შაბათს, "ვალენსიის" გარემარბს "ატლეტიკოსთან" პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებაში მარცხენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. გასული დღეების განმავლობაში მას ექიმები კაბინეტიდან კაბინეტში დაატარებდნენ. მედიკოსებს იმედი ჰქონდათ, რომ მასაჟები და ულტრაიისფერი აბაზანები პაციენტს ტრავმისგან განკურნების საშუალებას მისცემდა, თუმცა მათი ოპტიმიზმი არ გამართლა. სიტუაცია იმაზე უფრო სერიოზულია, ვიდრე ექიმები წარმოიდგენდნენ. წინასწარი მონაცემებით, ვისენტეს ორი-სამი კვირა გაუცდება. "ბარსელონასთან" მისი თამაში 100 პროცენტით გამორიცხა. აი, "ინტერთან" შეხვედრამდე კი ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ამასობაში, ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა სრულიად მოულოდნელი ცნობა გაავრცელეს. დაინერა, რომ "ბარსელონა" ვალენსიელი **დავიდ ალბელდათია** დაინტერესებული. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს კლუბის ხელმძღვანელობასთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს. დავიდის წლიური გასამრჯელო მილიონ ევროს მცირედით აღემატება. კონტრაქტის პირობებზე გადახედვის რამდენიმე მოთხოვნამ შედეგი არ გამოიღო. "ღამურების" დირექტორატი კონკრეტული პასუხის გაცემას წაყრუებას ამჯობინებს. ალბელდას კი მოთმინების ფიალა აევსო. როგორც ამბობენ, "ბარსას" შეთავაზებით ის უზომოდ გახარებულია და მენეჯერებს მუხლჩაუხრელი მუშაობისკენ მოუწოდებს.

საგულისხმოა, რომ სხვა ვალენსიელების მსგავსად დავიდსაც **ამადეო კარბონისთან** აქვს პრობლემები. იტალიელი მალალჩინოსანი იმდენად ცუდად მუშაობს, რომ უკვე რამდენიმე ვარსკვლავი დაიპირისპირა. **რობერტო ფაბიან აიალა** და დავიდ ალბელდა უკმაყოფილებას ღიად გამოხატავენ. სხვები ხმაურიან განცხადებებს თავს არიდებენ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გენერალური დირექტორით აღფრთოვანებულები არიან. საკითხავი მხოლოდ ერთია, რას ფიქრობდა **ხუან ბაუტისტა სოლერი**, მაშინ, როცა უალრესად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ისეთ უუმურ და არაკომპეტენტურ ადამიანს ნიშნავდა, როგორიც ამადეო კარბონია?! **ჩიკი ბეგირისტაინი** მესტალიელთა ცხოვრებას ხელებისფშვენეტით ადევნებს თვალ-ყურს. "ბარსას" გენერალური დირექტორი დარწმუნებულია, კარბონის საიმისო სალი აზრი არ აღმოაჩნდება, რომ უკან დაიხიოს, ალბელდას ხელფასი მოუმატოს და ამით გუნდის ერთ-ერთი ლიდერი შეინარჩუნოს. სენიორ ჩიკი სწორედ იმ მომენტს ელის, როცა დავიდს მოთმინების ფიალა აევსება და კატალონიისკენ აიღებს გეზს.



ვისენტე როდრიგესმა ისევ ტრავმა მიიღო

ინგლისის ნაკრები

# ბრიჯის დაშავდა

## ჩელსი მარცხენა მცველის გარეშე დარჩა, ინგლისს რუნი და კერკლანდიც გამოაკლდა...

"ჩელსის" კიდევ ერთი მცველი დაუშავდა. ინგლისის ნაკრების ვარჯიშზე ტრავმა მიიღო **უეინ ბრიჯმა**. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ის დაუყოვნებლივ სახლში გაისტუმრეს. ბრიჯი "არისტოკრატების" ძირითადში **ეშლი კოულის** ნაცვლად თამაშობდა. ის ნაკრებშიც კოულის ტრავმის გამო მიიწვიეს. მაგრამ ინგლისელთა მეორე ვარჯიში 26 წლის მცველისათვის სავალალოდ დასრულდა. ექიმებს მისი დაბრუნების თარილზე არაფერი უთქვამთ.

**სტივ მაკლარენი** დაცვის მარცხენა ფლანგზე ევერტონელ **ფილ ნევილს** ან ასტონვილელ **გარეთ ბერის** ათამაშებს, "ჩელსის" კი ნომინალური მარცხენა მცველი აღარ ჰყავს. გამოჯანმრთელდა კაპიტანი და ცენტრალური მცველი **ჯონ ტერი**, თუმცა **ჟოზე მოურინიოს** ექსპერიმენტების ჩატარება მაინც არ ასცდება.

დავუბრუნდეთ ინგლისის ნაკრებს, რომელსაც ბრიჯის გარდა, კიდევ ორი ფეხბურთელი გამოაკლდა. გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ვერ ითამაშებდა **უეინ რუნი**. "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი "ტოტენჰემთან" საკვირაო მატჩში დაშავდა. მხარის ტრავმის გამო ნაკრებს გამოეთხოვა ვიგანელი მეკარე **კრის კერკლანდი**.



რომან აბრამოვიჩი



ალექსანდრ გაიდამაკი



პინი ზაჰავი

# სუპერაგენტი

## ვინ არის პინი ზაჰავი?

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 29*

### გზამკვლევი ვარსკვლავი

2003 წლის ზაფხულში ზაჰავიმ "ჩელსიში" **რომან აბრამოვიჩის** მისვლას შეუწყო ხელი. ორი წლით ადრე, ჩუკოტკის გუბერნატორი საერთო მეგობარმა მოსკოვში გააცნო. ზაჰავიმ კი მეგობრობა იმით გაამყარა, რომ მილიარდერი სახელმწიფო ჩინოსანი, 2003 წლის აპრილში, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "რეალის" მატჩზე დაპატიჟა. ამბობენ, რომ აბრამოვიჩი სწორედ ამ თამაშის დროს "დაავადდა" ფეხბურთით. ზაჰავიმ მომავალ გარიგებაში უმთავრესი როლი ითამაშა. სწორედ მისი დამსახურებით გამოჩნდნენ ახალი ფეხბურთელები "სტემფორდ ბრიჯზე". 2003 წლის ზაფხულის სატრანსფერო კამპანიის დროს კლუბის მიერ დახარჯული 111 მილიონი გირვანქიდან აგენტმა 5 მილიონი მიიღო...

წლეულს, იანვარში, ზაჰავიმ **ალექსანდრ გაიდამაკს** "პორტსმუთი" აყიდინა. ეს ახალგაზრდა, ისრაელში გადასახლებული ოლიგარქის, იერუსალიმის "ბეითარის" მფლობელის **არკადი გაიდამაკის** ვაჟია.

აგვისტოში ზაჰავიმ ინგლისს ახალი საფეხბურთო რეალობა გააცნო. მისი "წესების" თანახმად, ფეხბურთელი ეკუთვნის არა კლუბს, არამედ რომელიღაც მესამე მხარეს. სენსაციური გარიგების შედეგად, "ვესტ ჰემში" არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები - **კარლოს ტევესი** და **ხავიერ მასკერანო** გადავიდნენ. ტრანსფერი განხორციელდა "მედია სპორტს ინვესტმენტსის" (MSI, რომელთანაც ადრე ფიფას კონფლიქტი მოუვიდა) ხელშეწყობით, კონცერნისა, რომელიც ადრე **კია ჯურაბჩიანს** ეკუთვნოდა და სადაც ზაჰავის შუამავლის როლი აკისრია. *"სამხრეთ ამერიკაში ცალკეულ მოთამაშეთა მფლობელი კომერციული კომპანიები სტანდარტულ პრაქტიკას წარმოადგენს უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, - განმარტავს ზაჰავი, - იგივე იქნება აქაც, თუ ინგლისური ფეხბურთის სიცოცხლისუნარიანობას მოულოდნელად საფრთხე დაემუქრება"*.

ზაჰავი გასულ ზაფხულს დაფუძნებული "ფეხბურთის რაინდთა" ფონდის ერთადერთი კონსულტანტია. ამ ფონდის წევრთა შორის არიან ინგლისური პრემიერლიგის ყოფილი არბიტრი **დევიდ ელერი** და ადვოკატი **დევიდ გრიფიტ-ჯოუნსი**, სპორტული კანონმდებლობის დარგის სპეციალისტი. ფონდის მიზანია, კერძო წყაროებიდან 100 მილიონი გირვანქის შეგროვება, ფეხბურთელებზე კომერციული უფლების მოპოვებითა და მათი გაყიდვით შემოსავლის მიღება. ეს, ზაჰავის აზრით, ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან ტიპურ ფინანსურ სქემათა შორის, რომელშიც თავადაა ჩართული, MSI კი მათ შორის ყველაზე ცნობილია. 2004 წელს MSI-მ, ფაქტობრივად, 10 წლის არენდით აილო ბრაზილიური "კორინთიანსი", შეისყიდა აქციების საკონტროლო პაკეტი და 23 მილიონი გირვანქა გადაუხადა "ბოკა ხუნიორსსა" და "რივერ პლეიტს", ბრაზილიაში ტევესისა და მასკერანოს გადასვლისთვის. ამ ორ ფეხბურთელზე უფლება სწორედ MSI-ს ეკუთვნის, შესაბამისად, 100 და 50 პროცენტით. მასკერანოზე უფლების მეორე ნახევარს კი ზაჰავის საკუთრებაში მყოფი "გლობალ სპორტს ეიჯენსი" განკარგავს.

რაში მდგომარეობს ფეხბურთელთა უპირატესობა, როცა მათზე უფლებებით მესამე მხარე სარგებლობს? ერთ-ერთ ბიზნესმენს, რომელიც ღრმადაა ჩახედული ტევესისა და მასკერანოს ლონდონში გადასვლის საქმეში, მიაჩნია, რომ: *"მოთამაშისთვის სულერთია, ვის ეკუთვნის ის - კლუბს, კერძო პირს თუ კომპანიას. მთავარია, მათზე ვინმე ზრუნავდეს"*.

ტევესის "ბოკადან" "კორინთიანსში" გადასვლა არგენტინელი აგენტის **ფერნანდო იდალგოს** შუამავლობით განხორციელდა. ეს კაცი ზაჰავის პარტნიორია ბუენოს აირესში მოქმედი საერთო კომპანია "HAZ სპორტსიდან". ვარაუდობენ, რომ ტევესისა და მასკერანოს ლონდონში გადასასვლელად, აგენტის მომსახურება, არც მეტი, არც ნაკლები, 5 მილიონი გირვანქა დაჯდა. მაგრამ გარიგებაში შესულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც "ვესტ ჰემი" იძულებულია, გაყიდოს ფეხბურთელები, თუ ხუთი წლის განმავლობაში მათზე წინადადებები შემოვა. მაგალითად, თუ "ვესტ ჰემი" არგენტინელების დატოვებას ისურვებს, მაშინ 40 მილიონი გირვანქა უნდა გადაიხადოს. ეს შესყიდვის ის ვარიანტია, იმ გავრცელებული საკონტრაქტო პუნქტის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც მოთამაშე უნდა გაიყიდოს, თუკი სატრანსფერო თანხა შეთანხმებულია.

### ინგლისს ცვლილებების ეშინია

აქვს თუ არა გლობალიზაციის საუკუნეში რაიმე მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ კლუბს უცხოელები ფლობენ, მოთამაშეებს კი მესამე მხარე? **ჯიმი ჰილს**, რომელმაც ფეხბურთს 50 წელზე მეტი შესწირა, როგორც მოთამაშემ, მწვრთნელმა, ადმინისტრატორმა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ექსპერტმა, მიაჩნია, რომ არც ისე ცუდია ოლიგარქების ექსპანსია და "რაინდთა ფონდის" მსგავსი კომერციული სქემები. მაგრამ მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ფეხბურთში საკმარისი ფული ტრიალებს, რისი მეშვეობითაც კლუბები გადამხდელუნარიანებად რჩებიან. *"შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მომხდარში თვითონ გულშემატკივრები არიან დამნაშავენი, რადგან არარეალურია მათი წარმოდგენა, რომ მათი გუნდი ყოველთვის უნდა იგებდეს"* - ამბობს ჰილი.

გასაგებია, რომ **გორდონ ტეილორი**, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგია: *"ეს ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობას ჰგავს. როცა უცხო პირებს საკუთარი ფინანსური პროცენტები აქვთ ჩადებული მოთამაშეებში, ამას დესტაბილიზაციამდე მივყავართ"*.

მას ეთანხმება **კევინ რობერტსიც**, ყოველთვიური რესპექტაბელური ჟურნალის, "სპორტბიზნესის" დირექტორიც: *"არსებობს საშიშროება იმისი, რომ ფეხბურთელები აღარ იქნებიან კლუბების აქტივების ნაწილი და თითებს შორის გამდინარ წყლად გადაიქცევიან. ამ შემთხვევაში, კლუბი უფლებას კარგავს მოთამაშეზე და როცა ის მიდის, საჭირო კომპენსაციას ველარ იღებს. ბოლო ათწლეულის მანძილზე ფეხბურთი საკმაოდ შეიცვალა. 70-80-ან წლებში ჩანდა, თითქოს ბევრ კლუბს შეეძლო ტიტულის მოპოვება. ახლა, ასე აღარ არის. როცა წლევანდელ ჩემპიონატში "არსენალი" "მანჩესტერ იუნაიტედს" ესტუმრა, სულ ოთხი ტური იყო გასული, მაგრამ მარცხის შემთხვევაში, ხალხი "მეთოფეებს" უკვე საჩემპიონო იმედების გაცრუებას უწინასწარმეტყველებდა... აი, რა მოიმოქმედა აბრამოვიჩის ფულებმა. მან შექმნა კონკურენციის დონე, რომელიც არსებულზე მაღალი აღმოჩნდა"*.

**დენ ჯოუნსს**, ლონდონური აუდიტორული ფირმის, "დელოიტ ენდ თაჩის", საფეხბურთო ექსპერტს, საინტერესო ისტორიული ფაქტი მოჰყავს: *"ინგლისურ ფეხბურთში უკვე შეგვხვედრია მესამე მხარის მფლობელობის მსგავსი მოვლენა. როცა უოტფორდელი დენი შიტუ "ქუინზ პარკ რეინჯერსში" თამაშობდა, ის მესამე მხარეს ეკუთვნოდა. ალექს უინტონმა, "ქუინზ პარკის" ერთ-ერთმა ფანმა, არა მარტო იყიდა მცველი 250 ათას გირვანქად, არამედ პირველი სეზონის მანძილზე ხელფასსაც კი უხდიდა. მაგრამ ინვესტორთათვის მსგავსი დაბანდება რეალურ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან მათ არ შეუძლიათ, გამოიყენონ მოთამაშე სურვილისამებრ და ხელფასის მიღებაზე მათი შანსი ყავაზე მკითხაობას ემსგავსება"*.

ზაჰავი დარწმუნებულია, რომ საფეხბურთო ბიზნესის ამგვარი წარმოება შრომისუნარიანია: *"მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი ეკუთვნის კომპანიას ან კერძო პირებს, ის მაინც კლუბის საკუთრებაა, რადგან ფიფას წესების მიხედვით, მოთამაშის რეგისტრაციის უფლება კლუბის ხელთაა. კერძო პირს ან კომპანიას მხოლოდ ეკონომიკური უფლება აქვთ"*.

ზაჰავის აზრით, გორდონ ტეილორს, როგორც ბევრ სხვას ინგლისურ ფეხბურთში, ცვლილებების ეშინია. თავის როლს თამაშობს ქსენოფობიაც. *"უცხოელთა წინააღმდეგ კომპანიები უკვე ამოქმედდნენ, მე კი მათი ერთ-ერთი სამიზნე ვარ, - ჩივის აგენტი, - ინგლისში არ ესმით ამ ყველაფრის დედაარსი. ის ფეხბურთელი, რომელშიც დარწმუნებული არ ხართ, სჯობს 10 მილიონი გირვანქის ფარგლებში იყიდოთ, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ რისკის ფასს პარტნიორთან ერთად იყოფთ. თუ მოთამაშე ვარსკვლავი ხდება და მასში 30 მილიონის გამომუშავება შეიძლება, მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერს საკუთარ თავს დააბრალებთ. მაგრამ თუ ფეხბურთელი საშუალო დონისაა, ან უფრო სუსტი, თქვენ იტყვით - მადლობა ღმერთს, მარტო მე არ შევმცდარვარ. აი, სულ ეს არის დედაარსიც"*.

*(გაგრძელება მომდევნო ნომერში)*

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

საქართველო

GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

### თითო საფეხურით

ATP-ის ახალი რეიტინგი ორშაბათის ნაცვლად გუშინ გამოქვეყნდა. საქართველოს ნაკრების ორმა მოთამაშემ კლასიფიკაციაში მცირე ცვლილება განიცადა და თითო ადგილი დაკარგა. **ირაკლი ლაბაძე,** რომელსაც 9 თებერვლიდან პორტუგალიელი **ფრედერიკო ჟილის** და მისი გუნდის გატეხვა მოუწევს, მსოფლიოს 171-ე ჩოგანია, 242 სარეიტინგო ქულით. ირაკლის, თუ მალე არ დაუბრუნდა ტურნირებს, უიმბლდონის პირველობის შემდეგ კლასიფიკაციაში სავალალო მდგომარეობა ექნება. ლადო ჩიხლაძე 46 ქულით მსოფლიოს 542-ე ჩოგანია.

### პარიზული გაზი ქვირია

საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** (144) WTA-ს ტურნირში ცდიდა ბედს. პარიზში, "პიერ დე კუბერტენის" სტადიონის ხალიჩაზე "ოუფენ გაზ დე ფრანსი" მიმდინარეობს, ქალ ჩოგბურთელთა ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია. აქ რუსი **ანა ჩაკვეტაძე** მერვე ნომრად არის განთესილი. მაკამ საკვალიფიკაციო ტურნირიდან სცადა ძირითადში გაღწევა, თუმცა ეს მან ვერ შეძლო. პირველ წრეში ჩახნაშვილი ფრანგ **ლაურა ტორპს** შეხვდა, რომელიც მსოფლიოს 325-ე ჩოგანია. მაკამ ორ წრეში, თუმცა დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა - 6:4, 7:6 (3). მეორე წრეში ქართველი იტალიელ **კაია კანეპისთან** (62) დამარცხდა - 3:6, 3:6 და ტურნირს გამოეთიშა. ერთი საკვალიფიკაციო წრის გავლისთვის ჩახნაშვილმა საპრიზო ფონდიდან 1,1 ათასი დოლარი მიიღო.

### ქვაცაბაია ძირითადშია

პორტუგალიურ ვალე დე ლობოში (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გასვლა ვერ შეძლო 18 წლის **ნათია გეგიამ,** რომელიც მსოფლიო კლასიფიაციაში არ არის. გეგიამ ერთი წრე გაიარა, მაგრამ მეორე საკვალიფიკაციო წრეში რუს **ირინა კოტკინასთან** დამარცხდა - 6:4, 4:6, 0:6. სამაგიეროდ, ანალოგიურ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი საქართველოს ყოფილმა ჩემპიონმა **სოფიო ქვაცაბაიამ.** 18 ქვაცაბაია, მეორე წელია, რაც კლასიფიკაციაში არაა, ამიტომ მასაც საკვალიფიკაციო ბატალიებში მოუწია ჩაბმა, ოღონდ ესპანურ მალიორკაში (10 ათასი დოლარი). ორი წრის გავლის შემდეგ ქვაცაბაია ესპანელ **ქრისტინა ბალა-აბელას** შეხვდა და მასაც აჯობა - 7:6 (3), 6:2. ტურნირის ძირითად ბადეში სოფიო ესპანელ **კაროლინა პრატსს** ხვდება, რომელსაც ორგანიზატორებმა "უაილდ ქარდი" მისცეს. პრატსი ჯერ მხოლოდ 14 წლისაა, დიდებში ის სულ მესამე მატჩს თამაშობს.

### ახალგაზრდული რეიტინგი

გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტი. ბიჭებში 16 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** 42-ე ჩოგანია. 261-ე პოზიციაზეა საქართველოს ჩემპიონი **გიორგი ჭანტურია,** რომელიც "დევისის თასზე" პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ ეროვნული გუნდის შემადგენლობაშია. 403-ე პოზიციაზეა 17 წლის **რევაზ ოსაძე,** რომელმაც იანვრის ბოლოს სლოვენიურ ტურნირში წარუმატებლად იასპარეზა. გოგონებში 41-ე ჩოგანია **ოქსანა კალაშნიკოვა,** მისი უფროსი და **მარია** კი 417-ეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გელა ელერდაშვილი



გიორგი ლაბაძე

დევისის თასი. 9-11 თებერვალი. საქართველო-პორტუგალია

## ლაბაძე თბილისშია, ჩიხლაძე დღეს ჩამოვა

9-11 თებერვალს თბილისში საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები პორტუგალიის ნაკრებს დევისის თასის გათამაშებაში დაუპირისპირდება. ჩვენი ნაკრები ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ახლახან ალზევდა და ამ დონის მატჩს პირველად მართავს. პორტუგალიელები გრანდები არ არიან, მაგრამ პირველ ლიგაში სტაბილურად თამაშობენ და გამოცდილებაც საკმარისი აქვთ. სტუმართა რიგებში ახალგაზრდა ჩოგბურთელები არიან, თუმცა ეტყობათ, რომ თამაში შეუძლიათ და მათი დამარცხება ქართველებისთვის იოლი საქმე არ უნდა იყოს.

ჩვენებურები კვლავ ძველი გვარდიით გამოვლენ საბრძოლველად. პირველი ნომერი **ირაკლი ლაბაძეა,** მეორე - **ლადო ჩიხლაძე,** სათადარიგოები - **გიორგი ჭანტურია** და **გიორგი ხრიკაძე**. მატჩის მთელი სიმძიმე ლაბაძე-ჩიხლაძის ზურგზე გადაივლის, როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა. არიან თუ არა სათანადო მზად ქართველები? - ეს კითხვა ძლიერ გვაწუხებს და იმედია, საჭირო პასუხს მივიღებთ.

ჩიხლაძეს სათამაშო პრაქტიკა არ აკლია - ევროპაში სისტემატურად ასპარეზობს და მართალია, დიდი შედეგებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ სათამაშო რიტმში ნამდვილად უნდა იყოს. ლაბაძეს ამ მხრივ უფრო უჭირს - ხელის ტრავმა აწუხებს და ბოლოხანს სისტემატურად ვერ თამაშობდა.

ლაბაძე თბილისშია უკვე და გუნდთან ერთად დღეში ორჯერ ვარჯიშობს. ჩიხლაძე დღეს ეწვევა თბილისს და ალბათ საღამოს ვარჯიშზე შეუერთდება გუნდს. პორტუგალიელებიც ჩამოსულები არიან და ისინიც ორჯერ ვარჯიშობენ დღეში.

თამაშები სპორტის სასახლეში ჩატარდება. მოედნის საფარი ხალიჩაა, რომელიც სწრაფთა კატეგორიაში გადის. სწრაფი კორტი ქართველთათვის მეტად სასურველია, ვიდრე პორტუგალიელებისთვის - ისინი თიხნარზე უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს...

**მოგების რა შანსი გვაქვს და როგორ ფორმაში არიან ქართველი ჩოგბურთელები, ამის შესახებ საქართველოს ნაკრების კაპიტანი გელა ელერდაშვილი გვესაუბრება.**

- სწრაფი კორტი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის უკეთესია, - ლაბაძეც და ჩიხლაძეც ძლიერი მოწოდებით გამოირჩევიან და ეს დიდი კოზირია. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ კარგი მოთამაშე ალღოს ყველა საფარს ულებს და დიდად არ უჭირს თამაში. პორტუგალიელები საკმაოდ გამოცდილები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული ასაკი აქვთ. წლებია, ჩვენი სტუმრები პირველ ლიგაში ადგილს ინარჩუნებენ და ეს მათ კლასზე მეტყველებს.

ლაბაძეს წონაში საგრძნობლად აქვს დაკლებული, რაც შესანიშნავია, მაგრამ მაჯის ტკივილი ხელს უშლის ძლიერ დარტყმებში - ერთი ხელის ნაცვლად ორივეს ხმარობს. იმედია, მაინც შეძლებს მაღალ დონეზე თამაშს და საჭირო გამარჯვებების მოპოვებას. სხვათა შორის, ამ მატჩის დასრულების შემდეგ ირაკლი ოპერაციას გაიკეთებს.

ლადო ჩიხლაძე სრულ მზადყოფნაშია. მასთნა სატელეფონო საუბარი მქონდა და აბსოლუტურად ჯანმრთელია - არაფერი სტიკვა.

**- მეტოქის შესახებ თუ ფლობთ ინფორმაციას?**

- სამწუხაროდ, პორტუგალიელებზე თითქმის არაფერი ვიცით. ლაბაძემ, არსად შევხვედრივარ რომელიმე მათგანსო, ჭატურიას და ხრიკაძეს აქვთ სათადარიგო ჩოგბურთელებთან ერთხელ ნათამაშები და სულ ეს არის.

**- რახან ასეა, გამარჯვებაში ეჭვი ხომ არ გეპარებათ?**

- ნებისმიერი მეტოქე უნდა დააფასო და სერიოზულად მიუდგე. პორტუგალიელები სუსტები არ არიან, თუმცა გამარჯვების მჯერა. პირველ ლიგაში დებიუტი გამარჯვებით უნდა დავიწყოთ. სხვათა შორის, მოგებით პირველ ჯგუფში ადგილს შევინარჩუნებთ.

პორტუგალიელთა დამარცხების შემთხვევაში მეტოქედ სერბეთი გველის - მატჩს სტუმრად გავმართავთ. თუ სერბეთსაც მოვუგეთ, შემდეგი მატჩი ტოპთექვსმეტიდან გამოვარდნილთან გვექნება და წარმატების შემთხვევაში უძლიერეს ჯგუფში გადავალთ. სიმართლე გითხრათ, ეს დღეისთვის უტოპიას გავს, მაგრამ სულაც არ არის შორი ოცნების საგანი. ღმერთმა დაგვიფაროს და თუკი პორტუგალიამ მოგვიგო, ამ შემთხვევაში ჰოლანდიასა და ინგლისს შორის დამარცხებულთან მოგვიწევს ბრძოლა, პირველ ლიგაში დარჩენისთვის. ამ ეტაპზეც სტუმრად მოგველის თამაში.

იმედი გვაქვს, უკუსვლას ავიცილებთ თავიდან და წინ წავალთ. ამაში კი ქართველი გულშემატკივარი აუცილებლად უნდა დაეხმაროს ჩვენს ჩოგბურთელებს. სპორტის სასახლეში ერთხელ მოსვლა გულშემატკივარს 5 ლარი დაუჯდება, სამდღიანი აბონემენტი კი - 12 ლარი ღირს.

**ზვიად შათირიშვილი**

## ნიამორი 2007

### მთები, შეხვედრის უცვლელი ადგილი

**თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების რიგით მეოთხე ფესტივალი "ნიამორი" არაოფიციალურად უკვე დაიწყო.**

ფესტივალის ეგიდით სპორტული და სპორტულ-კულტურული ღონისძიებები იგეგმება, ოფიციალურად კი ფესტივალი გიგანტურ სლალომში ჟურნალისტების შეჯიბრებით გაიხსნება. სტარტი, სულ რაღაც 35 კარი და ფინიში. ყოველივე ეს, დაახლოებით 300-დან 400 მეტრამდე სასრიალო ტრასაა, რომლის გავლაც 11 თებერვალს, 11 საათზე ბაკურიანის ცნობილ "ტატრაზე" დაახლოებით 60 ჟურნალისტს მოუწევს. პირველ ადგილზე გასულებს მაღაზია "ექსტრემმა" საჩუქრად თხილამურები მოუმზადა – ეს პირად ჩათვლაში, გუნდური პირველი ადგილისთვის (გუნდში 3 გოგონა და 3 ვაჟია) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა გარდამავალი თასი დააწესა.

*"ის გუნდი, რომელიც სამი წლის განმავლობაში მოახერხებს გუნდური პირველი ადგილის დაკავებას, პრიზს სამუდამოდ დაიტოვებს".* - განაცხადა **დავით ნამგალაურმა,** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გუშინ, დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა: *"ჩვენ ფესტივალს მეორე წელიწადია გვერდში ვუდგავართ, რადგან მოგვწონს იდეა. მოგვწონს კომპანია "ყაზბეგის" წამოწყებაც – ექსტრემალური ხტომები. საინტერესო სანახავი იქნება. ასე რომ შემოუერთდით ფესტივალს და იმხიარულეთ".* ნიამორი 2007-ის გენერალური სპონსორი სწორედ ნამგალაურის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებაა.

საგანგებოდ, ექსტრემალური ხტომებისთვის კომპანია "ყაზბეგის" სამ განსხვავებულ ტრამპლინს ამზადებს. ექტრემალურ ნახტომს შეაფასებს ჟიური. ტრამპლინიდან კი გადმოხტებიან როგორც თხილამურებითა და სნოუბორდით, ასევე, ციგით, ველოსიპედით და სხვა რაიმე ორიგინალური მოწყობილობით.

სპორტსმენებს და ტურისტებს "ნიამორის" კიდევ ერთ სტარტზე 18 თებერვალს, ატენის ხეობაში, გაყინულ ჩანჩქერზე შეეძლებათ ძალების მოსინჯვა საქართველოს ღია ჩემპიონატზე ყინულზე ცოცვაში.

ფესტივალის დანარჩენი სამი კონკურსი კი სპორტულ-ექსტრემალურ-კულტურული სფეროს ნაწილია.

პირველი ასეთი კონკურსი მოყვარული ფოტოგრაფებისთვისაა. 14 თებერვლისთვის, როდესაც ფოტოგამოფენა გაიხსნება, ჟიურიმ 400-მდე ფოტოდან 46 საუკეთესო შეარჩია. ლიტერატურულ კონკურსში, ჟიური 17 ნაწარმოებიდან ორ საუკეთესოს შეარჩევს. რაც შეეხება ფესტივალის მთავარ, და ფილმების კონკურსს, მათში მონაწილეობს 8 ქვეყნის 34 ფილმი, მათ შორის 8 ქართულია.

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. U 18

### მირანდა და მდევარი

ბათუმელი **მირანდა მიქაძე** გოგონათა ტურნირის უპირველესი ფავორიტი კი არის, მაგრამ ფავორიტობა ყოველთვის პირველობის გარანტია არ არის ხოლმე. თუმცა არა ამ შემთხვევაში - სალომემ კი ისე განვლო საქართველოს პირველობის ნახევარი, ქულაც არ დაუკარგავს და ალბათ ჩემპიონიც გახდება. ყოველ შემთხვევაში, საჩემპიონო თამაშს აჩვენებს და თუკი არ მოეშვა და ყურადღება არ მოადუნა, მდევარი ვერ უნდა დაეწიოს.

მეოთხე ტურში მირანდა თეთრებით ხვდებოდა **ქრისტინე მჟავიას**. ქრისტინესაც სამი ქულა ჰქონდა. დებიუტი მიქაძემ უკეთ გაითამაშა; მცირე უპირატესობას მიაღწია და გამოყენებას შეუდგა. მჟავიამ თითქმის დაიცვა პოზიცია, მაგრამ მირანდამ შეძლო საუკეთესო გზების მოძიება, სასურველ ენდშპილში გადაიყვანა პარტია და გაიმარჯვა.

ამ მოგებით მიქაძემ ერთი ქულით გაასწრო ხუთ უახლოეს მდევარს – **მადონა ბოკუჩავას, მერი ჟორჟოლიანს, ქრისტინე მჟავიას, ანუკი ხაჟომიას** და **თამარ გახოკიძეს**. 2,5 ქულით კიდევ ოთხი მოჭადრაკეა.

უფრო დაძაბულად მიმდინარეობს ტურნირი ჭაბუკებს შორის. 3.5 ქულით ორი მოჭადრაკე ლიდერობს - **შოთა აზალაძე** და **ლუკა პაიჭაძე**. ძალიან დაძაბულ ბრძოლაში აზალაძემ ერთ-ერთ ფავორიტ **დათო ჯოჯუას** მოუგო თეთრებით. ლუკა პაიჭაძემ შავებით შეძლო თავი დაეცვა **გიორგი მარგველაშვილის** შეტევებისგან და ყაიმს გამორჩა. მარგველაშვილს 3 ქულა აქვს. მეორე დაფაზეც ყაიმი დაფიქსირდა - შავებით მოთამაშე **დავით ბენიძემ** დებიუტში პოზიცია გაათანაბრა და **თორნიკე სანიკიძემ** ზედმეტ რისკს თავი აარიდა...

ჭაბუკებში, ცხადია, ჯერ არაფერია გარკვეული და აქ ბოლო ტურამდე იქნება ინტრიგა შენარჩუნებული. სამი ქულა 10 მოჭადრაკეს აქვს, 2.5 - რვას და დასრულებამდე 5 ტურით ადრე იოლი ცხოვრება არავის ელის.

აქ ერთიც უნდა გამოვარჩიოთ: ჭაბუკებში ერთადერთი გოგონა, **სოფიკო გურამიშვილი** თამაშობს. სოფო 16 წლისაა, მსოფლიო ჩემპიონატის საგზური უკვე აქვს და საკუთარ ძალებს ჭაბუკებთან ცდის. სხვათა შორის, წარმატებულადაც, - მესამე ტურში სანიკიძესთან დამარცხდა, დანარჩენ სამში კი იმარჯვა, ერთ-ერთი ლიდერია და დღეს თეთრებით მარგველაშვილს ხვდება.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



| ფინალი |
|---|
| მაკაბი-სტუ 86:84 |
| დინამო-ავიამშენი 94:107 |
| თსუ-აზოტი 93:108 |

**საუკეთესო მაჩვენებლები**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქულა** | | | |
| 44 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ | 105:91 |
| **მოხსნა** | | | |
| 22 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ 86:84 | |
| **პასი** | | | |
| 12 | გიორგი დოლიძე | სტუ-მაკაბი | 96:85 |
| 12 | ირაკლი ბერიშვილი | დინამო-ავიამშენი | 94:107 |
| **ჩაჭრა** | | | |
| 7 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |
| **დაფარება** | | | |
| 4 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 96:73-137:86 |
| 4 | ჟულივეტ ტუჯანი | აზოტი-დინამო | 96:61 |
| **შეცდომა** | | | |
| 13 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 10 | 332 | 33.2 |
| 2. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 11 | 250 | 22.7 |
| 3. ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 243 | 22.1 |
| 4. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 10 | 163 | 16.3 |
| 5. ბესიკ ლეჟავა | თსუ | 11 | 165 | 15.0 |
| 6. დავით გვიმრაძე | დინამო | 9 | 135 | 15.0 |
| 7. ზურაბ ბადრიძე | დინამო | 11 | 158 | 14.4 |
| 8. შიო ხეცურიანი | თსუ | 9 | 129 | 14.3 |
| 9. ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 9 | 127 | 14.1 |
| 10. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 11 | 155 | 14.1 |
| 11. ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 148 | 13.5 |
| 12. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 147 | 13.4 |
| 13. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 11 | 144 | 13.1 |
| 14. ლუკა შანიძე | თსუ | 11 | 138 | 12.5 |
| 15. შალვა კოხრეიძე | სტუ | 11 | 129 | 11.7 |
| 16. გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 11 | 128 | 11.6 |
| 17. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 11 | 128 | 11.6 |
| 18. დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 101 | 11.2 |
| 19. ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 10 | 111 | 11.1 |
| 20. გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 5 | 55 | 11.0 |
| 21. გულივერ ახალკაცი | სტუ | 11 | 120 | 10.9 |
| 22. კოტე ტულუში | აზოტი | 9 | 97 | 10.8 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | მ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 10 | 139 | 13.9 |
| 2. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 11 | 92 | 8.4 |
| 3 .სოსო შერმადინი | მაკაბი | 11 | 88 | 8.0 |
| 4. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 11 | 76 | 6.9 |
| 5. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 11 | 71 | 6.5 |
| 6. დავით მაისურაძე | სტუ | 7 | 43 | 6.1 |
| 7. პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 7 | 42 | 6.0 |
| 8. თორნიკე ნინიაშვილი | ავიამშენი | 8 | 47 | 5.9 |
| 9. გულივერ ახალკაცი | სტუ | 11 | 64 | 5.8 |
| 10. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 10 | 57 | 5.7 |
| 11. ჟურივეტ ტუჯანი | აზოტი | 9 | 50 | 5.6 |
| 12. შალვა კოხრეიძე | სტუ | 11 | 58 | 5.3 |
| 13. ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 10 | 51 | 5.1 |
| 14. ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 56 | 5.1 |
| 15. დავით გვიმრაძე | დინამო | 9 | 45 | 5.0 |
| 16. ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 55 | 5.0 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | პ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 76 | 6.9 |
| 2. გიორგი დოლიძე | მაკაბი | 11 | 69 | 6.3 |
| 3. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 11 | 69 | 6.3 |
| 4. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 10 | 49 | 4.9 |
| 5. ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 52 | 4.7 |
| 6. დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 42 | 4.7 |
| 7. ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 49 | 4.5 |
| 8. კოტე ტულუში | აზოტი | 9 | 38 | 4.2 |
| 9. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 10 | 42 | 4.2 |
| 10. შალვა კოხრეიძე | სტუ | 11 | 44 | 4.0 |
| 11. შიო ხეცურიანი | თსუ | 9 | 33 | 3.7 |
| 12. ბუბა ბერიშვილი | თსუ | 11 | 38 | 3.5 |
| 13. ზურაბ ბადრიძე | დინამო | 11 | 37 | 3.4 |
| 14. ლევან ტყეშელაშვილი | თსუ | 5 | 16 | 3.2 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. შალვა კოხრეიძე | სტუ | 11 | 33 | 3.0 |
| 2. ბუბა ბერიშვილი | თსუ | 11 | 29 | 2.6 |
| 3. ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 27 | 2.5 |
| 4. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 11 | 26 | 2.4 |
| 5. ზურაბ ბადრიძე | დინამო | 11 | 25 | 2.3 |
| 6. კოტე ტულუში | აზოტი | 9 | 19 | 2.1 |
| 7. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 10 | 20 | 2.0 |
| 8. გიორგი დოლიძე | მაკაბი | 11 | 20 | 1.8 |
| 9. გულისაბედაშვილი | დინამო | 10 | 17 | 1.7 |
| 10. ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 18 | 1.6 |
| 11. ჟურივეტ ტუჯანი | აზოტი | 8 | 13 | 1.6 |
| 12. დავით მაისურაძე | სტუ | 7 | 11 | 1.6 |
| 13. ნიკო ნოზაძე | დინამო | 11 | 17 | 1.5 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 10 | 23 | 2.3 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 11 | 13 | 1.2 |
| 3. პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 7 | 7 | 1.0 |
| 4. ჟულივეტ ტუჯანი | აზოტი | 9 | 6 | 0.7 |
| 5. კოტე ტულუში | აზოტი | 9 | 5 | 0.6 |
| 6. გულივერ ახალკაცი | სტუ | 11 | 6 | 0.5 |
| 7. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 11 | 6 | 0.5 |
| 8. მიხეილ ჟოჟუა | აზოტი | 8 | 4 | 0.5 |
| 9. სოსო შერმადინი | მაკაბი | 11 | 5 | 0.5 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 10 | 64 | 6.4 |
| 2. შალვა კოხრეიძე | სტუ | 11 | 56 | 5.1 |
| 3. ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 11 | 55 | 5.0 |
| 4. ირაკლი მაისურაძე | მაკაბი | 5 | 20 | 4.0 |
| 5. ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 11 | 44 | 4.0 |
| 6. გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 5 | 18 | 3.6 |
| 7. გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 11 | 39 | 3.5 |
| 8. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 11 | 39 | 3.5 |
| 9. ბესიკ ლეჟავა | თსუ | 11 | 37 | 3.4 |
| 10. ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 35 | 3.2 |
| 11. ბუბა ბერიშვილი | თსუ | 11 | 34 | 3.1 |
| 12. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 34 | 3.1 |
| 13. სოსო შერმადინი | მაკაბი | 11 | 33 | 3.0 |
| 14. დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 27 | 3.0 |

საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა

# 22 ქულა საუკეთესოს, მოხსნა რეკორდსმენს

**დღეს ოთხშაბათია და ვაგრძელებთ გასული წლის წამოწყებას - გთავაზობთ ტურის საუკეთესო კალათბურთელის ინტერვიუს, სიმბოლურ ნაკრებსა და ჩემპიონატის სტატისტიკური ლიდერების ჩამონათვალს.**

ინტერვიუმდე ერთ ფაქტზე შევჩერდებით. მესამე წრის საწყისმა ტურმა ნათლად გვიჩვენა, რომ ქორქია-საკანდელიძის მემორიალისა და თასის გათამაშების იანვარში გამართვის იდეა სწორი იყო - ამ ტურნირებზე გუნდებმა ფორმა აკრიფეს და ჩემპიონატის მე-11 ტურს სათანადოდ მომზადებულები შეხვდნენ. ამაში მატჩების თვითმხილველებიც დაგვეთანხმებიან და სტატისტიკაც: ოპტიმალურ ფორმაში რომ არ ყოფილიყო, მაკაბელი **გიორგი შერმადინი** 42 ქულასა და 22 მოხსნას ვერ გააკეთებდა. სხვათა შორის, 22 მოხსნა მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდია. ასევე რეკორდი გაიმეორა "ავიატორმა" **ირაკლი ბერიშვილმა** - 12 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ერთ მატჩში ამდენივე პასით შემოდგომით "მაკაბის" გამთამაშებელმა **ირაკლი დოლიძემ** გააკეთა.

ირაკლი, ოღონდ ბერიშვილი მე-11 ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრას ნამდვილად იმსახურებდა (21 ქულა, 12 პასი, 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა), მაგრამ რადგან მისი მეტოქე სუსტი "დინამო" იყო, თან უკანა ხაზში სერიოზული კონკურენციაა, გადავწყვიტეთ **ბერიშვილ-ბაბიაშვილის** (29 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი) დუეტი ოქროს სათადარიგოებად გაგვემწესებინა.

სიმბოლური ხუთეული ასე გამოიყურება:

**ლაშა გამყრელიძე** -21 ქულა, 10 პასი, 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა.

**კოტე ტულუში** - 22 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება.

**ნოდარ ბერაია** - 25 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი, 4 ჩაჭრა.

**დავით უგრეხელიძე** - 19 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება

**გიორგი შერმადინი** - 42 ქულა, 22 მოხსნა, 8 პასი, 1 ჩაჭრა, 3 დაფარება.



კოტე ტულუში

**ტურის MVP-დ დასახელდა ცენტრალური მატჩის (თსუ-"აზოტი") გამორჩეული მოთამაშე კოტე ტულუში, რომელმაც საუბარი თამაშის შეფასებით დაიწყო.**

- უნივერსიტეტთან მძიმე მატჩი გვქონდა, იმის გათვალისწინებით, რომ თასის ფინალის წაგების შემდეგ რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიყავით. თუმცა საბოლოოდ, მობილიზება მოვახერხეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**- ეს ზედიზედ მე-11 გამარჯვება იყო...**

- წაგებას არც შემდეგში ვაპირებთ.

**- მაინც, რით სჯობს "აზოტი" სხვებს?**

- შეიძლება თსუ-სა და "ავიამშენს" ზოგ კომპონენტებში ორი თავით ვერ ვჯობივართ, მაგრამ შემადგენლობით, მომზადებითა და პირობებით მაინც უკეთესი გუნდი ვართ. ხმამაღალი ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, დავამატებ - სხვა გუნდებშიც ბევრი კარგი კალათბურთელი თამაშობს.

**- ესე იგი, ყველა გზას "აზოტის" ჩემპიონობისკენ მივყავართ?**

- თუ ფინალებამდე ჯანმრთელები მივედით, იქაც უნდა გავიმარჯვოთ. მითუმეტეს, რომ მოედნის უპირატესობა ჩვენს მხარეს იქნება. თუმცა მანამდე დიდი დროა...

**- მე-15 ჩემპიონატის MVP გასულ 10 ტურში საუკეთესოდ ერთხელაც რომ არ დაგასახელეს, ტრავმის ბრალი ხომ არ არის?**

- კოჭი ისევ მაწუხებს. მისი დასვენებისთვის დრო ვერ გამოვნახე. თუმცა ნელ-ნელა თავისით ცხრება.

**- ტეიპს არ ხმარობ?**

- ეს კოჭის გადასახვევი საშუალება ნაკრების ექიმმა მომცა, მაგრამ სექტემბრის შემდეგ არ მიხმარია, რადგან ძალიან ძვირი ჯდება. მაგალითად, სლოვენიაში ყველა კალათბურთელი ვალდებულია ტეიპს ატარებდეს. თუ კოჭი დაიზიანე და აღმოჩნდა, რომ მის გარეშე თამაშობდი, სერიოზული ჯარიმა არ აგცდება.

**- როგორ ფიქრობ, თსუ-სთან ამ სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარე?**

- ალბათ, არა. საუკეთესო "ავიამშენთან" ნათამაშები ორი შეხვედრა იყო. პირველი - დადიანის მემორიალის ფინალში, სადაც 34 ქულა ჩავაგდე და მეორე - თასის ფინალში, სადაც 28 ქულა დავაგროვე. აქაც 34 რომ ჩამეგდო, მოვიგებდით კიდეც და "ავიამშენთან" ბოლო შეხვედრა ცუდად აღარ გამახსენდებოდა.

**- როგორ ფიქრობ, წლევანდელი პირველობა წინასგან რითი განსხვავდება?**

- ჯერ სახელით - "სუპერლიგა", შემდეგ ქომაგთა რაოდენობით. რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას მატჩებზე ამდენი გულშემატკივარი არ მახსოვს. ეს კალათბურთელებზეც დადებითად მოქმედებს. სად სავსე ტრიბუნების წინაშე თამაში და სად ცარიელ დარბაზში მხოლოდ ჟურნალისტის წინაშე სირბილი... ცუდი ისაა, რომ ამ სეზონში ექვსზე მეტი გუნდი რომ ვერ შეიკრიბა. აქედან მხოლოდ 3 კლუბია, რომელსაც ჩემპიონობის პრეტენზია აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველები NBA-ში

# ზაზა, შემონდი და კობი



ატლანტა-ლეიკერსი

5 თებერვალს **ზაზა ფაჩულიას** სტუმრად ეწვია საქართველოს ნაკრების ყოფილი გამთამაშებელი **შემონდ უილიამსი**, რომლის "ლეიკერსმა" ატლანტაში "ჰოქსი" 90:83 დაამარცხა.

ზაზასა და შემონდს ერთმანეთის წინაშე მოედანზე დგომა არ მოუწიათ. უილიამსი მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამს არ მოაშორა, ფაჩულიამ კი ბოლო 16 მატჩში ყველაზე მეტი, 14 ქულა ჩააგდო (7-დან 4 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო).

ჩვენი ნაკრების ყოფილ წევრსა და "ატლანტის" 27-ე ნომრის შესახებ სალაპარაკო ბევრი არაფერია. რიცხვი 27 კი მატჩის შემდეგ ყველას პირზე ეკერა. მოვუსმინოთ, "ჰოქსის" მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს**: *"კობი ბრაიანტი საწყის 3 პერიოდში მშვიდად იყო, მაგრამ გადამწყვეტ ათწუთეულში იფეთქა და 27 ქულა ჩაგვიგდო. თავმოყვარე გუნდი ნებისმიერ მეტოქეს, თუნდაც ის ბრაიანტი იყოს, 12 წუთში 27 ქულას არ უნდა აგდებინებდეს."*

**ატლანტა-ლეიკერსი 83:90**

14:16, 17:24, 26:22, 26:28

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (45 წთ. 27 ქ. 5 მ. 5 პ. 1 ჩ), ჯოშ სმიტი (44 წთ. 20 ქ. 8 . 7 პ. 3 დ. 2 ჩ), ლიუ (24 წთ. 8 ქ. 2 ჩ. 1 პ), ლ. რაიტი (15 წთ. 2 ქ. 5 მ. 1 დ), მერვინ უილიამსი (21 წთ. უქულოდ, 5 მ. 1 პ) – **ზაზა ფაჩულია (26 წუთი, 14 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, 5 ფოლი)**, ჩილდრესი (34 წთ. 11 ქ. 8 მ. 1 ჩ), შელდენ უილიამსი (6 წთ. 1 ქ. 2 მ), კლექსტონი (19 წთ. უქულოდ, 4 პ. 2 მ. 1 ჩ),

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (40 წთ. 27 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ), ოდომი (41 წთ. 15 ქ. 18 მ. 6 პ), ბინუმი (35 წთ. 14 ქ. 10 მ. 1 პ. 1 დ), რადმანოვიჩი (24 წთ. 7 ქ. 2 მ. 2 პ. 1 ჩ), ს. პარკერი (30 წთ. 3 ქ. 6 ჩ. 5 პ. 2 მ) – ტურიაფი (12 წთ. 8 ქ. 3 მ. 1 დ), მ. ევანსი (28 წთ. 6 ქ. 4 მ. 1 დ), ფარმარი (17 წთ. 6 ქ. 1 მ), ვუიაჩიჩი (8 წთ. 4 ქ).

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 10:05 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 09:32 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 08:35 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 07:54 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (4:6) |
| 06:47 | ფოლი: 1 |
| 04:35 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:33 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 02:39 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (10:10) |
| 02:08 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 01:23 | ფოლი: 2 (ტურიაფზე დაჯარიმდა) |
| 01:23 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

| II მეოთხედი | |
|---|---|
| არ უთამაშია | |

| III მეოთხედი | |
|---|---|
| 06:07 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 04:32 | ფაჩულიაზე მ. ევანსი დაჯარიმდა |
| 04:32 | საჯარიმოები: 2/2 (6 ქ. 47:55) |
| 04:13 | ჩაჭრა: 1 (ბრაიანტს ჩაუჭრა) |
| 03:58 | მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2) |
| 02:48 | ფაჩულიაზე მ. ევანსი დაჯარიმდა |
| 02:48 | საჯარიმოები: 2/2 (8 ქ. 50:55) |
| 00:46 | ფოლი: 3 (ტურიაფზე დაჯარიმდა) |
| 00:30 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |

| IV მეოთხედი | |
|---|---|
| 11:07 | ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (61:64) |
| 10:19 | ორქულიანი ტყორცნა: 12 ქ (63:66) |
| 09:14 | მოხსნა: 5 (შეტ: 3, დაც: 2) |
| 09:13 | ფაჩულიაზე ტურიაფი დაჯარ. |
| 09:13 | საჯარიმოები: 2/2 (14 ქ. 65:68) |
| 06:20 | მოხსნა: 6 (შეტ: 4, დაც: 2) |
| 05:26 | პასი: 1 (ჯო ჯონსონი, 3 ქ. 71:75) |
| 03:27 | მოხსნა: 7 (შეტ: 4, დაც: 3) |
| 02:38 | ფოლი: 4 |
| 01:30 | ფოლი: 5 (ბრაიანტზე დაჯარიმდა) |
| 00:27 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 44 მატჩი, 11.4 ქულა, 6.6 მოხსნა, 1.6 პასი, 1.1 ჩაჭრა, 0.4 დაფარება, 3.7 ფოლი, 2.3 შეცდომა; ატლანტა **ჰოქსი:** 47 მატჩი, 18 მოგება, 29 წაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-11 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში;

**მომდევნო მატჩი:** ატლანტა – ნიუ ჯერსი (7 თებერვალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფალი ჭიდაობა



საქართველოს ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე

ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

# გორი გორია: სამი ჩემპიონი, სამიც პრიზიორი

**ი**ანვარში, ბათუმში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე გორელი ფალავნები ძველებურად კარგად გამოვიდნენ და სამ-სამი ოქროსა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ცხადია, საინტერესო იქნება მწვრთნელის, ნუგზარ სხირელის შეფასება.

**- თქვენი შეგირდების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ალბათ ელოდით ასეთ შედეგს საქართველოს ჩემპიონატზე...**

- რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ უმედლოდ არ დავრჩებოდით. მეტიც, ოქროსაც მინიმუმ იმდენს ვგეგმავდით, რაც მოვიპოვეთ. იყო შანსი კიდევ უფრო ხელხვავიანად წამოვსულიყავით ბათუმიდან, მაგრამ ცუდიც არაფერი მომხდარა - იმ ბიჭებს, რომელთაც ამ ეტაპზე ხელი მოეცარათ, მომავალში კიდევ მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება. მიღწეულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისევ სერიოზული ძალა ვართ - გორის საჭიდაო სკოლა პირველ ნაკრებშიც ისევ რამდენიმე მოჭიდავით იქნება წარმოდგენილი.

**- თუ შეიძლება, სათითად დაგვიხასიათეთ პრიზიორების გამოსვლა.**

- 55 კილოგრამში დიდი ხანია, ფავორიტი ბესიკ გუჩაშვილია. ბესო ამჯერადაც იოლად გაუსწორდა ყველა მეტოქეს და უკვე მეექვსედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი კიდევ ერთმა გორელმა, ამირან ელბაქიძემ დაისაკუთრა. ჩემპიონი მომდევნო, 60 კილოშიც ჩვენი იყო. გიორგი ბალიაშვილი კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენია, მაგრამ რამდენჯერმე უიღბლობამ ხელი შეუშალა თავისი შესაძლებლობების გამოვლენაში. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი ბრწყინვალედ გააკეთა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. 66 -ში ერთპიროვნული ლიდერი, ოთარ თუშიშვილი წონამომატებული იყო და არც გვიცდია, ამ ტურნირისთვის წონის დაკლებაზე მუშაობით დაგვეტანჯა.მას წლეულს საერთაშორისო არენაზე აქვს სერიოზული შეჯიბრებები გასავლელი და მთავარია იმ დროს იყოს მწყობრში. ამიტომაც ვაჭიდავეთ 74-ში, მაგრამ შედეგი არ მოგვითხოვია. სხვათაშორის, ოთარი გორელ ნიკა ტლაშაძესთან დამარცხდა, რომელმაც შემდეგ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 66 კილოში მსგავსი შედეგი მნაცაკან არუთინიანმა აჩვენა.

**- და გიორგი გოგშელიძე. ყველა ელოდა მისი და ლუკა კურტანიძის შერკინებას, რომელიც სამწუხაროდ არ შედგა.**

- ძალიან საინტერესო დაპირისპირება იქნებოდა. მართლაც, მთელი საქართველო ელოდა ამას, მაგრამ კურტანიძემ ვერ გააღწია ფინალამდე, სადაც თავის მხრივ იოლად მივიდა გოგშელიძე და ოქროც უპრობლემოდ მოიპოვა. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ გია ნაკრებისთვის შეუცვლელი ფალავანია თავის წონაში.

**- ჩემპიონატზე აღარ უასპარეზია ევროპის ჩემპიონს, გამოცდილ დათო პოლოსიანს. კარიერის დასრულებაზე ხომ არ ფიქრობს?**

- დათო უკვე ასაკიანი სპორტსმენია და ბოლო ხანს ტრავმებმაც შეაწუხა, თუმცა ჯერჯერობით ისევ ვარჯიშობს. თუ ხალიჩაზე დარჩება, რასაკვირველია, მოხარულნი ვიქნებით, თუმცა ცვლა მის წონაში გვყავს და საკმაოდ პერსპექტიულიც.

**ვასილ ბალახაძე**
*გორიდან*

## ფარიკაობა

# აფციაურს არაბი მოწაფეები მოჰყავს

**მ**რავალწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოში პირველად შარშან მოეწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც სომხები, აზერბაიჯანელები და ირანელები გვესტუმრნენ. როგორც საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მორის სახვაძემ** გვითხრა, წლეულს, ასპარეზობა უფრო წარმომადგენლობითი იქნება.

- შარშან, მაისში ჩავატარეთ საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ტრადიციული გახდება და ის ყოველწლიურად გაიმართება. წლეულს, ტურნირი ერთი თვით გადავწიეთ და ივნისში ვუმასპინძლებთ. სომხები, აზერბაიჯანელები და ირანელები კვლავ გვესტუმრებიან. ამას გარდა, თურქებიც აპირებენ ჩამოსვლას.

**- ქუვეითში მომუშავე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვლადიმერ აფციაურმა გვითხრა, რომ ქუვეითის ნაკრების ჩამოყვანა სურს. ივნისშივე ხომ არ უნდა ველოდოთ აზიელთა სტუმრობას?**

- თუკი ჩამოვლენ, მაგას რა აჯობებს, მაგრამ როცა ასეთი გუნდი ჩამოდის, შესაბამისი პირობებიც უნდა დაახვედრო - ძვირფასი სასტუმრო, კარგი კვება და ასე შემდეგ. ჩვენი საკმაოდ მწირი ბიუჯეტი კი ამის საშუალებას არ გვაძლევს.

**- გასაგებია, მაგრამ აფციაური მხოლოდ თქვენს მოწვევას ითხოვს, ხარჯებს კი თავად ქუვეითელები გაიღებენო.**

- ჯერჯერობით, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ამ საკითხზე ნამდვილად გვაქვს მოლაპარაკება და ვნახოთ...

**კობა ხატისაშვილი**

## რაგბი

ინტერვიუ მალხაზ ჭეიშვილთან

# კლერმონიდან ბუქარესტამდე

### რა ვისწავლეთ საფრანგეთში და რითი მოვუგეთ რუმინეთს

**რ**უმინეთში გამარჯვების შემდეგ ქართველი მორაგბეები თავიანთ ფრანგულ კლუბებს დაუბრუნდნენ. ანტიმოზ ივერიელის თასი საქართველოში დავით კაჭარავამ და მწვრთნელთა სამეულმა ჩამოიტანეს.

მოგეხსენებათ, მწვრთნელთა შტაბის ორი წევრი, მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი ორი თვე საფრანგეთში, "კლერმონში" იმყოფებოდა სტაჟირებაზე. მალხაზ ჭეიშვილთან ჩვენი საუბარი სწორედ ამით დაიწყო.

- ყველაზე დიდი შთაბეჭდილება "კლერმონის" სარაგბო ინფრასტრუქტურამ დატოვა - ის ფანტასტიკურ დონეზეა განვითარებული. ბაზაზე არსებული სტადიონი და სათადარიგო მოედანი მორაგბეებისთვისა და მწვრთნელებისთვის სახლადაა გადაქცეული. ისინი აქ დილის 10 საათიდან საღამოს ექვსამდე, როგორც სამსახურში, ისე დადიან. ვარჯიშები, მატჩების გარჩევა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობს, შუადღისას ერთსაათიანი შესვენება აქვთ. მორაგბეები ვარჯიშზე მხოლოდ საკუთარი ბუცებით მოდიან, სხვა დანარჩენი, რაც ვარჯიშისთვისაა აუცილებელი, ბაზაზე ხვდებათ. მწვრთნელს ყველა პირობა აქვს შექმნილი ნაყოფიერად სამუშაოდ, კომპიუტერი, ვიდეოანალიზი, რამდენიმე ასისტენტი, რაც საქმიანობას მნიშვნელოვნად აადვილებს.

**- "კლერმონის" ზელანდიელ მწვრთნელთან ვერნ კოტერთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

- პირადად კოტერს მხოლოდ ერთხელ შევხვდი. პირდაპირ გამოგვიცხადა, მხოლოდ ნახევარი საათი მაქვს თავისუფალიო. კი, ვისაუბრეთ რაღაც დეტალებზე, მაგრამ საკმარისი დრო არ იყო, ყველა საინტერესო საკითხი რომ გაგვეხილა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რაგბის არსის გაგებაზე ჩვენს შორის ძალინა დიდი განსხვავება არაა.

კოტერმა შემოგვთავაზა, ვიდეოანალიზს დაესწარით ხოლმე და იქ, განხილვისას თქვენთვის საინტერესო ყველა დეტალზე მიიღებთ პასუხსო. ჩვენ მხოლოდ ერთი შეხვედრის ვიდოანალიზი ვნახეთ, ჩელენჯ კაპზე იტალიურ გუნდთან თამაშის განხილვისას კოტერმა დაცვაში თამაშისას დაშვებულ შეცდომებზე გააკეთა აქცენტი. კლერმონელებმა ორი ლელო მიიღეს იმ თამაშში და კოტერმა მიუთითა, რომ ეს დაცვისას არასწორი გადაადგილების ბრალია. ეს შეცდომები მეორე დღეს, ვარჯიშზე გაასწორეს.

**- ესე იგი, წარმატების მოსაპოვებლად მთავარი თამაშის სწორად ორგანიზებაა?**

- რა თქმა უნდა. ჩვენზე უკეთესი ყველა გუნდი სწორედ ამით გვიგებს. ახლა ჩვენ უპირველესად გვჭირდება მაღალი დონის ფიტნესის მწვრთნელი და ვიდეოანალიზის პროგრამა. ეს უკანასკნელი სასიცოცხლოდ აუცილებელია, ვინაიდან თვალნათლივ იძლევა საშუალებას დაინახო ყველა მოთამაშის შეცდომა და მერე გამოსასწორებლად იმუშაო.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ საფრანგეთში ბევრს მოგზაურობდით, რამდენიმე გუნდის თამაშსა და ვარჯიშებსაც დასწრებიხართ.**

- დიახ, პირველი და მეორე დივიზიონის, ასევე ფედერალ 1-ისა და ფედერალ 2-ის გუნდების რამდენიმე თამაში ვნახეთ. ერთი კვირით კასტრშიც გავემგზავრეთ და იქ აქვსენტი გორგაძესთან ვცხოვრობდით. "კასტრის" ვარჯიშებსაც დავესწარით და ამ გუნდის ინგლისურ "ვოსფსთან" თამაშსაც.

ჩემი აზრით, "კასტრში" "კლერმონთან" შედარებით, საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა საგრძნობლად მოიკოჭლებდა. შედეგიც სახეზეა, საფრანგეთის ჩემპიონატში "კლერმონი" მეორე ადგილზეა, "კასტრი" მეათეზე.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ვარჯიშები თამაშის ტემპში მიმდინარეობს. საათნახევრის მანძილზე მხოლოდ იმისთვის ჩერდებიან, რომ წყალი დალიონ, რასაც საერთო ჯამში სულ ათი წუთი მიაქვს. სხვა მხრივ, ვარჯიშს რა ტემპშიც იწყებენ, ისევე ამთავრებენ.

**- რუმინელებთან მოგებულ მატჩში, რა დეტალები შეიტანეთ ისეთი, რაც საფრანგეთში სტაჟირებისას აითვისეთ?**

- პირველ რიგში, შევცვალეთ მატჩისწინა მოთელვის სისტემა. თუ აქამდე მოთელვას 30-35 წუთს ვუთმობდით, ახლა ეს დრო 20 წუთამდე შევამცირეთ, თუმცა, ტემპი გაიზარდა.

მეორე - შევქმენით ეგრეთ წოდებული სტრატეგიული ჯგუფი, რომელშიც შედიან კაპიტანი, კვაჭი, 9, 10 და 15 ნომრები. ეს ჯგუფი პასუხისმგებელია მწვრთნელების მიერ მიცემული დავალების შესრულებაზე. ისინი ფაქტობრივად მართავენ გუნდის თამაშს. მატჩის წინ ამ ჯგუფს ცალკე ვხვდებით და ყველა დეტალზე მითითებებს ვაძლევთ.

უშუალოდ მატჩისთვის მოსამზადებლად მცირე დროი გვქონდა, მაგრამ მაინც შევძელით ახალი ელემენტების დანერგვა. მართალია, თამაშისას იყო მომენტები, რომ რაღაც-რაღაცეები არ გამოგვდიოდა, მაგრამ მთავარია, გუნდი არ აირიოს, არ იყოს ქაოსი. შეიძლება გუნდი რაღაცას შეცდომით აკეთებდეს, მაგრამ უნდა ეცადოს, რომ დალაგდეს, დაცვაში იქნება ეს თუ შეტევაში.

**- უმთავრესად რის ხარჯზე დავამარცხეთ რუმინელები?**

- გუნდი გამარჯვებისთვის ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად მზად იყო. ვუთხარით რომ თავისუფლად, გახსნილად, ლაღად ეთამაშათ. გამოსდიოდათ კიდეც, თუმცა ეს ყველაფერი ჯერ კიდევ დასახვეწია. მსოფლიო თასის წინ საკმარისი დრო გვექნება. გვინდა, ივნისის დასაწყისში, რუმინეთში დაგეგმილ ტურნირში მივიღოთ მონაწილეობა. შეჯიბრება ორი კვირის მანძილზე გასტანს და მასში მონაწილეობას მიიღებენ არგენტინა A, იტალია A, სამხრეთ აფრიკა A, საქართველო, რუმინეთი და პორტუგალიასა და ურუგვაის შორის რეპეშაჟში გამარჯვებული.



დავით ჩავლეიშვილი და მალხაზ ჭეიშვილი

**ბესიკ ჯანგავაძე**

**2007 წლის 25 თებერვალს, 13:00 საათზე სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართება საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა.**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ერთი გაცვლის თავისებურება



სტივენ ჯექსონი

**ინდიანა–გ. სტეიტი 98:113**

18:34, 24:31, 30:26, 26:22

**ინდიანა:** ჯ. ონილი (24 ქ. 11 მ. 4 დ), ტინსლი (22 ქ. 10 პ. 4 ჩ. 2 დ), დ. გრეინჯერი (16 ქ), დ. არმსტრონგი (12 ქ. 3 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (11 ქ. 13 მ. 7 პ).

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (36 ქ), მ. ელისი (21 ქ. 10 მ. 2 ჩ), ელ ჰარინგტონი (16 ქ. 10 მ. 5 პ. 2 ჩ), მ. პიეტრუსი (15 ქ. 6 მ), ბარნსი (11 ქ. 6 მ), ბიედრინსი (10 ქ. 15 მ. 4 პ. 3 დ. 2 ჩ).

მთელი შეხვედრის განმავლობაში, "ინდიანა პეისერზის" ფანები **სტივენ ჯექსონს** უსტვენდნენ, ხოლო როგორც კი "გოლდენ სტეიტის" მთავარი მწვრთნელი **დონ ნელსონი** თავის მსროლელს ასვენებდა, სტუმართა სათადარიგო სკამის უკან ნამდვილი ჯოჯოხეთი იწყებოდა - გინება, დაკუჭული ფურცლების სროლა და ა.შ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთხელ მსაჯებმა მაყურებლიც კი გააფრთხილეს - თუ არ დამშვიდდებით, "პეისერზს" ტექნიკურით დავსჯითო.

სტივენმა კი, კარიერაში თუ არა, მიმდინარე რეგულარულში თავისი საუკეთესო მატჩი ნამდვილად ჩაატარა, ნამატჩევს კი გახარებული ამბობდა, რახან მისტვენდნენ, ესე იგი, ვენატრები და გუნდში ჩემი დაბრუნება სურთო.

შეგახსენებთ, რომ 2004-05 წლების სეზონის მსვლელობისას, ჯექსონი დეტროიტის "პალასში" ამტყდარი ჩხუბის უშუალო მონაწილე იყო, რის შემდეგაც ლიგის კომისარმა **დევიდ სტერნმა** იგი 30-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 2006 წლის 6 ოქტომბერს კი, ინდიანაპოლისის ერთ-ერთ ღამის კლუბში, სტივენმა ცეცხლსასროლი იარაღის უდროო დემონსტრირება მოახდინა და ეს საქმე დღემდე არ დახურულა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჯექსონი დამნაშავედ სცნონ.

ამ ინციდენტების გამო, შფოთისთავმა ჯექსონმა "პეისერზის" ფანების ნდობა დაკარგა, ხოლო გუნდის ბოსმა, ჩვეულებრივად თავშეკავებულმა **ლარი ბერდმა,** სტივენს ერთ-ერთ ინტერვიუში "ბალასტი" უწოდა.

ცოტა ხნის წინათ, ჯექსონი წლევანდელი სეზონის ყველაზე მასშტაბური გაცვლის ერთ-ერთი მონაწილე გახდა. იგი დონ ნელსონთან გადავიდა, მასთან ერთად კი კალიფორნიისკენ გეზი **ელ ჰარინგტონმა** და **შარუნას იასიკიავიჩუსმაც** აიღეს.

*"ინდიანაპოლისში უამრავი მეგობარი მყავს. სასიამოვნო იყო მათთან კიდევ ერთხელ შეხვედრა, თამაშით კი ნამდვილად კმაყოფილი ვარ. "უორიორზში" გადასვლის მერე, ჩვენს გუნდს ასე დამაჯერებლად ჯერ არ ემოქმედა"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ჰარინგტონი, რომელმაც დაცვაში **ჯერმეინ ონილის** წინააღმდეგ საკმაოდ კარგად ითამაშა (ამ უკანასკნელმა, თამაშიდან 20-დან 13 სროლა არაზუსტად შეასრულა).

## კვირის მოთამაშეები

ბოლოს კი გეტყვით, რომ წინა კვირის საუკეთესოებად, ლიგამ აღმოსავლეთში "მაიამი ჰიტის" სუპერმსროლელი **დუეინ უეიდი,** ხოლო დასავლეთში კი "იუტა ჯაზის" თურქი ცენტრი **მეჰმეთ ოქური** დაასახელა.

უეიდმა საკუთარ გუნდს სამივე შეხვედრა მოაგებინა, ერთ მატჩში საშუალოდ კი 33.7 ქულას, 7.3 შედეგიან გადაცემას, 6.0 მოხსნასა და 3.5 ჩაჭრას უყრიდა თავს.

რაც შეეხება ოქურს, მისი სტატისტიკაც სოლიდურია – 26.0 ქულა, 11.3 მოხსნა, 2.3 პასი და ზუსტად 1 ჩაჭრა. სოლტლეიკ-სიტის გუნდმა სამიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო, გზად კი "სან ანტონიოსა" და "ფინიქსს" მოუგო.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ატლანტა–ლეიკერსი 83:90**

14:16, 17:24, 26:22, 26:28

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (27 ქ. 5 მ. 5 პ), ჯოშ სმიტი (20 ქ. 8 . 7 პ. 3 დ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულია (14 ქ. 7 მ. 2 ჩ. 1 პ),** ჩილდრესი (11 ქ. 8 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (27 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ), ოდომი (15 ქ. 18 მ. 6 პ), ბინუმი (14 ქ. 10 მ).

**ფილადელფია–ნ. ჯერსი 100:98 (ო)**

27:23, 14:25, 20:16, 26:25, 12:10

**ფილადელფია:** იგუოდალა (23 ქ. 15 პ. 7 მ), ა. მილერი (18 ქ. 5 პ. 2 ჩ), დალემბერი (14 ქ. 17 მ. 4 დ), ს. ჰანტერი (13 ქ. 5 მ), ჯო სმიტი (12 ქ. 7 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (23 ქ. 10 მ. 5 პ), ე. ჰაუსი (15 ქ. 5 პ), კიდი (14 ქ. 8 პ. 7 მ), ნახბარი (12 ქ), მური (11 ქ. 8 მ. 3 დ).

**ვაშინგტონი–სიეტლი 118:108**

31:31, 25:28, 32:20, 30:29

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (38 ქ. 4 ჩ), ჰეივუდი (20 ქ. 11 მ), არენასი (16 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), სტივენსონი (15 ქ. 5 მ. 2 ჩ), ბლაჩე (14 ქ. 7 მ).

**სიეტლი:** რ. ალენი (29 ქ. 7 მ. 7 პ. 5 ჩ), უილკოქსი (24 ქ. 10 მ), რიდნური (13 ქ), პეტრო (12 ქ), კოლისონი (10 ქ. 5 პ. 4 მ).

**მაიამი–შარლოტი 113:98**

32:21, 33:26, 22:23, 26:23

**მაიამი:** უეიდი (27 ქ. 12 პ. 5 მ. 3 ჩ. 2 დ), შ. ონილი (22 ქ. 2 დ), ქუინი (14 ქ. 5 მ. 5 პ), კაპონო (13 ქ. 3 ჩ), ჰასლემი (12 ქ. 8 მ), მურნინგი (10 ქ. 5 მ).

**შარლოტი:** ფელტონი (20 ქ. 7 პ), ოკაფორი (19 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჯ. უოლასი (19 ქ. 4 პ. 3 ჩ), კეროლი (13 ქ).

**ჰიუსტონი–მინესოტა 105:77**

21:15, 29:15, 32:22, 23:25

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (32 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (20 ქ. 8 მ), ჰედი (20 ქ. 5 მ. 4 პ), ალსტონი (10 ქ. 4 ჩ. 4 პ).

**მინესოტა:** გარნეტი (18 ქ. 12 მ. 5 პ. 2 დ), ფოიე (13 ქ), მ. ჯეიმსი (10 ქ).

**იუტა–ჩიკაგო 100:95**

24:25, 33:18, 14:21, 29:31

**იუტა:** ოქური (20 ქ. 5 მ. 3 პ), ფიშერი (19 ქ), დერონ უილიამსი (18 ქ. 13 პ. 2 ჩ), ჰარპრინგი (13 ქ. 9 მ), გირიჩეკი (12 ქ).

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (26 ქ. 6 მ. 2 ჩ), დენგი (23 ქ. 6 მ. 3 ჩ), დიუჰონი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ), გორდონი (11 ქ), პი. ჯეი. ბრაუნი (10 ქ. 5 მ. 2 დ), ბ. უოლასი (7 ქ. 11 მ. 2 დ).

**დენვერი–ფინიქსი 108:113**

27:28, 33:23, 19:30, 29:32

**დენვერი:** ენტონი (31 ქ. 10 მ. 10 პ), ნენე (27 ქ. 7 მ. 3 პ), ჯეი. არ. შმიტი (18 ქ), ს. ბლეიკი (4 ქ. 10 პ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (36 ქ. 13 მ), ბარბოსა (20 ქ. 5 მ. 4 პ), მერიონი (19 ქ. 9 მ. 2 ჩ. 2 დ), რ. ბელი (18 ქ. 4 პ).

**საკრამენტო–ნ. ორლეანი 105:99**

40:24, 23:26, 24:29, 18:20

**საკრამენტო:** არტესტი (21 ქ. 9 პ. 6 მ. 5 ჩ), ბიბი (19 ქ. 6 მ. 2 ჩ), კევინ მარტინი (14 ქ), აბდურ-რაჰიმი (12 ქ. 6 მ), კენი ტომასი (11 ქ), ბ. მილერი (10 ქ. 7 მ. 2 დ).

**ნიუ ორლეანი:** პოლი (24 ქ. 6 პ. 5 ჩ), მეისონი (17 ქ), დევიდ უესტი (16 ქ), დევინ ბრაუნი (11 ქ. 6 მ), ჩენდლერი (9 ქ. 13 მ. 3 პ).

ევროლიგა.
TOP 16. წილისყრა

**D ჯგუფი**

ტაუ ვიტორია (ესპანეთი)
მაკაბი (ისრაელი)
პო ორტეზი (საფრანგეთი)
რომა (იტალია)

**14-15 თებერვალი**
რომა–პო ორტეზი
მაკაბი–ტაუ ვიტორია

**21-22 თებერვალი**
პო ორტეზი–ტაუ ვიტორია
რომა–მაკაბი

**28 თებერვალი-1 მარტი**
მაკაბი–პო ორტეზი
ტაუ ვიტორია–რომა

**7-8 მარტი**
პო ორტეზი–რომა
ტაუ ვიტორია–მაკაბი

**14-15 მარტი**
პო ორტეზი–მაკაბი
რომა–ტაუ ვიტორია

**21-22 მარტი**
ტაუ ვიტორია–პო ორტეზი
მაკაბი–რომა

**E ჯგუფი**

ცსკა (რუსეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
ხუვენტუდი (ესპანეთი)
პარტიზანი (სერბეთი)

**14-15 თებერვალი**
ცსკა–ხუვენტუდი
პარტიზანი–ოლიმპიაკოსი

**21-22 თებერვალი**
ხუვენტუდი–ოლიმპიაკოსი
ცსკა–პარტიზანი

**28 თებერვალი-1 მარტი**
პარტიზანი–ხუვენტუდი
ოლიმპიაკოსი–ცსკა

**7-8 მარტი**
ხუვენტუდი–ცსკა
ოლიმპიაკოსი–პარტიზანი

**14-15 მარტი**
ცსკა–ოლიმპიაკოსი
ხუვენტუდი–პარტიზანი

**21-22 მარტი**
ოლიმპიაკოსი–ხუვენტუდი
პარტიზანი–ცსკა

**F ჯგუფი**

პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ბარსელონა (ესპანეთი)
პროკომი (პოლონეთი)
ეფესი (თურქეთი)

**14-15 თებერვალი**
პანათინაიკოსი–ეფესი
ბარსელონა–პროკომი

**21-22 თებერვალი**
ეფესი–პროკომი
პანათინაიკოსი–ბარსელონა

**28 თებერვალი-1 მარტი**
ბარსელონა–ეფესი
პროკომი–პანათინაიკოსი

**7-8 მარტი**
ეფესი–პანათინაიკოსი
პროკომი–ბარსელონა

**14-15 მარტი**
ეფესი–ბარსელონა
პანათინაიკოსი–პროკომი

**21-22 მარტი**
პროკომი–ეფესი
ბარსელონა–პანათინაიკოსი

**G ჯგუფი**

დინამო (რუსეთი)
ბენეტონი (იტალია)
უნიკახა (ესპანეთი)
არისი (საბერძნეთი)

**14-15 თებერვალი**
უნიკახა–ბენეტონი
არისი–დინამო

**21-22 თებერვალი**
ბენეტონი–დინამო
უნიკახა–არისი

**28 თებერვალი-1 მარტი**
არისი–ბენეტონი
დინამო–უნიკახა

**7-8 მარტი**
ბენეტონი–უნიკახა
დინამო–არისი

**14-15 მარტი**
ბენეტონი–არისი
უნიკახა–დინამო

**21-22 მარტი**
დინამო–ბენეტონი
არისი–უნიკახა

ინტერვიუ ვინს კარტერთან

# ენტონი ოლ სტარში უნდა შეეყვანათ

**18 თებერვალს, ლას ვეგასში "ყველა ვარსკვლავის" მორიგი შეხვედრა გაიმართება. შერჩეულია ორივე გუნდის 24 მოთამაშე. შემადგენლობების გამოცხადების შემდეგ, სადავო მხოლოდ "დენვერ ნაგეტსის" ფორვარდის, კარმელო ენტონის თემა იყო. ენტონი დასავლეთის მთავარმა მწვრთნელმა - მაიკ დენტონიმ 7 სათადარიგოში არ შეიყვანა, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ და აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით სხვა საკითხებზე "ნიუ ჯერსის ნეტსის" ერთი-ერთი ლიდერის, აღმოსავლეთის ნაკრებში არჩეული ვინს კარტერის ინტერვიუს შემოგთავაზებთ.**

**- ვინს, დავიწყოთ თემით, რომელიც ალბათ, სეზონის ბოლომდე აქტუალური იქნება. უნდა აერჩიათ თუ არა "ოლ სტარზე" დასავლეთის გუნდში კარმელო ენტონი?**

- ეჭვგარეშეა, უნდა აერჩიათ. ეს ხომ ვარსკვლავების მატჩია, სადაც მონაწილეობა მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოებმა უნდა მიიღონ, კარმელო კი, ამ ეტაპზე 10 საუკეთესო მოთამაშეში ნამდვილად შედის. ენტონი პირველია ქულებში და რაც მთავარია, მის გარეშე დღევანდელი "დენვერის" აღქმა წარმოუდგენელია. ალენ აივერსონის ტრანსფერმა "ნაგეტსი" უფრო მრავალმხრივ გუნდად აქცია, მაგრამ თავად ალენმაც მშვენივრად იცის, რომ "ნაგეტსი" კარმელოს ირგვლივ შენდებოდა და დღეს, გუნდის ულაპარაკო ლიდერი სწორედ ის გახლავთ. ენტონიმ დისკვალიფიკაციის გამო ბევრი შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ ეს მის შესაძლებლობებს ეჭვქვეშ წამითაც არ აყენებს. კარმელო კარიერაში საუკეთესო კალათბურთს თამაშობს და ლას ვეგასში შეკრებილი ფანები, მისი არყოფნით 100 პროცენტით დაზარალდებიან.

**- ვის ნაცვლად უნდა აერჩიათ ენტონი? დასავლეთში ხომ ფორვარდების მხრივ ძალიან დიდი კონკურენციაა.**

- დავუშვათ, ფანებმა სასტარტოში ადგილები დანკანსა და გარნეტს მისცეს, მაგრამ რეზერვში ხომ კიდევ 7 ვაკანტური ადგილი იყო? ვითომ, ენტონი იმ შვიდ მოთამაშეში დასახელებას არ იმსახურებდა? იქამდე, სანამ დანკანი და გარნეტი ითამაშებენ, მათ სასტარტოს მიღმა არავინ დატოვებს, თუ რა თქმა უნდა, ლიგა წინა წლების დარად, ამპლუების შერჩევისას, რამდენიმე ძლიერ მოთამაშეს პოზიციას არ შეუცვლის. ხომ გახსოვთ, როდესაც ტრეისი მაკგრეიდი ფორვარდებში შეიყვანეს, გარნეტი სასტარტოს მიღმა დარჩა. სხვა შემთხვევაში, ეს ორი მოთამაშე მუდმივად ფანების ფავორიტები იქნებიან, თუმცა უკანასკნელმა გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ მათ სხვებიც, მათ შორის კარმელო და დირკ ნოვიცკიც უახლოვდებიან.

**- ესე იგი, ენტონის საკითხის გარდა, სადავო არაფერია?**

- არა მგონია. 24 მოთამაშეში თითქმის ყველა უძლიერესი შევიდა. ზოგმა შეიძლება ტრავმების გამო ვერ ითამაშოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ ადგილს არანაკლებ კარგი, ძლიერი მოთამაშეები დაიკავებენ.

**- მთელი გამოკითხვის განმავლობაში ბევრით უსწრებდით გილბერტ არენასს, რომელმაც სულ ბოლოს, გამოკითხვის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე გადაგისწროთ.**

- დიახ, გული დამწყდა, რომ სასტარტოში ვერ მოვხვდი, მაგრამ რეზერვში ხომ მაინც შემიყვანეს? თანაც, გილბერტმა პირველ ხუთეულში დასახელება ნამდვილად დაიმსახურა. წელს იგი ფენომენალურ კალათბურთს თამაშობს. არენასი "ყველა ვარსკვლავის" მატჩს ულაპარაკოდ გაალამაზებს.

**- შაკი?**

- შაკს ბევრი გაუცდა, მაგრამ მას ერთი მატჩიც რომ არ ჩაეტარებინა, მაინც სასტარტოში მოხვდებოდა. იგი პოპულარობით ძალიან ცოტას ჩამოუვარდება, თუმცა დუაიტ ჰოვარდიც ფანების დიდი სიყვარულით სარგებლობს. ონილი თავიდანვე სასტარტოსთვის იყო "განწირული".

**- დევიდ სტერნმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბეისბოლისტთა ლიგის მსგავსად, კალათბურთშიც სუპერფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობა იმ კონფერენციას უნდა მიენიჭოს, რომელიც "ყველა ვარსკვლავის" შეხვედრას მოიგებს. ამას თუ ეთანხმებით?**

- არანაირად. დავუშვათ, "დალასმა" მოიგო რეგულარული და აქედან გამომდინარე, ფლეი ოფის ყველა წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა. "ყველა ვარსკვლავის" შეხვედრაში დასავლეთის ცუდი გამოსვლის გამო, გუნდს მთელი სეზონის განმავლობაში გაწეული უდიდესი შრომა უნდა დაეკარგოს? დევიდ სტერნი ლიგის მასშტაბურობის გაზრდაზე კი ზრუნავს, მაგრამ ვეჭვობ, მისი ეს მოსაზრება ბევრმა მოიწონოს.



**- "ნიუ ჯერსის" შევეხოთ. რიჩარდ ჯეფერსონისა და ნენად კრსტიჩის გარეშე ცუდად არ გამოიყურებით, მაგრამ სტაბილურად თამაშს მაინც ვერ ახერხებთ. "ტორონტომაც" გაგასწროთ.**

- "რეპტორზი" საკმაოდ კარგ, სწრაფ კალათბურთს თამაშობს, მაგრამ რიჩარდსა და ნენადთან ერთად "ნეტსი" გაცილებით მრავალმხრივი, ოპონენტებისთვის რთულად პროგნოზირებადი გუნდია. ასე რომ, მათი დაბრუნება (თუ ეს სწრაფად მოხდება) ჩვენ ყველა მეტოქეს დიდ პრობლემებს შეუქმნის. ახლაც სოლიდურად გამოვიყურებით, ჯეისონ კიდი კარიერაში ყველაზე კარგ კალათბურთს თამაშობს, მაგრამ რეზერვი შეგვითხელდა და ზედიზედ გასამართ მატჩებში, ხანდახან ენერგიას რაციონალურად ვერ ვანაწილებთ, ბოლოში ვილლებით და ამიტომაც ვაგებთ. მჯერა, ყველაფერი მალე გამოსწორდება.

**ზურაბ თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-დეტროიტი 3:4**

3:1, 0:0, 0:3

გოლები: 1:0 შენეჰანი-27 (კულენი, პრუხა), 2:0 ნიულანდერი-18 (სტრაკა, რახუნეკი), 2:1 დაციუკი-15 (ზეტერბერგი, კრონვალი), 3:1 მარსელ ჰოსა-3 (ნიულანდერი, როუსივალი), 3:2 ჰუდლერი-9 (ვილპულა, ლებდა), 3:3 ლანგი-13 (კლირი), 3:4 ზეტერბერგი-22 (დაციუკი).

**აღმოსავლეთი**

| ატლანტიკის ოკეანე | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი* | 53 | 32 | 15 | 6 | 70 |
| პიტსბურგი* | 52 | 26 | 17 | 9 | 61 |
| აილენდერსი | 53 | 25 | 21 | 7 | 57 |
| რეინჯერსი | 53 | 25 | 24 | 4 | 54 |
| ფილადელფია | 52 | 13 | 32 | 7 | 33 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბაფალო* | 54 | 35 | 15 | 4 | 74 |
| მონრეალი* | 54 | 29 | 19 | 6 | 64 |
| ოტავა* | 54 | 30 | 21 | 3 | 63 |
| ტორონტო | 53 | 26 | 21 | 6 | 58 |
| ბოსტონი | 51 | 23 | 24 | 4 | 50 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ატლანტა* | 55 | 29 | 18 | 8 | 66 |
| ტამპა ბეი* | 54 | 29 | 23 | 2 | 60 |
| კაროლინა* | 55 | 26 | 22 | 7 | 59 |
| ვაშინგტონი | 54 | 22 | 25 | 7 | 51 |
| ფლორიდა | 54 | 20 | 24 | 10 | 50 |

**დასავლეთი**

| ცენტრალური | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ნეშვილი* | 54 | 37 | 14 | 3 | 77 |
| დეტროიტი* | 54 | 34 | 14 | 6 | 74 |
| სტ. ლუისი | 53 | 21 | 24 | 8 | 50 |
| კოლამბუსი | 53 | 21 | 27 | 5 | 47 |
| ჩიკაგო | 52 | 19 | 26 | 7 | 45 |

| ჩრდილო-დასავლეთი | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კალგარი* | 52 | 29 | 17 | 6 | 64 |
| ვანკუვერი* | 53 | 29 | 20 | 4 | 62 |
| მინესოტა* | 54 | 29 | 21 | 4 | 62 |
| ედმონტონი | 53 | 26 | 23 | 4 | 56 |
| კოლორადო | 52 | 25 | 23 | 4 | 54 |

| წყნარი ოკეანე | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ანაჰაიმი* | 53 | 32 | 13 | 8 | 72 |
| სან ხოსე* | 53 | 34 | 18 | 1 | 69 |
| დალასი* | 53 | 31 | 20 | 2 | 64 |
| ფინიქსი | 53 | 24 | 27 | 2 | 50 |
| ლოს ანჯელესი | 55 | 18 | 30 | 7 | 43 |

შენიშვნა: ონ - ოვერტაიმში ნაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - ფლეი ოფის ზონა

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 84 (25+59) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 72 (32+40) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 70 (33+37) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 69 (33+36) |
| ჰიტლი (ოტა) | 67 (31+36) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 66 (31+35) |
| სავარი (ბოს) | 66 (18+48) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 66 (14+52) |
| ბრიერი (ბაფ) | 65 (21+44) |
| იაგრი (რეინ) | 63 (19+44) |
| სელიანე (ანა) | 62 (31+31) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 33 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 33 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 32 |
| სელიანე (ანა) | 31 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 31 |
| ჰიტლი (ოტა) | 31 |
| დრური (ბაფ) | 30 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 30 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 59 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 52 |
| სავარი (ბოს) | 48 |
| ბრიერი (ბაფ) | 44 |
| იაგრი (რეინ) | 44 |
| ჰ. სედინი (ვან) | 42 |
| ბრინდამორი (კარ) | 41 |
| კარია (ნეშ) | 41 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 40 |

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ, გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "ტორონტოს" მეკარე **ენდრიუ რეიკროფტი**, "ნიუ ჯერსის" მარჯვენა გარემარბი **ჯეიმი ლანგენბრუნერი** და "დეტროიტის" მცველი **ნიკლას ლიდსტრიომი** დაასახელა.

პირველი ვარსკვლავი რეიკროფტი გახდა, რომელმაც გასულ კვირას ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ოთხივეში გაამარჯვებინა თავის გუნდს. 2004 წლის საუკეთესო დებიუტანტად აღიარებული ენდრიუ საშუალოდ 1.33 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 96 პროცენტს იგერიებდა.

ლანგენბრუნერი გასული კვირის საუკეთესო ბომბარდირი იყო - მან 7 ქულა (2 გოლი+5 პასი) ჩაიწერა აქტივში.

ლიგის საუკეთესო მცველმა - ლიდსტრიომმა მხოლოდ ორი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ 6 საგოლე პასის ჩამორიგება მოასწრო.

## ჩოგბურთი

### ტურნირები

# მალისმა წვიმით იხეირა

ბელგიელი **ქსავიე მალისის** ტრიუმფით დასრულდა დელრი ბიჩის საერთაშორისო ტურნირის ფინალური შეხვედრა, რომლის ფინალშიც მან სამ სეტში აჯობა ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს**. მალისს სასიკეთოდ წაადგა წვიმის გამო თამაშის გადატანა. არადა, სანამ შეხვედრა შეწყდებოდა, ბლეიკმა სეტის მოგება მოასწრო და მეორეშიც კარგად ირჯებოდა.

მალისმა კარიერაში მესამე, ამ სეზონში კი მეორე ტურნირი მოიგო. ამასთან, ამ სამიდან ორი ტიტული სწორედ დელრი ბიჩის ტურნირზე მოდის, სადაც 26 წლის ბელგიელს 2005 წელსაც მოუგია. მიმდინარე სეზონში კი პირველად ჩენაიში გაიმარჯვა.

*"აქაური კორტი ძალიან მომწონს. აქ რომ ვთამაშობ, ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ნებისმიერი გათამაშების მოგება შემიძლია. მთავარია, ტრავმა არ მაწუხებდეს. ასეთი თავდაჯერებული კი ალბათ იმიტომ ვარ, რომ აქ ბევრჯერ მითამაშია"*, - განაცხადა მალისმა.

ბლეიკმა ფინალს ისე მიაღწია, ერთი სეტიც არ წაუგია. 27 წლის ამერიკელმა პირველი სეტი მოიგო და მეორეშიც მეტოქის სერვის-გეიმებზე აქტიურობდა, მაგრამ წვიმის წყალობით, საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრო. როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, პაუზამ მასზე ცუდად იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, თამაშის განახლებისთანავე, მალისმა ბრეიკს მიაღწია და სეტიც გამარჯვებით დაასრულა. ბელგიელმა გადამწყვეტ სეტშიც ერთადერთი ბრეიკის აღება შეძლო (მესამე გეიმში) და ამის წყალობით, გამარჯვებაც იზეიმა.

*"რა თქმა უნდა, ძნელია, როცა დაწყებული თამაშის მეორე დღეს დასრულება გიწევს, მაგრამ საწუწუნო არაფერი მაქვს, რადგან ორივენი ერთ ყოფაში ვიყავით. უბრალოდ, სავიე უკეთ შეეგუა ასეთ სიტუაციას. საერთოდ კი, ქარი ჩოგბურთში ერთგვარი დამბალანსებელი ფაქტორია. გართულებულ კონდიციებს ქსავიე უკეთ შეეგუა და სრულიად დამსახურებულად მოიგო"*, - განაცხადა ბლეიკმა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირი ჯგუფური ეტაპით დაიწყო. ამ ეტაპზე მალისმა ერთი შეხვედრა კი წააგო, მაგრამ მოგებული და წაგებული სეტების უკეთესი ბალანსის წყალობით, მაინც გავიდა მეოთხედფინალში. ნამატჩევს მან აღიარა, თამაში რომ არ შეწყვეტილიყო, აუცილებლად წავაგებდიო. ასეა თუ ისე, მან კარიერაში მე-200, დელრი ბიჩის ტურნირზე კი 24-ე (ამ ტურნირისთვის სარეკორდო მაჩვენებელია) შეხვედრა მოიგო.

სხვათა შორის, დელრი ბიჩშივე, თავის კარიერაში მე-200 გამარჯვება მოიპოვა ბლეიკმაც. აღსანიშნავია, რომ დელრი ბიჩის ტურნირი ბოლო 15 წელია არ მოუგია მოწინავე განთესილ მეჩოგნეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი**
**დელრი ბიჩი (აშშ, ფლორიდა). ჰარდი**
**საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი**

**ფინალი**

**ქსავიე მალისი (3) - ჯეიმს ბლეიკი (1)** 5:7, 6:4, 6:4

### რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8120 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4775 |
| 3(3). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 2715 |
| 5(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2685 |
| 6(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2605 |
| 7(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2555 |
| 8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2270 |
| 9(10). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 2075 |
| 10(9). ტომი ჰაასი (გერ) | 2020 |
| 11(11). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1995 |
| 12(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1785 |
| 13(14). ენდი მარეი (ბრიტ) | 1650 |
| 14(13). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1625 |
| 15(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1610 |
| 16(16). რიშარ გასკე (საფ) | 1580 |
| 17(21). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1365 |
| 18(17). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1335 |
| 19(18). რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) | 1325 |
| 20(19). იარკო ნიემინენი (ფინ) | 1320 |
| 21(20). დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 1230 |
| 22(22). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1180 |
| 23(23). დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) | 1108 |
| 24(24). მარატ საფინი (რუს) | 1090 |
| 25(25). მარდი ფიში (აშშ) | 1079 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 200 |
| 2(2). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 148 |
| 3(3). ტომი ჰაასი (გერ) | 98 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 90 |
| 5(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 89 |
| 6(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 75 |
| 6(14). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 75 |
| 8(6). ტომი რობრედო (ესპ) | 74 |
| 9(17). ქსავიე მალისე (ბელ) | 71 |
| 10(7). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 65 |
| 10(7). მარდი ფიში (აშშ) | 65 |
| 10(7). დავიდ ფერერი (ესპ) | 65 |
| 10(7). ენდი მიურეი (ბრიტ) | 65 |
| 10(7). რაფაელ ნადალი (ესპ) | 65 |
| 15(20). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 62 |
| 16(13). რიშარ გასკე (საფ) | 53 |
| 17(20). მიხაილ იუჟნი (რუს) | 42 |
| 18(15). კარლოს მოია (ესპ) | 40 |
| 19(16). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 38 |
| 20(117). ლუის ორნა (პერ) | 36 |
| 21(18). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 33 |
| 22(19). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 30 |
| 22(37). ვინსენტ სპეიდი (აშშ) | 30 |
| 24(23). სტეფან კუბეკი (ავსტრია) | 28 |
| 24(91). ნიკოლას მასუ (ჩილ) | 28 |

## ბიათლონი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

# პუარეს მერვე ტიტული

ფრანგმა **რაფაელ პუარემ** გუშინ, იტალიის ანტჰოლცში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, ინდივიდუალური რბოლა მოიგო, რის შემდეგაც განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის შემდეგ, თავის სპორტულ კარიერას დაასრულებს.

ამჯერად ხელი მოეცარა ნორვეგიელ **ოლე ეინარ ბიორნდალენს**, ვინც სპრინტისა და გამოდევნებით რბოლის მოგების შემდეგ, ინდივიდუალური რბოლის პირველივე სასროლეთზე სამ სამიზნეს ააცდინა და პრაქტიკულად, ამით დაკარგა მესამე ოქროს მოპოვების შანსი. არადა, ბევრი უკვე დარწმუნებულიც კი იყო, რომ ნორვეგიელი ჩემპიონატის ხუთივე ოქროს მოპოვებას ეცდებოდა.

*"ჩემს მეუღლეს ხშირად ვეუბნებოდი, რომ სპორტიდან მხოლოდ დიდი გამარჯვების შემდეგ წავიდოდი. ჰოდა, ახლა პირობის შესრულების დრო დამიდგა. ახლა ისღა დამრჩენია, ჩემპიონატი დავასრულო, მსოფლიო თასის ეტაპებზე ვიასპარეზო და მერე თხილამურებს ლურსმანზე დავკიდებ"*, - განაცხადა ფრანგმა, ვინც 20-დან 20 სამიზნე დააზიანა. ეს მისი პირველი გამარჯვებაა მას შემდეგ, რაც 2004 წელს, ობერჰოფის (გერმანია) მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს სამი მედალი მოიპოვა.

ცნობისთვის, გუშინ მოპოვებული ოქროს მედალი 32 წლის პუარესთვის კარიერაში მერვეა. რაც შეეხება მის მეუღლეს, **ლივ გრეტე პუარეს**, მის ანგარიშზე მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებული ოქროს შვიდი მედალი ირიცხება.

ვერცხლის მედალს დასჯერდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ გრაისი**, ბრინჯაო კი ჩეხმა **მიხალ შლეზინგრმა** მოიპოვა, ვისთვისაც ეს ანტჰოლცში მოპოვებული მეორე მედალია. შეგახსენებთ, რომ პირველი (ვერცხლი) მან სპრინტში მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ პუარემ პირველი ფრანგი ბიათლეტის წოდება შარშან მას შემდეგ დაკარგა, რაც ტურინის ოლიმპიადაზე მას ხელი მოეცარა, მისმა თანამემამულე **ვენსან დეფრანმა** კი ოქროს მედალი მოიპოვა. გუშინ დეფრანმა დაისვენა, პუარემ კი პირველი ფრანგის საპატიო წოდება დაიბრუნა.

განსაკუთრებით მან სროლის დროს გამოიჩინა თავი - გრძელ დისტანციაზე ყველა სამიზნის დაზიანება მართლაც შესანიშნავი შედეგია. შედარებისთვის, ორ-ორი შეცდომა დაუშვეს გრაისმა და შლეზინგრმა, ბიორნდალენმა კი 6 სროლა გააფუჭა (თითო აცდენაზე თითო საჯარიმო წუთი).

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია)**
**კაცები. ინდ.რბოლა (20 კმ)**

**1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) 56.14.6 (0+0+0+0); 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) +26.8 (0+1+0+1); 3. მიხალ შლეზინგრი (ჩეხეთი) +37.4 (0+2+0+0); 4. ფრუდე ანდერსენი (ნორვეგია) +39.3 (0+1+0+0); 5. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) +51.1 (0+0+0+0); 6. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) +1.09.6 (0+1+0+0)...**



რაფაელ პუარე გამარჯვებას ზეიმობს

## TV სპორტი

**7 თებერვალი. ოთხშაბათი**

**იმედი**

**21:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-თურქეთი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე.
**09:35** სპორტინფორმი.
**10:03** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:03** სპორტინფორმი.
**11:13** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
**12:57** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**13:23** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
**16:29** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**16:56** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-ბოავიშტა.
**18:40** ბურთის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. რუსეთი.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:45** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-მინესოტა.
**22:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**23:05** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**00:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ინგლისი-ესპანეთი (LIVE).
**01:55** სპორტინფორმი.
**02:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
**03:50** სპორტდოსიე.
**03:55** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ფინიქსი (LIVE).
**07:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**11:30** მძლეოსნობა. დიუსელდორფი. გერმანია.
**12:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. კლინგენტალი. გერმანია (LIVE).
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
**14:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ანტოლცი. იტალია.
**15:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
**16:30** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური. ანტოლცი. იტალია (LIVE).
**19:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. კლინგენტალი. გერმანია (LIVE).
**20:45** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური. ანტოლცი. იტალია.
**22:00** აფროსნობა.
**22:05** მულტისპორტი.
**22:10** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ბორდო. საფრანგეთი.
**23:15** გოლფი. PGA-ს ტური.
**00:15** გოლფი. ევროპის ტური.
**00:50** აფროსნობა.
**01:25** მულტისპორტი.
**01:30** აფროსნობა.
**01:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. საფრანგეთი-არგენტინა, ბელგია-ჩეხეთი.
**02:45** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური. ანტოლცი. იტალია.
**03:30** ბოულსი. უელსის ღია პირველობა. ლანელი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
**13:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ავსტრალია-დანია.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ბელგია-პოლონეთი.
**18:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. კვიპროსი-გერმანია.
**19:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. შვეიცარია-ბრაზილია.
**20:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ავსტრალია-დანია.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** მულტისპორტი.
**23:30** რესტლინგი.
**01:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ექსტრემალური სპორტი.
**02:45** სნოუბორდი.
**03:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ბრაზილია-პორტუგალია | 0:2 |
| ბულგარეთი-ლატვია | 2:0 |
| კვიპროსი-უნგრეთი | 2:1 |
| მალი-ლიტვა | 3:1 |
| ნიგერია-განა | 1:4 |
| ჩრ. ირლანდია-უელსი | 0:0 |
| ავსტრალია-დანია | 1:3 |
| საბერძნეთი-კორეა | 0:1 |

**ინგლისი**

| I ლიგა | |
|---|---|
| ოლდჰემი-ბლეკპული | გადაიდო |
| პორტ ვეილი-ნორთჰემპტონი | 1:0 |
| როტერჰემი-სუონსი | გადაიდო |

| II ლიგა | |
|---|---|
| როვერსი-დარლინგტონი | 1:2 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| ალდერშოტი-გრეისი | 1:0 |
| სტ. ალბანსი-მორეკამბი | გადაიდო |

**ჩოგბურთი**

| WTA. პარიზი | |
|---|---|
| რადვანსკა-**მიულერი** | 1:6, 0:6 |
| **სრებოტნიკი**-კოენ ალორო | 6:1, 6:4 |
| **დემენტი**-გარბინი | 6:2, 6:3 |
| **საფაროვა**-პირონკოვა | 6:3, 6:7, 6:3 |
| **პინი**-ჟავაი | 6:4, 6:0 |
| **ვაიდიშოვა**-რეზაი | 6:2, 6:1 |
| შნიდერი-**ბიჩკოვა** | 6:3, 4:6, 3:6 |

| WTA. პატაია | |
|---|---|
| ბარდინა-**ბამერი** | 1:6, 4:6 |
| **ბარტოლი**-ლაგოსტერა | 6:3, 6:4 |
| **კინგი**-კოსტანიჩი | 6:1, 6:3 |
| **ობზილერი**-ფედაკი | 6:2, 6:2 |
| **სუხა**-კლეპაჩი | 7:5, 6:3 |
| **ტანასუგარნი**-ჩანი | 6:2, 5:7, 6:4 |
| იუანი-**კუდრიავცევა** | 6:1, 1:6, 3:6 |
| **ნაკამურა**-ლერტჩევაკარნი | 3:6, 6:3, 6:1 |
| კირილენკო-**პრატი** | 6:7, 6:2, 5:7 |
| **ოპრანდი**-სავჩუკი | 3:6, 6:4, 7:5 |
| **დულკო**-სუნი | 6:4, 6:1 |

კალათბურთი

## მემფისი მაგლოირს უმიზნებს

"მემფის გრიზლისი" "პორტლენდიდან" **ჯამალ მაგლოირის** გადაბირებას აპირებს. ეს კლუბი "თრეილ ბლეიზერსს" ტრეიდს სთავაზობს, რომლის მიხედვითაც, მაგლოირში **სტრომაილ სვიფტსა** და **დანტეი ჯონსს** ცვლის.

მაგლოირს ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება 8.3-მილიონიანი კონტრაქტი. რაც შეეხებათ სვიფტსა და ჯონსს, მათი წლიური ხელფასები, შესაბამისად 5.4 და 1.9 მილიონ დოლარს უტოლდება.

## ჯორდანი და უილკინსი სლემ დანქს განსჯიან

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, NBA-ის ლეგენდარული კალათბურთელები - **მაიკლ ჯორდანი** და **დომინიკ უილკინსი**, "ყველა ვარსკვლავის" უიქენდზე ჩატენვების კონკურსის ჟიურის წევრები იქნებიან. მათ გარდა, ამ შოუს მონაწილეთა ოსტატობას კიდევ ორი ცნობილი კალათბურთელი შეაფასებს.

## აზარტული ბარკლი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **ჩარლზ ბარკლიმ** სამშაბათს განაცხადა, რომ ლას ვეგასის ერთ-ერთ ტოტალიზატორში 700 ათასი დოლარი მოიგო. ლეგენდარულ კალათბურთელს მოგება ამერიკული ფეხბურთის ფინალურ მატჩში (სუპერბოული) გაკეთებულმა ფსონმა მოუტანა. ამ შეხვედრაში ერთმანეთს "ინდიანაპოლისი" და "ჩიკაგო" შეხვდნენ და გამარჯვება "ინდიანაპოლისმა" მოიპოვა - 29:17.

*"ლას ვეგასის ერთ-ერთ კაზინოში, ბლექჯეკზე დიდი თანხა მოვიგე და მთელი ეს ფული სუპერბოულის მატჩში, "ინდიანაპოლისის" გამარჯვებაზე დავდე. როგორც ხედავთ, ფსონმა გაამართლა"*, - განაცხადა სერ ჩარლზმა.

მიუხედავად ამ გამართლებისა, ბარკლიმ ჟურნალისტებს ისიც აუწყა, რომ ხშირად თამაშობს აზარტულ თამაშებს და ჯამში დაახლოებით 10 მილიონი დოლარი აქვს წაგებული. ერთხელ კი, კალათბურთელმა 6 საათში 2.5 მილიონი დოლარის წაგება "მოახერხა".

## ნოჩიონის ტრავმა აქვს

"ჩიკაგო ბულზის" სასტარტო ხუთეულის წევრმა - **ანდრეს ნოჩიონიმ** ტერფის ტრავმა მიიღო და ამის გამო, გუშინ, "იუტასთან" მატჩი გამოტოვა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია არგენტინელი ფორვარდის დაზიანება.

წლევანდელ რეგულარულში, 27 წლის ნოჩიონი საშუალოდ მატჩში 15 ქულასა და 6 მოხსნას აგროვებს.

ხელბურთი

## MVP ბალიჩი გახდა

გერმანიაში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ჟურნალისტებმა და ტურნირის ოფიციალურმა პირებმა პირველობის სიმბოლური ნაკრები შეადგინეს, რომლის შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარე - **ჰენინგ ფრიტცი** (გერმანია), მარჯვენა ფრთა - **მარიუშ იურაშიკი** (პოლონეთი), მარცხენა ფრთა - **ედუარდ კოკშაროვი** (რუსეთი), ხაზი - **მიკაელ კნუდსენი** (დანია), მარჯვენა ინსაიდი - **მარცინ ლიევსკი** (პოლონეთი), მარცხენა ინსაიდი - **ნიკოლა კარაბატიჩი** (საფრანგეთი), გამთამაშებელი - **მიხაელ კრაუსი** (გერმანია).

მსოფლიო ჩემპიონატის MVP ხორვატი **ივანო ბალიჩი** გახდა, საუკეთესო ბომბარდირი კი, ისლანდიელი **გუდიონ-ვალურ სიგურდსონი**, რომელმაც 10 მატჩში 66 გოლი გაიტანა.

კრივი

## ბელი ნაჯახის ქნევისთვის დააპატიმრეს

პირველ მძიმე წონაში WBC-სა და WBA-ს ვერსიებით, მსოფლიო ჩემპიონი - **ო'ნილ ბელი** პოლიციამ დააკავა. მოკრივეს ბრალად ედება თავის სპარინგ-პარტნიორზე თავდასხმა.

როგორც ვებ-გვერდი Allboxing იუწყება, ბელი პარტნიორს ყოველდღიური გარბენის დროს დაესხა თავს. ის დაზარალებულს ნაჯახით ემუქრებოდა და მძიმე ქვებს ესროდა. სწორედ ამის გამო, მსოფლიო ჩემპიონს ბრალად ადამიანზე თავდასხმა წაუყენეს.

17 მარტს, ბელს ფრანგ მოკრივე **ჟან-მარკ მორმეკთან** ტიტულის დაცვა უწევს.

ფორმულა 1

## სპაიკერის პრეზენტაცია

ფორმულა 1-ის ჰოლანდიურმა გუნდმა - "სპაიკერმა" ინგლისურ "სილვერსთოუნზე" თავისი ახალი ბოლიდისა (F8- VII) და პილოტების პრეზენტაცია მოაწყო.

*"ჩვენ ვიცით, რომ სეზონის პირველი ნაწილი ძალიან რთული იქნება. მაგრამ კომპანია "სპაიკერმა" გუნდს სტაბილურობა მოუტანა და შეგვიძლია საქმე მშვიდად ვაკეთოთ. სამწუხარო იყო, რომ გასული წელი ქულის გარეშე დავასრულეთ, მაგრამ ჩემი აზრით, სეზონი იმაზე კარგად ჩავატარეთ, ვიდრე ამაზე ოფიციალური სტატისტიკა მეტყველებს. ახლა მიღწეული უნდა განვამტკიცოთ და წინ ვიაროთ. ამ სეზონში "სპაიკერი" ქულების დაგროვებას გეგმავს"*, - აცხადებს გუნდის ბოსი **კოლინ კოლესი**.

2007 წელს, "სპაიკერის" პილოტები ჰოლანდიელი **კრისტიან ალბერსი** და გერმანელი **ადრიან სუტილი** იქნებიან. აქვე შეგახსენებთ, რომ ადრე ეს გუნდი ჯერ "ჯორდანის", შემდეგ კი, "მიდლენდის" სახელით ასპარეზობდა.

ჩოგბურთი

## ბრაზილიას ახალი კაპიტანი ჰყავს

33 წლის **ფრანცისკო კოსტა**, რომელმაც 2005 წელს დაასრულა კარიერა, დევისის თასზე ბრაზილიის ნაკრების კაპიტნად დაინიშნა. კოსტამ ამ პოსტზე **ფერნანდო მელიგენი** შეცვალა.

ბრაზილიელთა ახალი დამრიგებელი ATP-ის ტურში მაღალი შედეგებით არ გამოირჩეოდა. მისი ყველაზე დიდი მიღწევა რეიტინგში 140-ე ადგილი იყო. ეს 2000 წლის სეზონში მოხდა.

ჰოკეი

## რეინჯერსმა და კინგზმა 5-კაციანი ტრეიდი გაჩარხეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ბოლო ორი სეზონის ყველაზე უხეში ჰოკეისტი - **შონ ეივერი** "ლოს ანჯელესიდან" "ნიუ იორკ რეინჯერსში" გადავიდა. "კინგზმა" ნიუიორკელებს 26 წლის ფორვარდი **ჯეისონ უორდში** გაუცვალა.

ეივერიმ ამ სეზონში 55 მატჩი ჩაატარა და 28 ქულა (10 გოლი+18 პასი) და 116 საჯარიმო წუთი დააგროვა. რაც შეეხება 28 წლის უორდს, მას 46 მატჩში მხოლოდ 10 ქულა (4 გოლი+6 პასი) აქვს.

ამ ტრეიდში სხვა ჰოკეისტებიც მონაწილეობდნენ. კერძოდ, "ლოს ანჯელესის" რიგები შეავსეს თავდამსხმელებმა - **მარკ-ანდრე კლიშიმ** და **იან მარეკმა**, "რეინჯერსმა" კი, იგივე ამპლუის **ჯონ სეიმორი** დაიმატა.





ანია პერსონი



პატრიკ შტაუდახერი

მსოფლიოს ჩემპიონატი

# იტალიური სენსაცია არეში

როგორც იქნა, შვედეთის სამთო კურორტ არეში გამოიდარა და სამთო მოთხილამურეებმაც, სამდღიანი ლოდინის შემდეგ, მედლების პირველი ორი კომპლექტი (ორივე სუპერგიგანტში) გაითამაშეს.

არეს ფერდობ "ოლიმპიაზე" პირველები კაცები გამოვიდნენ და პირველი სენსაციაც გამოაცხეს - იტალიელმა **პატრიკ შტაუდახერმა** ყველანაირი პროგნოზი თავდაყირა დააყენა და მანამდე რომ არავინ იცნობდა, ახლა ერთბაშად მსოფლიოს ჩემპიონის წოდებით მოგვევლინა. თანაც, ის პირველი იტალიელი მოთხილამურეა, ვინც სუპერგიგანტში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა.

აღსანიშნავია, რომ შტაუდახერი მანამდე არასოდეს ასულა დიდი დონის (მსოფლიო თასი, მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიადა) ტურნირის კვარცხლბეკზე. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე კი მან თვალის ოპერაცია გაიკეთა და თავადაც არ ელოდა, თუ არეში ასე კარგად გამოვიდოდა.

*"ფინიშის შემდეგ გავიფიქრე, რომ ამ შედეგით მოწინავე ექვსეულში შესვლას შევძლებდი. ამით კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საუკეთესო დრო მიჩვენებია. ეს ნამდვილი სასწაულია"*, - განაცხადა 26 წლის იტალიელმა, ვინც ოპერაცია ერთი თვის წინათ გაიკეთა და წარბზე ჯერაც ნაკერები აქვს. თანაც, არეში გამგზავრებამდე, იტალიაში ვარჯიშის დროს ის წაიქცა და მუხლის ტრავმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ შტაუდახერის საუკეთესო შედეგი აქამდე მიმდინარე სეზონში, ბორმიოში (იტალია), დაშვების რბოლაზე მოპოვებული მეექვსე ადგილი იყო.

უხეიროდ იასპარეზა სუპერგიგანტში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ბოდე მილერმა**, ვინც რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და შედეგად, 24-ე ადგილს დასჯერდა. არადა, მილერმა ამ ტრასაზე შარშან სეზონის ბოლო სუპერგიგანტი მოიგო. მან გამოსვლა მეტად აგრესიულად დაიწყო, თუმცა ამის გამო, პირველსავე სექტორში დაუშვა შეცდომები. ტრასის ბოლო ნაწილში კი მხრით დრეკად ბოძს დაეჯახა, რაზეც დაახლოებით ნახევარი წამი დაკარგა.

ვერცხლის მედალს კი ავსტრიელი **ფრიც შტრობლი** დაეუფლა, ვინც ავსტრიის სახელით ასპარეზობის უფლება ბოლო მომენტში მიიღო. ნარბოლევს კი განაცხადა, ეს შედეგი პასუხია იმათთვის, ვისაც სტარტზე ჩემი გაშვება არ სურდაო. თავადვე აღიარა, ზედმეტ რისკს მოვერიდე, რადგან არ მსურდა იმათი იმედის გამტყუნება, ვისი მონდომების წყალობითაც სტარტზე გამოვედიო.

შტრობლმა ისიც განაცხადა, რომ ამ ტრასაზე სტარტზე ბოლოს გასვლა, ასპარეზობის ფავორიტებისთვის წამგებიანიაო. შეგახსენებთ, რომ მოთხილამურეები სტარტზე იმის მიხედვით ლაგდებიან, თუ ვის რა პოზიცია უკავია მსოფლიო თასის შესაბამისი დისციპლინის კლასიფიკაციაში. აქედან გამომდინარე, ლიდერებს ბოლოს უწევთ გამოსვლა, ამ დროს კი ტრასა დაღარულია და შესაბამისად, მოასპარეზენიც უფრო მეტ პრობლემას აწყდებიან. მსოფლიო თასზე კი სასტარტო ნომრები ვარჯიშის შედეგების შესაბამისად რიგდება.

თუ შტაუდახერის გამარჯვებას არავინ ელოდა, შვედ **ანია პერსონს**, იმის მიუხედავად, რომ ეს სეზონი მისთვის წარუმატებელია, ბევრი მაინც ფავორიტად მიიჩნევდა. თავადაც არაერთხელ განაცხადა, რომ ამ სეზონში მისთვის მთავარი მსოფლიო ჩემპიონატია და მსოფლიო თასის რბოლებს სწორედ არესთვის მოსამზადებლად გამოიყენებდა.

მოკლედ, პერსონმა ფერდობი სტრეკე ყველაზე სწრაფად ჩაისრიალა და ოქროს მედალსაც დაეუფლა, რითაც გაიმეორა ლეგენდარული თანამემამულის, **ინგემარ სტენმარკის** მიღწევა (შვედებისთვის) - მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეშვიდე მედალს დაეუფლა.

*"დიდი ხანია, ამ გამარჯვებაზე ვოცნებობდი - ძალიან მინდოდა შინ მსოფლიოს ჩემპიონი გავმხდარიყავი. ჰოდა, ახლა ეს ოცნება პირველივე რბოლაში ავისრულე. ეს დაუჯერებელია, მე ბედნიერი ვარ"*, - განაცხადა 25 წლის პერსონმა, ვინც სუპერგიგანტის ტიტული წინა ჩემპიონატზეც (ბორმიოში) მოიპოვა, გუშინ მოგებული ოქრო კი მის კარიერაში მეხუთეა და ამ შედეგით მან ავსტრიელი **რენატე გიოჩლის** მიღწევა გაიმეორა.

გიოჩლი არეში ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო, მაგრამ მესამე ადგილს დასჯერდა. მან ნახტომების შესრულების დროს რამდენიმე შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ, პერსონთან თითქმის ნახევარი წამი წააგო. მათ შორის ამერიკელი **ლინდსი კილდოუ** ჩადგა. კვარცხლბეკზე ასვლის შანსი ჰქონდა კიდევ ერთ ამერიკელს - ჯულია მანკუზოს, მაგრამ ერთ-ერთი ნახტომის შესრულებისას მან ლამის წონასწორობა დაკარგა და მიუხედავად იმისა, რომ ტრასაზე დარჩენა შეძლო, ძალიან ბევრი დრო დაკარგა და საბოლოოდ მეექვსე შედეგს დასჯერდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

არე (შვედეთი). კაცები. სუპერგიგანტი

**1. პატრიკ შტაუდახერი (იტალია) 1:14.30; 2. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1:14.62; 3. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) 1:14.92; 4. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:14.93; 4. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:14.93; 6. ერიკ გაი (კანადა) 1:14.95; 7. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:14.96; 7. იან ჰუდეცი (კანადა) 1:14.96; 9. ფრანსუა ბურკე (კანადა) 1:14.97; 10. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 1:14.99...**

არე (შვედეთი). ქალები. სუპერგიგანტი

**1. ანია პერსონი (შვედეთი) 1:18.85; 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) 1:19.17; 3. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:19.38; 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:19.44; 4. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:19.44; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:19.63; 7. ნადი შტიგერი (შვეიცარია) 1:19.65; 8. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:19.97; 9. ლიბი ლუდლოუ (აშშ) 1:20.08; 10. მარია რიში (გერმანია) 1:20.18...**


ლელო
ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა